პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

შაბათი, 23 ოქტომბერი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 242 (1787)

დ ღ ი უ რ ი

მოსკოვში ჩავიდა ფინეთის ეკონომიური დელეგაცია.

განხეთქილება ფრანგ რადიკალების პარტიაში.

გარდაიცვალა ამერიკული სოციალისტური პარტიის დამაარსებელი ევგენი დებსი.

საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკება სადაო საკითხების შესახებ.

მიწის ძვრა თბილისსა, ლენინაკანსა და ბათომში.

ლენინაკანში მიწის ძვრისაგან დაინგრა რამოდენიმე სოფელი, რომელსაც თან მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

უმუშევრობასთან ბრძოლა

უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი მთავრობის და პროფორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. უმუშევრობა შემოდგომის მიწურულში და ზამთარში უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს, ვინემ წინა თვეებში, ვინაიდან ამ დროისათვის საზოგადოებრივი სამუშაოები შემცირდება და სეზონური სასოფლო - სამეურნეო მუშაობა შეწყდება. აქედან—უმუშევართა რიცხვი გადიდდება. ამას უკვე ეხლაც ვხედავთ: უმუშევართა რაოდენობა თბილისში პირველ ოქტომბრისათვის წინა თვეებთან შედარებით გაზრდილა დაახლოვებით 10 პროცენტით. ამიტომ ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ უნდა გავაძლიეროთ და უმუშევართა მდგომარეობის შესამსუბუქებლად ფართე ზომები უნდა იქნას მიღებული.

როგორია ეს ზომები? როგორც ვიცით, უმუშევრობის მთავარი რეზერვი, წყარო სოფელია. აქედან მოედინება ქალაქებისაკენ უმიწაწყლო გლეხობის მასა, სადაც ის სამუშაოს მეტ წილად ვერ შოულობს და აუტანელ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა ამ დენის რამენაირად შენელება. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვლაპარაკობთ ადმინისტრატიულ ზომებზე, ქალაქებისაკენ უმუშევარ გლეხების წასვლის აკრძალვაზე, რაც დაუშვებელია. მაგრამ სოფლის მოსახლეობის გაფრთხილება, მისთვის იმის განმარტება, რომ ამ დღეს ამ ქალაქში სამუშაოს გამოძებნა შეუძლებელია, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. უმთავრესი კი ის არის, რომ თვით სოფლად შევქმნათ ისეთი ეკონომიური პირობები, რომ შეიძლებოდეს უმუშევარ გლეხობის ჩაბმა რაიმე სამუშაოში. საგზაო მშენებლობა, ხე-ტყეზე მუშაობა, მდინარეთა ნაპირების გამაგრება, არხების გაყვანა, ჭაობების ამოშრობა და მრავალი სხვა—აი რა შეანელებს რამოდენიმედ მაინც უმუშევრობას სოფლად. ყველაფერი ეს მეტ წილად ზამთრის თვეებშიც შეიძლება.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, რომ მიწის სიმცირე ანაზღაურებულ იქნეს მისი ნაყოფიერების გაზრდით. ამ მხრივ სპეციალურ კულტურების გავრცელებას და ამაზე რაც შეიძლება გლეხობის საგრძნობი რიცხვის დაბანდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უნდა შევადგინოთ უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხთა არტელები, კოლექტივები თუ კომუნები მიწის საერთო ძალღონით დასამუშავებლად. ეს, რა თქმა უნდა, სეზონური სამუშაო არ არის და დიდძალ თანხებს მოითხოვს, რაც ჩვენ ამჟამად არ გაგვაჩნია, და ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა ამის გამო ერთბაშად საგრძნობ გავლენას ვერ მოახდენს უმუშევრობის შემცირებაზე. მაგრამ უმუშევრობა ხანმოკლე მოვლენა არ არის, მის აღმოსაფხვრელად ენერგიული მუშაობა უნდა ვაწარმოოთ მთელი წლების განმავლობაში, და აქ სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია დგას პირველ რიგში.

თვით ქალაქებში თავმოყრილ უმუშევრების მდგომარეობის შესამსუბუქებლად საჭიროა მთელი რიგი ზომების მიღება. ჩვენ აქ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ პირველ ყოვლისა იმ არევ-დარევასა და უწესრიგობას, რომელიც სუფევს მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის საქმეში. პროფკავშირების და საშუამავლო ბიუროების როლი ამ მხრივ უმნიშვნელოა. შრომის ბირჟების საშუალებით უმუშევართა მესამედი თუ შოულობს სამუშაოს, დანარჩენები მათ გარეშე ეწყობიან. და აქ ხაზგასასმელი ის არის, რომ ძალზე განვითარებულია პროტექციები, ნათლიმამობა და სხვა უმსგავსოება უმუშევართა სამუშაოზე მიღების დარგში. ამის წყალობით ხშირია შემთხვევები, როცა ის პირნი, რომელნიც მთელი თვეობით და წლობითაც არიან ბირჟაში აღრიცხული, ამაოდ ელოდებიან სამუშაოს, მაშინ, როცა არა კავშირის წევრები და ნაკლებ სტაჟიანი ელემენტები უფრო ადვილად შოულობენ სამუშაოს. არსებობს წესი, რომლის მიხედვით მუშაკის აყვანის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს კავშირის წევრს და შრომის ბირჟის მიერ აღრიცხვაზე აყვანილ პირს, მაგრამ ამ წესს ნაკლებ ანგარიშს უწევენ ზოგი წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. მათ წინააღმდეგ გადაჭრილი ზომები უნდა იქნას მიღებული. უნდა დაწესდეს ფხიზელი კონტროლი მუშა-მოსამსახურეთა მიღებაზე. და ამ მხრივ პროფორგანიზაციებს, კერძოდ მათ ქვედა უჯრედებს და აგრეთვე შრომის ბირჟებს განსაკუთრებული მოვალეობა აწევთ.

თვით ბირჟების მუშაობა უნდა იქნეს გამოცხოველებული და გაუმჯობესებული. მათ მეტი უნარი უნდა გამოიჩინონ სამუშაოს მოძებნაში, უმუშევართა კვალიფიკაციის შემოწმებასა და მათ შერჩევაში და საქმის წარმოების გამარტივებაში, რათა უმუშევრებს ტყუილ-უბრალოდ არ უხდებოდეთ იქ მთელი დღეებით ჩიჩქოლი და ფუსფუსი.

მუშა - მოსამსახურეთა დათხოვნის საქმეც არ არის მოწესრიგებული. ჩვენში ხშირად ხდება შტატების შემცირება. მაგრამ არა იშვიათად მოკლე დროში ირკვევა, რომ დაწესებულების ინტერესი მოითხოვს შტატის კვლავ გადიდებას. არის შემთხვევები, როცა სამუშაოზე იღებენ არა დათხოვნილ მუშაკებს, არამედ ახალ პირებს. საჭიროა შტატების შემცირების საკითხი საფუძვლიანად იყოს დამუშავებული და შემცირება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამის აუცილებლობა მართლა გამოირკვევა.

უმუშევრობასთან ბრძოლისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზედმეტ საათებში მუშაობის საკითხის გადაჭრას. ბევრჯერ იყო გადაწყვეტილი, რომ ასეთი მუშაობა არ უნდა იქნას დაშვებული, გარდა უკიდურესი შემთხვევებისა, მაგრამ სინამდვილეში ეს გადაწყვეტილება არა ყველგან ტარდება. თუ დაწესებულებაში ზედმეტის მუშაობას ხანგრძლივი და ასე თუ ისე სისტემატიური ხასიათი აქვს, საჭიროა ამისათვის უმუშევრები იქნენ მოწვეულნი.

თავის თავად ცხადია, რომ უმუშევრობის შემცირების მთავარ საშუალებას საზოგადოებრივი სამუშაოები წარმოადგენს. ამ მხრივ კერძოდ თბილისში საქმე ასე თუ ისე კარგადაა დაყენებული. საჭიროა ამ მხრივ უფრო მეტის გაკეთება და სხვა ქალაქებში საზოგადო სამუშაოების ფართედ მოწყობა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს უმუშევართაგან საწარმოო არტელების მოწყობას და მათთვის როგორც ნივთიერ, ისე ორგანიზაციულ დახმარების გაწევას.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ უმუშევართა კვალიფიკაციის აწევის ამოცანა. უმუშევართა მეტ წილს თითქმის არავითარი სპეციალობა და კვალიფიკაცია არ გააჩნია. კვალიფიციურ მუშა-ხელზე მოთხოვნილება კი ეხლაც არის და მომავლისათვის, მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით, უფრო გაიზრდება. აუცილებლად საჭირო ზომები უნდა მივიღოთ უმუშევართა მოსამზადებლად. ამას მოითხოვს როგორც მრეწველობის ინტერესები, ისე უმუშევრებისა, რომელნიც კვალიფიკაციის უქონლობის გამო სამუშაოს ვერ შოულობენ.

ამავე დროს უნდა გავაფართოვოთ და გავადიდოთ უმუშევართა ფულადი დახმარება როგორც სოციალურ უზრუნველყოფის, ისე პროფკავშირული ხაზით. ამასთან უმუშევართათვის უნდა მოვაწყოთ თავშესაფარები, იაფფასიანი და, სადაც შეიძლება, უფასო სასადილოები და სხვ.

ასეთი ღონისძიებებით უეჭველად მივაღწევთ უმუშევართა რიცხვის შემცირებას და მათი მძიმე ხვედრის შემსუბუქებას. ხოლო რაც შეეხება უმუშევრობის მთლიანად მოსპობას, ეს დამოკიდებულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე, ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაზე და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციაზე, რისათვისაც მუშურ - გლეხური მთავრობა არაფერს ზოგავს.

ბანკირების მანიფესტი

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ევროპულ ეკონომიურ ლოკარნოს ურიცხვ რეცეპტებსა და პროექტებს მიემატა ახალი დოკუმენტი: ბანკირებისა და მრეწველების 20 ოქტომბერს გამოქვეყნებული დეკლარაცია. როგორიც არ უნდა იყოს მისი შინაარსი, უკვე მარტო ხელის მომწერთა სახელები ლაპარაკობენ თავის-თავად: მორგანი, მაკ-კენნი, ნორმანი და სხვები არიან გამოჩენილი წარმომადგენლები იმ საფინანსო ოლიგარხიისა, რომელიც ქვეყანას მართავს. ეს ხალხი ომის მომდევნო წლებში არა ერთხელ გამოჩენილა სცენაზე, რომ განზე დაეყენებია მინისტრები და დიპლომატები და უშუალოდ ეკარნახა თავისი ნება-სურვილები მთელი ქვეყნისა და ევროპის ერებისათვის. აი, რატომ აქვს განსაკუთრებული ინტერესი მათ გამოსვლას.

დეკლარაცია იწყება საყვედურით იმ შევიწროების გამო, რომელსაც განიცდის აღებ-მიცემობა, ევროპაში მრავალი ახალი სახელმწიფოების აღმოცენების წყალობით, რომლებიც ერთმანეთისაგან საბაჟო ზღუდეებით არიან გამიჯნული. მაღალი ტარიფების, ლიცენზიების, შემოტანისა და გატანის აკრძალვის სისტემა, ავიწროებს მსოფლიო ბაზარს. მფარველობითი ბაჟების მეოხებით იქმნება ადგილობრივი ინდუსტრია, რომელსაც, როგორც დეკლარაციის ავტორები ფიქრობენ, არა აქვს „ნამდვილი ეკონომიური საფუძველი". ყოველგვარი ეკონომიურ შეზღუდვის მოსპობა ცალკე ერებს შორის და ვაჭრობის სრული თავისუფლება,—აი ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია, ბანკირების აზრით, კრედიტისა და მსოფლიო აღებ-მიცემობის აღდგენა.

ასეთია დეკლარაციის შინაარსი, თუ მას გავაცლით სტილის რიტორიულ სამკაულებს, რომელიც ძველი ფრიტრედერული წიგნაკებიდანაა ამოღებული. უკვე ამ წინადადებებიდანაც სავსებით აშკარაა, თუ რის შესახებაა ლაპარაკი. ცხოვრებაში რომ გატარდეს ის, რასაც დეკლარაცია ლაპარაკობს, მაშინ კაპიტალისტურათ დიდათ განვითარებული ქვეყნები, რომლებიც თავის საფინანსო ძლიერებასა და კონცენტრაცია ქმნილ მრეწველობაზე ემყარებიან, თავისუფალ ბაზრებიდან გაიხდიდნენ უფრო სუსტ სამრეწველო ქვეყნებს, აქცევდნენ მათ საგარეო კოლონიებად და ჩაახშობდნენ მათ საკუთარ ინდუსტრიას, რომელსაც დეკლარაციის სიტყვებით, რომ ვსთქვათ: „არა აქვთ ნამდვილი ეკონომიური საფუძველი". მხოლოდ სულელებს, ან ისეთ შეგნებულ მატყუარებს, როგორიც საფრანგეთის სოციალ-შეთანხმებლების ორგანო „პოპლ"-ია შეუძლიათ აღტაცებაში მოვიდნენ მშვიდობიან ეკონომიურ გაერთიანების პერსპექტივებით, რომლისკენაც, ვითომდა დიდიხანია მოუწოდებდა სოციალ-დემოკრატია და რომლისთვისაც ეხლა, თითქოს, საერთაშორისო ფინანსიური კაპიტალი იბრძვის.

და მართლაც, რა თქმა უნდა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ევროპის ქვეყნებმა უარი სთქვან მფარველობითი ბაჟებზე. ამის შესახებ საკმაო სიცხადით მეტყველებენ ის შენიშვნები, რომლებიც წაუმძღვარეს დეკლარაციას იტალიის და საფრანგეთის კაპიტალისტებმა. ამ უკანასკნელებმა, თითქოს კიდეც უარყვეს „მანიფესტი" და განაცხადეს, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა მის შედგენაში.

ყოველ შემთხვევაში, საბაჟო ზღუდეების გაუქმების შესახებ მყვირალა ფრაზებს შეიძლება მხოლოდ ერთი რეალური აზრი ქონდეს, სახელდობრ, როგორც ვერსალის ხელშეკრულებით შექმნილ საზღვრების კრიტიკა.

ამ შემთხვევაში დეკლარაციამ ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს და გამოიწვია კიდეც მეტად დიდი შეშფოთება და უკმაყოფილება, როგორც საფრანგეთში, ისე პოლონეთში და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც განსაკუთრებით არიან დაინტერესებული ვერსალის სისტემის შენარჩუნებაში.

რაც შეეხება ამერიკელებს, რომლებიც დაჟინებით ურჩევენ ევროპას გააუქმონ საბაჟო ზღუდეები, ისინი ასეთივე დაჟინებით სდუმან იმ ზღუდეს შესახებ, რომლითაც მათ გამიჯნეს თავისი შინაური ბაზარი ევროპ. კონკურენციისაგან. ეს არც გასაკვირალია. ვინაიდან არსებულ მდგომარეობაში უბრალო გაურკვეველი დაპირებაც კი სერიოზულ საფრთხეს უქადებს მმართველ რესპუბლიკანურ პარტიას. კულიჯის ადმინისტრაცია ემყარება აღმოსავლეთ შტატების მრეწველობის ბლოკს და ულტრა-პროტექციონისტ-ბანკირებს, რომელთა წრეშიაც უკვე დაიბადა ეჭვი იმ მაღალი ბაჟების პოლიტიკის მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან ევროპის მოვალეებს შემოიტანონ საქონელი და გადიხადონ ვალის პროცენტები. ამ საკითხის სადღეისოდ დასმა რესპუბლიკანელებისათვის წარმოადგენს საფრთხეს, ვინაიდან ეს გამოიწვევდა შინაურ უთანხმოებას და გააუარესებდა ისედაც არახელსაყრელ სიტუაციას შემოდგომის არჩევნებში. აქედან წარმოსდგება ის „სერიოზული არევ-დარევა", რომელიც გამოიწვია დეკლარაციამ შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში და ცდა გამოაცხადონ, რომ მანიფესტს „არავითარი კავშირი არა აქვს შეერთებულ შტატებთან".

საერთოდ, დეკლარაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინგლის-ამერიკის საფინანსო კაპიტალის ჰეგემონიის გეგმა ევროპის საქმეებში, როგორც ცდა იმისა, რომ შეიქმნას ისეთი დამოუკიდებელი წმინდა კონტინენტალური ევროპიული კომბინაციები, რომლებიც მიმართული იქნებიან ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ.

ამიტომ იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატიული პრესა აღტაცებას ეძლევა და გაჰკივის იმის შესახებ, რომ ბანკირები მოითხოვენ „რასიული შუღლის მოსპობას" და „ყველა ერების თანასწორობას საერთაშორისო მუშაობაში",—ჩვენ ეს დეკლარაცია უნდა განვიხილოთ როგორც ახალი საბუთი იმ გადაუჭრელ წინააღმდეგობებისა, რომლებშიაც გაიხლართა კაპიტალისტური ქვეყანა, რაც შეეხება დეკლარაციის უშუალოდ ჩვენდამი დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ ბანკირების მჭირმეტყველურ დუმილს საბჭოთა კავშირის შესახებ არ შეუძლია დაფაროს მათი ნამდვილი ზრახვები. იმ „ზღუდეებს" შორის, რომელთა მოსპობაც სურს საერთაშორისო ფინანსიურ კაპიტალს, უნდა ვიფიქროთ, რომ უკანასკნელ რიგზე არა სდგას ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია.

ამიტომ ჩვენ წინანდებურად ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური საერთაშორისო კაპიტალის ყოველგვარ ოინბაზობას და უნდა გვახსოვდეს, რომ კაპიტალისტების ყოველნაირი შეთანხმება წარმოადგენს ჩვენ წინააღმდეგ ახალი შემოტევის საფრთხეს მათი მხრით.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 22 ოქტომბერი.

მუშათა კრედიტი უნდა დარჩეს

ზამთრის მოახლოვებასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება მუშათა კრედიტზე. ამავე დროს ჩვენ მოწმე ვართ შემდეგი მოვლენის: ერთგან სრულიად შესწყვიტეს მუშა - მოსამსახურეებზე საქონლის კრედიტით გაცემა და მეორეგან საგრძნობლათ შესუსტეს მუშათა საქონლის კრედიტით დაკმაყოფილება.

რით უნდა ავხსნათ ეს აშკარად არასასურველი მოვლენა? კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებმა, რომელნიც აწარმოებდნენ საქონლის კრედიტით გაცემას, მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს ამით. აქ ერთი მხრივ გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ მუშათა კრედიტი თავის-თავად ახალი საქმე იყო და ამ საქმის ორგანიზაციული მხარე საგრძნობლად მოიკოჭლებდა. ამას კი სხვათა შორის შედეგათ მოყვა ის, რომ კრედიტით გაცემულ საქონლის საფასურს კოოპერატივები და სახელმწიფო სავაჭროები ან ვერ იბრუნებდენ თავის დროზე, ან ნაწილობრივათ და ზოგჯერ სრულიად ჰკარგავდენ მას.

ისედაც მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში მყოფი კოოპერატივები და ტრესტის მაღაზიები, ბუნებრივათ ვერ უძლებდენ ამგვარ დანაკლისს. მუშათა კრედიტით გამოწვეული ზარალი ზოგიერთ მათგანის არსებობისათვის საბედისწეროც კი შეიქნა.

ამით აიხსნება ის პროტესტის ხმები, რომელნიც გაისმის ჩვენს სავაჭრო ორგანოების მხრიდან მუშათა კრედიტის წინააღმდეგ. ბევრგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ „ხმებიდან" შემცდარი პრაქტიკული დასკვნებიც კი გამოაქვთ და სრულიად ხელს იღებენ მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის კრედიტით გაცემაზე. ასეთი მდგომარეობა არამც და არამც არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

თუ მუშათა კრედიტის მეოხებით ბევრმა კოოპერატიულმა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებმა ზარალი ნახეს, ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა უარვჰყოთ მუშათა კრედიტი. ის არის მშრომელთ მასის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უაღრესი საშუალება. შექმნილი პირობები სულ სხვას გვკარნახებს.

აშკარაა, რომ ჩვენი სავაჭრო ორგანოების სალაროში სანახევროდაც არ შედის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი. მუშის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო ვაჭარს უვარდება ხელში.

რატომ ხდება ეს? ერთი მხრივ იმიტომ, რომ ჩვენი კოოპერატივები და ტრესტის მაღაზიები ზოგჯერ ნაჩქარევ დასკვნებს აკეთებენ შექმნილ დროებით დაბრკოლებებიდან. ისინი, ასე ვთქვათ, ნაღდზე და მხოლოდ ნაღდზე გადადიან. და ამ მოთხოვნილებას ავრცელებენ ყველაზე, თავიანთ წევრებზედაც კი.

ამავე დროს კერძო ვაჭარი, განსაკუთრებით მეწვრილმანე, უფრო მეტ „გულშემატკივრობას" იჩენს, ის თვიდან-თვემდე ნისიათაც ახარჯებს მუშა-მოსამსახურეს და ზოგჯერ ნაკლებ ფასშიც მისცემს საქონელს.

მაგრამ ვაჭარი არც ისე იაფად უჯდენს მუშა-მოსამსახურეს ამ „გულშემატკივრობას". აქ ის საშიშარ კონკურენციას უწევს ჩვენს სავაჭრო ორგანოებს და ამრიგად საგრძნობ მატერიალურ ზიანს აყენებს მათ. ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რამდენად დაუშვებელია ამგვარი მდგომარეობა პოლიტიკურად, რამდენად უწყობს ის ხელს კერძო ვაჭრის ეკონომიურად გამაგრებას.

აქედან სავსებით ცხადია, რომ მუშათა კრედიტის დადებითად და ჯეროვანათ მოწესრიგებას აქვს არა მარტო მშრომელი მასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დანიშნულება, არამედ ის [illegible] ხასიათის პოლიტიკური ამოცანაა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ პროფკავშირის რიგებში გაერთიანებულ მასის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი გავატაროთ კოოპერატიულ და სახელმწიფო მაღაზიების სალაროებში. თუ ეს მოუხერხებელია მომხმარებელთა დანარჩენ მასის მიმართ. პროფესიულ კავშირებში დარაზმულ მასების ბიუჯეტი მაინც უნდა იქნას მიზიდული ჩვენი სავაჭროებისაკენ. ამის შესაძლებლობა არის და ეს უნდა იქნას მიღწეული.

ამ ამოცანის შესრულების დროს მუშათა კრედიტს როგორც წვრილ საქონელზე, ყოველდღიურ ხარჯებისათვის, ისე მსხვილმანს (ფართალი, ფეხსაცმელები, ჭურჭლეულობა, დგამი და სხვა) უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მუშათა კრედიტი, როგორც ჩვენი სავაჭრო ორგანოების ოპერაციათა ერთ-ერთი სისტემა უთუოდ უნდა დარჩეს. სხვა საქმეა რა სახით და როგორ უნდა იქნას ის გატარებული. ამ შემთხვევაში შეიძლება და აუცილებელიც არის შეტანილ იქნას ძველ პრაქტიკაში შესაფერი შესწორებანი.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ მუშათა კრედიტის ძველი, დღეს არსებული პრაქტიკა ბევრ შემთხვევაში კოოპერატივებს მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში აგდებს. მაშასადამე თავისთავად იგულისხმება, რომ უნდა გადაისინჯოს მუშათა კრედიტის სისტემა. შეიძლება აქ შემოღებულ იქნას ინდივიდუალური კრედიტი, კოლექტიურ კრედიტის ნაცვლად, შეიძლება განისაზღვროს საქონლის ასორტიმენტი, შესაძლებელია შემოღებულ იქნას დაწესებულება - წარმოების მიერ ერთგვარი ავანსის შეტანა კოოპერატივის სალაროში, რომ ამით შეუმსუბუქოს მას საქონლის კრედიტით გაცემით გამოწვეული ფინანსიური გართულება და სხვა. შესაძლებლობანი აქ სხვადასხვანაირია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაიჭრას არსებულ პირობების მიხედვით.

ამასთან ერთად ჩვენმა საფინანსო ორგანოებმა გრძელვადიანი და იაფი კრედიტით ხელი უნდა შეუწყონ იმ კოოპერატივებს თუ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს, რომელნიც ატარებენ ფართო მუშათა კრედიტს. ეს აუცილებელია, რამდენადაც ბევრ შემთხვევაში გარედან დაუხმარებლათ კოოპერატივები მოკლებულნი არიან საშუალებას ხელი მიჰყონ საქონლის კრედიტით გაცემას.

ამრიგად მუშათა კრედიტი უნდა დარჩეს. ის აუცილებელია როგორც მუშა-მოსამსახურეთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალება და როგორც საუკეთესო იარაღი კერძო ბაზრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მ. ლ—ძე.

საბჭოთა პრესა

კოოპერაცია და მუშის ბიუჯეტი

კოოპერაციის როლის გაძლიერებას მუშის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში უაღრესი მნიშვნელობა აქვს მუშის რეალური ხელფასის შენარჩუნების, თვით კოოპერაციის გაღონიერების, ბაზრის მოწესრიგების და კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონის შემცირების საქმეში. მაგრამ კოოპერაცია ამ მხრივ საჭირო უნარს ჯერ-ჯერობით ვერ იჩენს და სამუშაო ხელფასის საგრძნობი წილი კერძო ვაჭრის ხელში გადადის. ამის ნათელსაყოფად გაზ. „ტრუდ"-ს მოჰყავს საგულისხმო ცნობები:

„1924 წ. ნოემბერში კერძო ვაჭრობის როლი მუშის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში უდრიდა 35,8 პროც., კოოპერატიული ვაჭრობის—47,4 პროც., სახვაჭრობის—9,5 პროც., სხვა წყაროების (ნატურალური ხელფასი, საბჭოთა მეურნეობებიდან შემოსული სურსათი)—7,3 პროც.; 1925 წ. ნოემბერში მათი ხვედრითი წონა ასეთი იყო: კერძო ვაჭრობის—40,3, კოოპერაციის—44,9, სახვაჭრობის 9,2, სხვა წყაროების—5,6. აქედან სჩანს, რომ კერძო ვაჭრობის ხვედრითი წონა გაიზარდა 35,8-დან 40,3 პროც., ხოლო კოოპერაციისამ დაიკლო 47,4-დან 44,9 პროც. სახვაჭრობის ხვედრითი წონა თითქმის ძველებური დარჩა. კოოპერაციის ხვედრითი წონის დაკლება უმთავრესად აიხსნება კოოპერაციის, როგორც კვების საგნების შესყიდვის წყაროს შემცირებით. ასე მაგ., 1924 წ. ნოემბერში მუშის ოჯახს კოოპერატივებში უყიდია კვების საგნები 56,0 პროც., ხოლო 1925 წ. ნოემბერში—52,4. კერძო ვაჭრობის, როგორც კვების საგნების წყაროს, როლი გაზრდილა ამავე ვადებისათვის 33,3-დან 37,9 პროც."

ამნაირად, კოოპერაციის ხვედრითი წონა მუშის ოჯახისათვის კვების საგნების მიწოდებაში კლებულობს კერძო ვაჭრობის როლის გაძლიერების ხარჯზე. ეს შეიძლება აიხსნას უმთავრესად ორი გარემოებით: კოოპერაციაში ვაჭრობის საქმე კიდევ ვერ არის რიგიანად დაყენებული, მუშას იქ საგრძნობი დროის დაკარგვა უხდება საქონლის მიღებაში; შემდეგ: კოოპერაცია შესაფერ ანგარიშს არ უწევს მუშის ოჯახისათვის კვების საგნების შერჩევას. ამ ნაკლულოვანებათა აცილებას უნდა მიექცეს ყურადღება.

პროლეტარული საზოგადოებრიობა

მშრომელთა საზოგადოებრიობის ზრდა, სხვათაშორის პოულობს გამოხატულებას სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების გამრავლებაში. ასეთ ორგანიზაციებში მრავალი ათეული ათასი მუშა და გლეხი ითვლება ჩვენში წევრად. ამ ორგანიზაციების მუშაობის გამოცოცხლების და მათზე სწორი ხელმძღვანელობის განხორციელების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია პარტიასთან ფართე მასების დაახლოვებისა და უკანასკნელთა აქტიური ჩაბმისათვის ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანების გადაჭრაში. რაა ამისათვის საჭირო? „რაბოჩაია მოსკვა" ამაზე სწერს:

„საჭიროა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობის დაყენება ნამდვილი ნებაყოფლობის ნიადაგზე. ჩვენ აქ იმდენად რაოდენობას კი არ უნდა გამოვეკიდოთ, რამდენადაც უნდა ვიბრძოლოთ ორგანიზაციის თვისებისათვის. საზოგადოების წევრთა მუშაობაში უნდა შევიტანოთ მეტი კონკრეტობა, ცოცხალი თვითმოქმედება. ყურადღება უნდა შევაჩეროთ მუშაობის უმთავრეს მუხლებზე, რომელნიც გამომდინარეობენ პარტიის მიერ დასახულ პოლიტიკურ ამოცანებიდან.

საჭიროა ხელმძღვანელ ორგანოების ანგარიშიანობის გაძლიერება საზოგადოების წევრთა წინაშე. უნდა მივაღწიოთ, ისეთ მდგომარეობას, როცა საზოგადოების თვითეულ წევრს ეცოდინება, თუ სად წავიდა მისი წვლილი, რა საზოგადოებრივი სარგებლობა მოიტანა მან.

ნებაყოფლობითი საზოგადოებებში უზრუნველ უნდა ვყოთ ხელმძღვანელ ორგანოების თავიდან ბოლომდე სრული არჩეულობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართედ და თამამად უნდა წამოაყენონ ნებაყოფლობითი საზოგადოებათა ხელმძღვანელ ორგანოებში უპარტიო აქტივისტები... უნდა ვიაროთ უპარტიო მუშების ფართე მიზიდვის გზით და ამასთან გავაძლიეროთ საერთო ხელმძღვანელობა უჯრედების და პარტკომების მხრით ნებაყოფლობითი საზოგადოებათა ფრაქციების საშუალებით".

ნებაყოფლობითი საზოგადოებები ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენენ ფართე მასების აქტივობის გასაზრდელად და მათ ჩასაყოლად საბჭოთა აღმშენებლობაში. მათ განვითარებას და განმტკიცებას ჩვენ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი.

ამერიკას სურს თავის კოლონიად გადააქციოს ევროპა

კულიჯის მთავრობას ბანკირების გეგმის განხორციელება საჭიროდ მიაჩნია მხოლოდ ევროპაში

ინგლისის ტრედუნიონების საბჭო კვლავ აპირებს მემაღაროეთა მოტყუებას

არტ. პიუ საჭიროდ სცნობს გაფიცვის შეწყვეტას დროებითი შეთანხმების ნიადაგზე

ჩინეთი მოითხოვს იაპონიისაგან უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმებას

მემაღაროეთა გაფიცვა

შეთანხმებლები გაფიცვის ჩაშლას აპირებენ

არტ. პიუს „ახალი" გეგმა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ტრედუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ არტურ პიუმ „ტაიმსის" რედაქციას გაუგზავნა ვრცელი წერილი, რომელიც შეიცავს ქვა-ნახშირის დავის მორიგებით სასწრაფოდ გადაჭრის მეთოდს. პიუ გამოსთქვამს რწმენას, რომ საკითხის გადაჭრის ერთად-ერთი საშუალებას წარმოადგენს საქვანახშირო კომისიის სურვილებით ხელმძღვანელობა და წინადადებას იძლევა შემუშავდეს დროებითი შეთანხმება, რომელიც შესაძლებლად გახდიდა მაღაროებში მუშაობის განახლებას ეროვნულ შეთანხმების შემუშავებამდე. „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ „ასეთი დროებითი შეთანხმება შესაძლებლად გახდის ისე შევხედოთ ფაქტებს, როგორც ისინი სინამდვილეშია და შევაგროვოთ ცნობები იმ რაიონების შესახებ, სადაც მუშაობა განახლდა".

„თუ პიუ და ტრედუნიონების გენერალური საბჭო,—დასძენს „ტაიმსი",—შესძლებენ მემაღაროების დარწმუნებას, რომ მიიღონ ეს გეგმა, მაშინ ისინი შესაძლებლობის გზას გაუხსნიან იმ ამოცანის გადაჭრას, რომელიც მთავრობისა და პარლამენტის მიერ ყურადღებით განხილვის ღირსი იქნება".

„შტრეიკბრეხერობა შედეგს ვერ მოიტანს".

ლონდონი, 22 ოქტომბერი. მანსფილდში გამოსვლის დროს კუკმა განაცხადა: „სანამ მემაღაროეთა ნაწილი მუშაობს—არ არის იმედი, რომ ჩვენი მოლაპარაკება დამთავრდება გამარჯვებით, რადგან ეს ასუსტებს ჩვენს პოზიციას. იმ მუშების დაბრუნება მემაღაროეთა რიგებში, რომლებიც ეხლა მუშაობენ, იძულებულს გახდის მთავრობასა და მაღაროს მეპატრონეებს აღიარონ, რომ „შტრეიკბრეხერობა არავითარ შედეგებს არ მოიტანს".

პროფკავშირების საგანგებო კონფერენცია

ლონდონი, 22 ოქტომბერი. დღეს მემაღაროეთა კავშირის აღმასკომის წევრები რაიონებიდან მიემგზავრებიან ლონდონში პროფკავშირების საბჭოსთან სათათბიროდ. ისინი მოითხოვენ პროფკავშირთა კონფერენციის მოწვევას მომუშავე წევრებიდან ანარიცხების შესაგროვებლად და ქვანახშირის ზიდვაზე აკრძალვის ჩასატარებლად.

რაიონებში აღმასკომის წევრების არყოფნის დროს სააგიტაციო კამპანიას ცენტრალურ ინგლისში ჩაატარებენ მემაღაროების წარმომადგენლები პარლამენტში.

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია

ვაჭრობის მინისტრის მოხსენება

ლონდონი, 22 ოქტომბ. საიმპერიო კონფერენციაზე ვაჭრობის მინისტრმა კუნლიფ - ლისტერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მარაგის სწორ სტატისტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მყიდველთათვის, ისე გამყიდველთათვის. ორატორის სიტყვით, ინგლისში ამჟამად მზადდება პირველი სრული აღწერა იმ პროდუქციის, რომელიც მიღებულია 1907 წლიდან. ლისტერმა მოიყვანა ციფრები, რომელნიც მოწმობენ, რომ საიმპერიო წარმოების საქონლისადმი უპირატესობის სისტემამ, რომელიც ინგლისის მთავრობამ დააწესა და რომელიც განმტკიცდა 10 წლის განმავლობაში, გაადიდა საიმპერიო პროდუქტების შემოზიდვა. შემოზიდვის ასეთი ზრდა საბუთს გვაძლევს მოვიწონოთ უპირატესობის სისტემა, როგორც მუდმივი ზომა.

ემერის სიტყვა

დღის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ახალშენების მინისტრმა ემერიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროდუქტების ტრანსპორტის საქმის გასაფართოებლად დიდი მნიშვნელობა აქვთ საცივებლებს. ემერიმ აღნიშნა, რომ ხილის, ხორცის და სხვა თავშეუნახავ პროდუქტების გადმოზიდვის ცდებმა ოკეანეების გზით საუცხოო შედეგები მოგვცა. დიდი ყურადღება ექცევა ენტომოლოგიურ გამოკვლევას, ვინაიდან ყოველწლიურად მწერები ანადგურებენ მსოფლიო მოსავლის დაახლოვებით 10 პროცენტს.

ლონდონი, 21 ოქტომბ. საიმპერიო კონფერენციის საღამოს სხდომაზე კოლონიების მინისტრმა ემერიმ განცხადება გააკეთა კოლონიებში არსებული მდგომარეობისა და იმპერიის სამანდატო ტერიტორიების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ავსტრალიის, ახალი ზელანდიის და სამხრეთ - აფრიკის კავშირის პრემიერებმა.

კამათი მოხსენებათა გარშემო

ლონდონი, 22 ოქტომბ. დღეს კონფერენცია გადავიდა ვაჭრობისა და კოლონიების მინისტრების მიერ გაკეთებულ მოხსენებათა განხილვაზე. საგარეო პოლიტიკის შესახებ ჩემბერლენის მოხსენების ირგვლივ კამათი, კონფერენციის ახალი რეგლამენტის თანახმად, განახლდება ორშაბათს.

იმპერიის შიგნი მიმოსვლის დაჩქარების შესახებ კონფერენციაზე წარდგენილ გეგმებში ყურადღებას იპყრობს ინგლისსა, ინდოეთსა და ავსტრალიის შორის სწრაფმავალი გემების ახალი ხაზის მოწყობის გეგმა. ეს გეგმა პრინციპიალურად მოწონებულია ავსტრალიის მთავრობის მიერ და იმ შემთხვევაში, თუ მას კონფერენციაც მოიწონებს, დაარსდება ახალი სანაოსნო კომპანია კაპიტალით 1 მილ. გირ. სტერლინგი. კომპანია ააგებს ახალ გემებს, რომლებიც ინგლისიდან ავსტრალიაში მისვლას 12 დღით ნაკლებ დროს მოანდომებენ, ვიდრე ახლაა საჭირო. ნაოსნობის დამფუძნებელნი ფიქრობენ შუამდგომლობა აღძრან ფოსტის გადატანაზე სუბსიდიის მიცემისა და აგრეთვე ემიგრანტების გადასაყვანად წასაქეზებელი ტარიფების შემოღების შესახებ.

ბრძოლა ჩინეთში

ჩინეთი მოითხოვს ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულების გადასინჯვას

ტოკიო, 22 ოქტომბ. ჩინეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს შიდეხარის გადასცა ნოტა ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულების განახლების განზრახვის გამო. ამ ნოტაში ჩინეთი მოითხოვს იმ მუხლების გაუქმებას, რომელნიც ცალმხრივ ვალდებულებას აკისრებს მას.

შიდეხარიმ უპასუხა, რომ პრინციპიალურად ის ეთანხმება ამ მოთხოვნილებას, მაგრამ საბოლოო პასუხის გაცემა არ შეუძლია, სანამ ამ საკითხს თვით მთავრობა არ განიხილავს.

თანასწორობის ნიადაგზე

ბერლინი, 22 ოქტომბ. ტოკიოდან მიღებული ცნობით, ჩინეთის რეზიდენტმა იაპონიას ბარონ შიდერახას გადასცა ნოტა, რომელიც შეეხება იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულებისა და ზღვაოსნობის კონვენციის გადასინჯვას.

ნოტაში აღნიშნულია, რომ აუცილებლად უნდა გაუქმდეს ცალმხრივი მუხლები, რომ შესაძლო გახდეს ახალი ხელშეკრულების დადება თანასწორობის ნიადაგზე. შიდერახა პრინციპში დაეთანხმა ნოტას, მაგრამ ვერ მისცა საბოლოო პასუხი კაბინეტის გადაწყვეტილებამდე.

გომინდანი მხარს უჭერს ანტი-ინგლისურ მოძრაობას

პეკინი, 21 ოქტომბ. გომინდანის ადგილობრივი განყოფილებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებმა ჩანჩოუში (ჩენ - ციანის სატახტო ქალაქი) მოაწყვეს მიტინგი. მიტინგს დაესწრო 30.000 კაცზე მეტი. მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც **მხარს უჭერენ კანტონის მთავრობას მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობაში. მოხსნეს ჩინეთის ძველი ხუთ ფეროვანი დროშები და მათ მაგიერ ამართეს გომინდანის. სამი დღის განმავლობაში დახურული იყო სკოლები ვანსიანში მომხდარ სისხლის ღვრის საწინააღმდეგო პროტესტის ნიშნად.**

შანხაიში

პეკინი, 21 ოქტომბ. იუწყებიან, რომ ლუნ-ხუაში, სადაც არსებობს შანხაის არსენალი, ჩამოვიდა სუნ-ჩუან-ფანის დამხმარე ჯარები. შანხაიში ჩამოვარდა დროებითი სიწყნარე.

ბანკირების მანიფესტის შემდეგ

საფრანგეთის ბანკირების და მრეწველების განსაკუთრებული განცხადება

ბერლინი, 22 ოქტომბ. ფრანგები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბანკირთა და მრეწველთა დეკლარაციას, გამოვიდნენ განსაკუთრებული განცხადებით, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკონომიური ნგრევა, რომელსაც ამჟამად ევროპის ქვეყნები განიცდიან, აიხსნება ომის შედეგებით და, განსაკუთრებით, ომისგან გამოწვეულ სავალიუტო კრიზისებით. ამის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ ყოვლისა რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში გაჯანსაღებული უნდა იქნეს იმ ქვეყნების ვალიუტები, სადაც ისინი არ არიან განმტკიცებული. ეს ამოცანა გაადვილებული იქნება, თუ ეკონომიური ურთიერთობა ხალხთა შორის დამყარდება ნორმალურ საფუძველზე, რომელიც ხელს შეუწყობს აღებმიცემობას".

ვოლფის სააგენტოს კომენტარიები

ბერლინი, 22 ოქტომბ. ვოლფის სააგენტოს ეკონომიური ბიულეტენი შეიცავს ბანკირების და მრეწველების დეკლარაციის კომენტარიებს, რომლებშიაც ნათქვამია:

„ეჭვს გარეშეა, რომ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურებიან გერმანიის ეკონომიურ წრეებში და რომ მას ბევრი მიემხრობა გერმანიის მრეწველობა - მეურნეობის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის. დეკლარაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა გერმანიისათვის, ვინაიდან მსოფლიოს (16 სხვადასხვა ქვეყნის) საქმიან წრეების წარმომადგენელთა ასე დიდმა რიცხვმა ამ დეკლარაციაში აღიარა ვერსალის ხელშეკრულების შეცდომები და მათი გამოსწორება სცნო აუცილებელ წინასწარ პირობათ ევროპის ვაჭრობა - მრეწველობის აყვავებისათვის".

ამერიკის პოზიცია

ბერლინი, 22 ოქტომბ. როგორც „დეილი მეილი"-ს ნიუიორკელი კორესპონდენტი იუწყება, შეერთებული შტატების მთავრობა ამზადებს საჯარო განცხადებას ევროპის ფინანსისტების უკანასკნელი მანიფესტის გამო, რომელიც შეეხება სავაჭრო შეზღუდვათა გაუქმებას ევროპაში. როგორც იუწყებიან ამ განცხადებაში, აღნიშნული იქნება, **რომ ფინანსისტების საბჭო მართებულად იქცევა იმ საქმეების მიმართ, რომელნიც ევროპას ეხებიან, მაგრამ ზედმეტია ლაპარაკი ამერიკის ტარიფის დაკლებაზე", დამყარებულია ამერიკელი მუშის**

პოლონეთში

სიმართლეს ვერ მალავენ

ვილნო, 22 ოქტომბ. ბელორუსების დასახლებულ განაპირა მხარეების ადმინისტრაცია ემზადება ბელორუსთა მუშურ - გლეხურ გრამადის დასარბევად; გრამადამ ამ უკანასკნელ დროს დიდ წარმატებებს მიაღწია: შექმნა სოფლებში დაახლოებით 500-დე პარტიული ორგანიზაცია, რომელნიც 30.000-დე გლეხს აერთიანებენ.

ვილნოს პოლონური გაზეთები მოითხოვენ გრამადის ლიკვიდაციას. ამასთანავე გაზეთები აღიარებენ, რომ პოლონეთის მთავრობამ განაპირა მხარეებში თავის პოლიტიკის გატარების დროს ბევრი შეცდომა დაუშვა.

„იმ დროს, როცა საბჭოთა მთავრობა საბჭოთა ბელორუსიის ტერიტორიაზე ეწევა ბრძნულ პოლიტიკას და აღორძინებს ბელორუსიის კულტურას— სწერს პილსუდსკის ორგანო „კურიერ ვილენსკი"— პირდაპირ სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს პოლონეთის პოლიტიკა ბელორუსების კულტურისადმი. ამ პოლიტიკის წყალობით ბელორუსების კულტურული ძალები გადაიხვეწენ საბჭოთა ბელორუსიაში, სადაც მათ თავისუფლად მუშაობის საშუალება აქვთ".

გაზეთი „სლოვო" აღნიშნავს, რომ ბელორუსიის გლეხობა გრამადას ემხრობა, ხოლო ბელორუსიის დანარჩენ პარტიებში გრამადა არავითარ გავლენით არ სარგებლობს.

პოლონელ სოციალისტური პარტიის ორგანიზაციების დაშლა

ვილნო, 22 ოქტომბ. პოლონეთის ბელორუსებით დასახლებულ განაპირა მხარეებში 1921 წელს დაარსებული პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანიზაციები იშლებიან, რადგან გლეხობა თითქმის სავსებით ჩამოშორდა მას. პოლონეთის სოციალისტური პარტიის მიერ დანიშნული ხელმძღვანელები გაიქცნენ და თან გაიტაცეს საწევრო გადასახადების სახით შეკრებილი ფულები.

განხეთქილება ფრანგ-რადიკალებს შორის

პარიზი, 22 ოქტომბ. ჰავრის მერის ლეონ მეიერის ინიციატივით, 30 მემარცხენე რადიკალ - სოციალისტს, რომელნიც უკმაყოფილონი არიან ამას წინედ დამთავრებული პარტიული ყრილობის დადგენილებებით, განზრახვა აქვთ დამოუკიდებელი პარტია დაარსონ „მემარცხენე რადიკალ - სოციალისტების" სახელწოდებით.

ქარიშხალი ატლანტის ოკეანეზე

ბერლინი, 22 ოქტომბ. გავანიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების თანახმად, ფლორიდიდან მოვარდნილ ქარიშხლის დროს დაიღუპა 58 კაცი და დაიჭრა 2.500.

შერბურგიდან (საფრანგეთი) მიღებული ცნობით, ატლანტის ოკეანეზე ქარიშხალი მძვინვარებს. ნაოსნობა საშიშია. გემები „რესპუბლიკ" და „ბერენგარია" ნიუ-იორკიდან დიდი დაგვიანებით მოვიდნენ.

ჩერჩილი აკრიტიკებს

პარტიის აგრარულ პოლიტიკას

ლონდონი, 22 ოქტომბერი. სოფლის მეურნეთა კავშირის ყოველწლიურ ბანკეტზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც გააკრიტიკა მუშათა პარტიის აგრარული პოლიტიკა და განაცხადა, რომ მუშათა პარტიამ სავსებით მიიღო ლიოდ-ჯორჯის აგრარული პროგრამა.

ე. დებსის გარდაცვალება

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბ. ამერიკის სოციალისტური პარტიის დამაარსებელი ევგენი დებსი, რომელიც ამ დღეებში ავად გახდა ფსიქიური აშლილობის ნიადაგზე, უკვე გარდაიცვალა. იგი იყო 71 წლის.

რაზე თათბირობდენ

ინგლისელი და გერმანელი მრეწველები

ლონდონი, 21 ოქტომბ. „დეილი ჰერალდ"-ის ცნობით, ინგლისის და გერმანიის მრეწველობის წარმომადგენელთა საიდუმლო თათბირზე, რომელიც გაიმართა ლონდონში, ლაპარაკი იყო უმთავრესად ქვანახშირის საერთაშორისო ბაზრის მდგომარეობაზე და ფოლადის ახალი ტრესტის შესახებ. სამთამადნო მუშების გაფიცვის გაჭიანურება უაღრესად **სერიოზულ მდგომარეობაში აგდებს ინგლისის მრეწველობას, ვინაიდან საზღვარგარეთიდან შეტანილი ქვანახშირი ოდნავადაც ვერ არის საკმაო. ზამთრის პერიოდში მრეწველობას კიდევ ნაკლები ქვანახშირი ექნება.** ამიტომ ინგლისელი მრეწველები ცდილობენ კიდევ უფრო გააძლიერონ ქვანახშირის შეზიდვა გერმანიიდან. მაგრამ ვინაიდან ქვანახშირის მარაგი რურში თითქმის გამოილია და თვით გერმანიაშიც სათბობი მასალის დიდი ნაკლებობაა, ინგლისელ მრეწველთა ეს გეგმა შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ გერმანელი მრეწველები თანახმა იქნებიან შეამცირონ თავიანთი საკუთარი მოთხოვნილება ქვანახშირზე, რაც გერმანიის ფაბრიკების წარმოების შემცირებაზე დათანხმებას უდრის. ამიტომ მთავარი ის არის** — დათანხმდებიან თუ არა გერმანელი მრეწველები ამაზე და როგორ კომპენსაციას მოითხოვენ ამისათვის. „დეილი ჰერალდ"-ის ცნობით, გერმანელებს სურთ, რომ ინგლისის ფოლადის მრეწველობა შეუერთდეს რკინის კონტინენტალურ ტრესტს. **მაგრამ ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ ინგლისელი მრეწველები, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ფოლადის ინდუსტრიის კონცენტრაცია სავსებით ინგლისში უნდა მოხდეს.** გარდა ამისა, ინგლისის მძიმე ინდუსტრიის გამოჩენილი წარმომადგენლები ლაპარაკობენ, რომ მათ წარმატებით შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ფოლადის ტრესტს. ერთმა მათგანმა ესეც კი სთქვა: **„თუ მოვახერხებთ მუშათა მოძრაობის დამარცხებას და სამუშაო ხელფასის შემცირებას, ჩვენ კონტინენტალურ ტრესტსაც დავამარცხებთო".**

„ტუარის პოლიტიკა"

ინსტრუქციები ფონ - გეშს

პარიზი, 22 ოქტომბ. საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ პარიზში დაბრუნებულმა გერმანიის ელჩმა ფონ-გეშმა გერმანიის მთავრობისაგან მიიღო რწმუნებულებანი, რომ მოლაპარაკება დაიწყოს იმ აზრთა გაცვლა - გამოცვლის გასაგრძელებლად, რომელიც მოხდა ტუარში ბრიანსა და შტრეზემანს შორის.

დაბრუნდება თუ არა კაიზერი?

პარიზი, 22 ოქტომბ. გერმანიაში ყოფილ კაიზერის დაბრუნების შესახებ ხმების გავრცელების გამო, ფიქრობენ, რომ გერმანიამ ფორმალურად გადასწყვიტა: ნება არ დართოს და არ დაუშვას მისი დაბრუნება.

ფონ - გეშისა და ბერტელოს თათბირი

პარიზი, 22 ოქტომბ. ფონ-გეშს და ბერტელოს თათბირი ჰქონდათ ტუარში დაწყებულ მოლაპარაკების განგრძობის პირობების გარშემო.

ჰავასის სააგენტოს აზრით, საფრანგეთ-გერმანიის დახლოვება შეუძლებელია, თუ არ გადაიჭრა ის პრობლემები, რომელნიც ორივე მხარეს შეეხებიან მაგალითად, ეკონომიური აღებმიცემობის უშიშროება, ავსტრიის დამოუკიდებლობის და პოლონეთის მთლიანობის დაცვა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლდუინის ეროვნული პოლიტიკა

ბოლდუინმა საიმპერიო კონფერენციაზე განაცხადა, რომ ინგლისი მუდამ მომხრე იყო ერთა თვითგამორკვევის და ის მტკიცედ ატარებს ამ პრინციპს ცხოვრებაში.

დეპეშებიდან



უკანასკნელი ცნობები

დახმარება მემაღაროებს

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა ცენ. კომიტეტმა გადასცა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შეგროვილი 116789 მ. ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ.

საკავშირო კომპარტიის ც. ს. კ. პლენუმი

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს საღამოს სხდომაზე საკავ. კომპარტიის ც. ს. კ. პლენუმმა მოისმინა მოხსენებანი მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის შედეგების შესახებ; ძირითადი მოხსენება გააკეთა ამხ. კოსარევმა, შემდეგ საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ილინმა, უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ვლადიმიროვმა და ბელორუსიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა რადუს-ზენკოვიჩმა.

გერმანია - საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა

ბერლინი, 22 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა აუწყა საპარლამენტო კომისიას, რომ სწარმოებს მოლაპარაკება იმის შესახებ, რათა მომავალშიაც მიაწოდონ ფინანსები გერმანიის მწარმოებლებს საბჭოთა კავშირში საქონლის შეტანისათვის. გერმანიის მთავრობა ცდილობს გააფართოვოს ფინანსების მიწოდების შესაძლებლობა იმ ზომამდე, რომ მიცემული გარანტიები გამოყენებულ იქნენ მთლიანად.

სასჯელის შეცვლა

ერევანი, 22 ოქტომბერი. სომხეთის ცაკის პრეზიდიუმმა დღევანდელ სხდომაზე, მოისმინა რა სტეპანიანის შუამდგომლობა, რომელსაც ხოშოიანის მკვლელობის გამო მისჯილი ჰქონდა დახვრეტა, დაადგინა: შეეცვალოს სტეპანიანს დახვრეტა თავისუფლების აღკვეთით 10 წლის ვადით, სასტიკი იზოლიაციით.

იუნგმეისტერის ჩამოსვლა

22 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა საზოგადოება „უკრგოლზდუხპუტის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე და ტეხნიკური დირექტორი ვ. იუნგმეისტერი. იუნგმეისტერის ჩამოსვლა დაკავშირებულია თბილისსა და მოსკოვს შორის საჰაერო მიმოსვლის მოწესრიგების საქმესთან.

სოციალისტურ ახალგაზრდათა დეკლარაცია

ბერლინი, 24 ოქტომბერი. სოციალისტურ ახალგაზრდათა კავშირის ბერლინის ორგანიზაციის ოპოზიციის 20 ხელმძღვანელმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენ გვწამს, რომ სოციალისტური საზოგადოების დამყარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბურჟუაზია ნებაყოფლობით არ დასთმობს თავის ძალა-უფლებას. ბურჟუაზიასა და და სოციალურ დემოკრატიას შორის უნდა იქნეს პროლეტარიატის დიქტატურის საფეხური. მუშების შეიარაღება მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტიაა. ჩვენ მოვითხოვთ სოციალისტური ახალგაზრდობათა კავშირის დემოკრატიზაციას.

ბერლინის პარტაქტივის კრება

ბერლინი, 22 ოქტომბერი. ბერლინის პარტაქტივის კრებამ, 600 კაცის რაოდენობით, განიხილა საკითხი გერმანიის კომპარტიის ამოცანებისა და საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის განცხადების შესახებ.

ბრაუნმა ცეკას სახელით დაახასიათა თავის მოხსენებაში საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის განცხადება, როგორც ლენინიზმის გამარჯვება პოლიტიკურად და ორგანიზაციულად. კრებამ დიდი ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია გერმანიის კომპარტიის ამოცანების შესახებ და აგრეთვე ის რეზოლიუცია, რომელიც შემოიტანა საოლქო კომიტეტმა საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის განცხადების გამო.

ოპოზიციამ მიიღო გაცილებით ნაკლები ხმები ვიდრე პარტაქტივის ყველა წინანდელ კრებებზე.

მემაღაროეთა აღმასკომის სხდომა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. დღეს შესდგა მემაღაროეთა აღმასკომის სხდომა ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოსთან ერთად. ამ სხდომას მიზნად ჰქონდა ემბარგოსთვის უცხოეთის ნახშირზე და გაფიცულების სასარგებლოდ ტრედ-იუნიონებში შემოწირულებისათვის. თუმცა გენერალურმა საბჭომ სიმპატია გამოუცხადა მემაღაროებს, მაგრამ კონკრეტული დაპირებანი არ მისცა შემოწირულების შეგროვებისა და ემბარგოს შესახებ. გენერალურ საბჭოს ლიდერები უცხადებენ მემაღაროებს, რომ ისინი მზად არიან დააჯერონ მთავრობა, რომ კვლავ დაიწყოს მოლაპარაკება სანახშირო კომისიის მოხსენებაში აღნიშნული საფუძვლების მიხედვით.

თავზარდამცემი შეთანხმება

ლონდონი, 22 ოქტომბერი გაზეთების ცნობებით ჟენევის კონფერენციის შესახებ, სჩანს, რომ სამხრეთ-ბრიტანეთის კავშირის პრემიერ გერცოგის დეკლარაციამ კონფერენციის გახსნის დროს მოულოდნელი თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის მთავრობაზე. ფორმალური და ზრდილობიანი საერთო ადგილების მაგიერ გერცოგმა წამოაყენა საკუთრივ ინგლისსა და მის თვითმმართველ სამფლობელოებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების შემდეგი ფორმულა: პრინციპში—განუსაზღვრელი თავისუფლება იმპერიის თითეული წევრისათვის, პრაქტიკაში—კი თანაბარი თანამშრომლობის მიზნით.

რკინის ქუსლს გრძნობენ

ლონდონი, 22 ოქტომბერი. მემაღაროეთა კავშირის აღმასკომის წევრების თათბირის შემდეგ, ლეისტერშირის მემაღაროების სარაიონო საბჭომ ერთხმად დაადგინა მხარი დაუჭიროს კავშირის პოლიტიკას და ჩაატაროს მიტინგების კამპანია, რათა ლეისტერშირის მემაღაროები კვლავ შეუერთდნენ გაფიცვას.

„ლეისტერშირის მემაღაროები, განაცხადა კუკმა, მეტის-მეტად უკმაყოფილონი არიან 8 საათის სამუშაო დღით. პირველ დღეებში მუშაობის განახლების შემდეგ მათ კარგად ეპყრობოდენ, ეხლა კი ისინი რკინის ქუსლს გრძნობენ“.

შახტის განცხადება

ბერლინი, 22 ოქტომბ. რეიხსბანკის დირექტორმა შახტმა ფულის ბრუნვისა და კრედიტების კომისიაში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იგი იცავდა ოქროს მარაგის პოლიტიკას. მან აღნიშნა, რომ ეს მისი პოლიტიკა მარკის სიმტკიცის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა და გაილაშქრა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს ოქროს მარაგის ამერიკულ ბანკებში მოთავსებას პროცენტს ქვეშ. შახტის განცხადებით მარკა 45 პროც-ით არის უზრუნველყოფილი ოქროს მარაგით.

გერმანიის კომპარტიის ც. კ. ყოფ. წევრების საქმე

ბერლინი, 21 ოქტომბ. 18 ნოემბერს უზენაეს სასამართლოში დაიწყება გერმანიის კომპარტიის ც. კ. ყოფილ წევრების ლიპდაუს, პფეიფელერის, შუმანის და ბეკერტის საქმის გარჩევა, რომლებსაც ბრალი ედებათ სახელმწიფოს ღალატში. მათი საქმე გამოყოფილია ეგრეთწოდებულ გერმანიის კომპარტიის საგანგებო კომისიის პროცესიდან, რომლის დასრულებას ბოლო არ უჩანს.

ჰოლანდიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია

დღესასწაული ამსტერდამში

ბერლინი, 21 ოქტომბ. იმ დღესასწაულს, რომელიც იყო გამართული ამსტერდამში ჰოლანდიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაციის საბჭოთა კავშირიდან დაბრუნების გამო, მიუხედავათ კოკისპირული წვიმისა, დაესწრო 1.000 მეტი კაცი. დელეგაციის წევრთა გამოსვლას დიდის ალტაცებით შეხვდენ.

სხვადასხვა

პალატა ჰაბსბურგელებისათვის

ბერლინი, 22 ოქტომბერი. უნგრეთის ეროვნული კრება იხილავს კანონ-პროექტს, 24 წევრიან ზედა პალატის დაარსების შესახებ..

შეტანილია წინადადება, რომლის მიხედვით ჰაბსბურგის გვარეულობის ყველა წევრები. 24 წელზე ხნიანი, რომელნიც უნგრულ ენაზე ლაპარაკობენ, ავტომატიურად შედიან ამ ახალ საკანონმდებლო ორგანოში..

ამერიკის შრომის ფედერაციის წევრთა რაოდენობის შემცირება

ნიუ-იორკი, 22 ოქტომბერი. ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომმა დეტროიტში გამართულ ყოველწლიურ ყრილობას წარუდგინა ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ ფედერაციაში ამჟამად 2.813.910 წევრია—64.713 წევრით ნაკლები, ვინემ შარშან იყო.

პრეზიდენტის სავარძლისკენ

ბერლინი, 22 ოქტომბერი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, წარმომადგენელთა პალატამ დაადასტურა კონსტიტუციის დამატება, რომელიც საშუალებას აძლევს გენერალ ობრეგონს რომ კვლავ გახდეს მექსიკის პრეზიდენტი.

იტალიელები შეურაცყოფილად გრძნობენ თავს

ბერლინი, 22 ოქტომბერი. ათენის გაზეთების ცნობით, იტალიის მთავრობას შეურაცყოფად მიაჩნია საბერძნეთის პრესაში მოყვანილი კომენტარიები იტალიის მრეწველობის შესახებ.

აღნიშნული კომენტარიები შედეგად მოჰყვა იმ ფაქტის გამომჟღავნებას, რომ ყოფილმა პრემიერმა პანგალოსმა უფლებას გადააჭარბა იტალიის ფირმებთან ხელშეკრულების დადების დროს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სამეცნიერო ყრილობა

ხარბინი, 22 ოქტომბერი. ხარბინში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სამეცნიერო ყრილობაზე დასასწრებლად, რომელიც ტოკიოში იხსნება 30 ოქტომბერს.

19.960.725 მანეთი

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. არა სრული ცნობების მიხედვით, 21 ოქტომბრამდის მთელს საბჭოთა კავშირში ახალი მომგებიანი სესხი გასაღებულ იქნა 19.960.725 მანეთის რაოდენობით.

გუსტავ ლევერი გზათა სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს რკინის-გზათა საერთაშორისო კავშირის გენერალურმა მდივანმა გუსტავ ლევერმა ინახულა გზათა სახალხო კომისარიატი, სადაც ის მიღებულ იქნა გზათა სახალხო კომისარის მოადგილეების პოსტნიკოვის და ბორისოვის მიერ.

საკავშირო აღწერისათვის

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. საკავშირო აღწერის მომზადების გამო, ცენტრალურ სტატისტიკურმა სამმართველომ დაამუშავა და დაამტკიცა სამოსახლეო სიების შევსების წესები. ამ წესების მიხედვით ცალკე ოჯახურ მეურნეობათ ჩაითვლება იმ პირთა ჯგუფი, რომელნიც ნათესაობით არიან გაერთიანებული, ერთათ ცხოვრობენ და ერთი შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი აქვთ. ოჯახურ მეურნეობას აგრეთვე მიეთვლებიან დაქირავებული მუშები, მათი ოჯახების წევრებითურთ.

ფინელების დელეგაცია

ლენინგრადი, 22 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს ლენინგრადში ჩამოვიდა ფინეთის ეკონომიური დელეგაცია 4 კაცის შემადგენლობით.

ფინსახკომის განკარგულება

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა, რომ კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა მოსამსახურეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ახალ სესხზე ხელის მოწერაში იმ ზოგად საფუძვლების მიხედვით, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის.

კატასტროფა რკინის-გზაზე

მოსკოვი, 22 ოქტომბერს ღამით, მოსკოვის მახლობლად მოსკოვ-ყაზანის რკინის-გზის ხაზზე, კანონეევასა და ვოსკრესენსკის სადგურებს შუა მოხდა რკინის-გზის კატასტროფა.

ღამის 2 საათზე ძლიერმა ქარიშხალმა სადგურზე, კანონეევასა და ვოსკრესენსკის სადგურებს 15 ვაგონი, რომელიც დატვირთული იყო მანუფაქტურით, ფქვილით, ხორბლით და სხ. საქონლით. ამ ვაგონებს დაეჯახა საბარგო მატარებელი № 221. დაჯახების დროს 15 ვაგონი იქცა ნამსხვრევებად. ტელეგრაფის ერთი მუშა მოკვდა, ოთხი მუშა მძიმედ არის დაშავებული.

მატარებლების მოძრაობა ამ ხაზით 16 საათით შესწყდა.

106.000 მან. გაფლანგვა

ლენინგრადი 22 ოქტომბერი. საგუბერნიო სასამართლომ ამას წინათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ოქტომბრის რკინის-გზის ქალაქის სადგურის მოანგარიშეს ალექსეევს, რომელმაც 106 ათასი მან. გაფლანგა. უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი. ალექსეევის თხოვნა პატიების შესახებ ცაკმა უარჰყო. ალექსეევი დახვრეტილ იქმნა.

საქონელი ნისიათ

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო პასუხს აძლევს ადგილებიდან მიღებულ შეკითხვებს და აღნიშნავს, რომ მუშა-მოსამსახურეებისათვის მუშათა კრედიტის სახით საქონლის ორდერების გაცემის საკითხი სათანადო ორგანიზაციების მიერ დადებითად არის გადაჭრილი. გაცემულ ორდერების მიხედვით საქონლის ნისიათ გაცემის ნორმებს შეიმუშავებენ ფინსახკომის ორგანოები.

გუსტავ ლევერი საბჭოთა რკინის-გზების შესახებ

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. 22 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა რკინის გზათა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი გუსტავ ლევერვი, რომელმაც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პირველ მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„მე განცვიფრებაში მომიყვანა იმან, რომ საბჭოთა კავშირის რკინის-გზების აღდგენის პროცესი განსაკუთრებული სისწრაფით სწარმოებს. რკინის-გზები მუშაობენ შეუფერხებლად. საზღვრიდან მოსკოვამდე მდებარე სადგურებზე მე გამჩნევდი განსაკუთრებულ სიფრთხილეს და თავაზიანობას ტრანსპორტის მუშების მხრივ. საჭირო ფორმალობათა შესრულება გაადვილებულია მგზავრებისათვის“.

შეეხო რა გზათა სახალხო კომისარიატის და რკინის-გზათა საერთაშორისო კავშირის ურთიერთობას, ლევერმა განაცხადა:

„ეს ურთიერთობა სავსებით მოგვარებულია, ჩვენ ძალიან დაინტერესებული ვართ საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მდგომარეობით და დიდი ყურადღებით ვკითხულობთ გამოქვეყნებულ მასალებს ყველა იმ საკითხების შესახებ, რომელნიც შეეხებიან საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო მეურნეობას. მიმოსვლას შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპის შორის ციმბირის გზით, რომელიც ეხლა აღდგენილია, დიდი მომავალი აქვს. ტრანსპორტის დარგის მოღვაწეთა საერთო აზრი დასავლეთ ევროპაში ისეთია, რომ ეს გზა ძალიან ხელსაყრელია თვით ნიუ-იორკსა და პეკინს შორის დამოკიდებულებისათვის.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის მშენებლობის გეგმა

მოსკოვი. 22 ოქტომბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა და განიხილა სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლის კენიგის მოხსენება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. წყალთა სამეურნეო მშენებლობის გეგმის შესრულებისა გასულ წელში და 1926 - 27 სამეურნეო წლის სამშენებლო პროგრამის შესახებ.

კენიგმა აღნიშნა, რომ თანახმად ჯერ კიდევ არა სრული ცნობებისა, რომელიც მოიპოვება სახელმწიფო საგეგმო კომისიას, წყალთა სამეურნეო მშენებლობას ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. შემდეგი თავისებურება ახასიათებს: ჯერ ერთი შედარებით მცირე ხარჯები წყალთა მეურნეობის სამმართველო აპარატის შესანახად (წარსულ წელში წყალთა სამეურნეო მშენებლობაზე გაწეული ხარჯის 4-5 პროც.); მეორე—საირიგაციო და სამელიორაციო ქსელის შესანახ ხარჯებში თვით მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. სამწუხაროდ, ა.-კ. წყალთა მეურნეობის რეორგანიზაციის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების დღემდე შეუსრულებლობის გამო, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო დღესაც რჩება საკონტროლო და მეთვალყურე ორგანოდ ცალკე რესპუბლიკების წყალთა სამეურნეო სამმართველოებზე და არა თვითმოქმედ და მშენებლობის უშუალო მწარმოებელ ორგანოდ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

1926-27 სამეურნეო წლისათვის წყალთა სამეურნეო მშენებლობის საერთო გეგმა, განსახილველად წარდგენილ ყველა მასალების დაწვრილებითი დამუშავების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ. გეგმით უარყოფილია ახალი სამუშაოების დაწყება მიმდინარე წელში, ის გულისხმობს მხოლოდ წინა წლებში დაწყებულ სამუშაოთა დასრულებას. გეგმით თანხის განსაზღვრული ნაწილი გადადებულია საგამოკვლევო მუშაობისათვის, მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ მომავალ წლებში შესაძლებელი იყოს ახალი სამუშაოების დაწყება.

საგეგმო კომისიის მოხსენების ირგვლივ უმთავრესად კამათი გაიმართა წყლის მეურნეობის მმართველობის სისტემის საკითხის შესახებ.

ამხ. **ტერ-გაბრიელიანი** არ უარყოფს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებათა შეუსრულებლობის ფაქტს ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რ. წყლის მეურნეობის მმართველობის შეცვლის შესახებ, მაგრამ ამტკიცებს, რომ ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში არსებული მმართველობის სისტემა ამ მეურნეობისა არის მეტად ეკონომიური (500.000 მან. ეკონომია) და სავსებით ეთანხმება მეურნეობის არსებობისა და განვითარების ინტერესებს. ის შუა-აზიის სისტემაზე უფრო ხელსაყრელია, რადგან შუა-აზიის სისტემის აპარატის შენახვაზე გაცილებით უფრო მეტი თანხები იხარჯება.

ამხ. **რუძუტაკი** ეკამათება ამხ. ტერ-გაბრიელიანს და აღნიშნავს, რომ რამდენიმეთ ცენტრალიზაცია ქმნილ წყლის მეურნეობის მმართველობის მოწყობა აუცილებლად საჭიროა, მიტომ რომ თუ თვითეული რესპუბლიკა. რომელიც ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შედის წყლის სამეურნეო გეგმებს მხოლოდ თავიანთ ინტერესებს და მოთხოვნილებებს შეუთანხმებს, წყლის მეურნეობა საერთოდ დიდათ დაზიანდება, რადგან ამიერ-კავკასიის მდინარეები რამდენიმე რესპუბლიკის ტერიტორიას სჭრიან, ცხადია, რომ აუცილებლად საჭიროა რამდენიმეთ ცენტრალიზაცია ქმნილი წყლის მეურნეობის მმართველობის შექმნა. შრომისა და თავდაცვის საბჭომ, მოისმინა რა კენიგის მოხსენება და კამათი მოხსენების გამო, დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა წყლის მეურნეობის მუშაობისა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1926-27 წლისთვის და დაავალა საგანგებო კომისიას, რუძუტაკის თავმჯდომარეობით, განიხილოს საკითხი თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ რესპუბლიკაში არსებული წყლის მეურნეობის სისტემის მმართველობა და თვისი მოსაზრებანი წარადგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოში დასამტკიცებლად.

პროფკავშირის მუშაობის შედეგები და მისი მორიგი ამოცანები

ამხ. ტომსკის თეზისები მე-15 პარტკონფერენციისათვის

მოწონებული ს. კ. პ. ც. კ. პოლიტბიუროს მიერ

მოსკოვი, 22 ოქტომბ. პროფკავშირების შედეგებსა და მორიგ ამოცანების შესახებ ამხ. ტომსკის მიერ მე-14 პარტკონფერენციისათვის შემუშავებულ თეზისებში აღნიშნულია, რომ მთელი რიგი სამეურნეო ორგანიზაციების მხრით ადგილი ჰქონდა მომჭირნეობის რეჟიმის დაუშვებელ დამახინჯებას, რაც გამოიხატა არა საწარმოო პროცესის რაციონალიზაციაში და ზედნადები ხარჯების შემცირებაში, არამედ მუშათა საარსებო მოთხოვნილებათა ინტერესების დარღვევაში, ხშირად ადგილი ქონდა ხელფასის ნორმების უდროოულ გადასინჯვას და ადმინისტრაციის მხრით მუშებისადმი წვრილმანური ხასიათის დამოკიდებულებას, რაიცა ხანდახან კოლექტიური ხელშეკრულებათა და შრომის კანონთა კოდექსის პირდაპირ დარღვევამდე მიდიოდა.

პარტიამ და პროფკავშირებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ სამეურნეო ორგანოებისა და ცალკე ადმინისტრატორების მიერ ყოველგვარ ბიუროკრატიულ დამახინჯებას პარტიულ და საბჭოთა ხელისუფლების ხაზით. ამავე დროს პროფკავშირების მორიგ ამოცანას წარმოადგენს მიზანშეწონილი და დაუღალავი მუშაობა პროფკავშირისა და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად და აგრეთვე გადამწყვეტი ბრძოლა იმ ანარქიულ მეთოდებთან (გაფიცვა კავშირის ნებადაურთველად და სხვ.), რომელთაც მუშათა ზოგიერთი ჯგუფები მიმართავენ ეკონომიურ და ყოფაცხოვრების საკითხების გადასაჭრელად, იმის მაგიერ, რომ ამოსწურონ კანონიერი და ნორმალური საშუალებანი თავისი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

ეხება რა საწარმოო თათბირებს, თეზისები აღნიშნავენ, რომ საწარმოო თათბირებმა და კონფერენციებმა პროფკავშირების ენერგიულ და მოხერხებულ ხელმძღვანელობით უნდა ითამაშონ დიდი როლი და მუშათა ფართო მასების მოწყობასა და სოციალისტურ მშენებლობის საქმეში შეგნებული მონაწილეობა უნდა მიაღწიონ.

საწარმოო თათბირების მორიგი ამოცანები ამჟამად შემდეგია: მათი მოღვაწეობის გაღრმავება გეგმაშეწონილი მუშაობით, განხილვა და დამუშავება უფრო მსხვილი საკითხებისა, როგორიცაა მაგალითად: გაუმჯობესება საწარმოო შრომის ორგანიზაციისა, მთელი ამქრისა, მთელი საწარმოსი, ტრესტის მთლიანად და სხვ. ყველა პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო თათბირებს, გააძლიერონ მათი პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელობა და შეეცადონ მათი საწარმოო გეგმა-შეწონილ გადაწყვეტილებათა დაჩქარებით ცხოვრებაში გატარებას. სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო თათბირებს იმ ცირკულიარის მიხედვით, რომელიც უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ ივლისში. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ თვალყური უნდა ადევნოს აღნიშნულ ცირკულიარის ცხოვრებაში გატარებას, მიიღოს ზომები დაუდევრობის წინააღმდეგ საწარმოო თათბირების წინადადებათა განხილვის დროს და პასუხისგებაში მისცეს ის ადმინისტრატორები და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც არ ასრულებენ აღნიშნულ დირექტივებს და ამახინჯებენ საბჭოთა სახელმწიფოს ხაზს ამ საკითხში.

იმ მიზნით, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა გაღრმავებულ იქნეს და ისინი უკეთ გაეცნონ საწარმოთა მმართველობის საქმეს, მათ გეგმებს, ფინანსებს, სავაჭრო და საოპერაციო აპარატებს და არსებულ რესურსების რაციონალურად გამოყენებას, — საჭიროა, რომ როგორც ცდა ცალკე საწარმოებში ფაბრიკებმა და საწარმოო თათბირებმა შექმნან დროებითი მუშათა საკონტროლო კომისიები.

შემდეგ თეზისები აღნიშნავენ, რომ საწარმოო თათბირების მუშაობის გაღრმავება. მათი საკონტროლო ფუნქციების გაძლიერება, მუშების შეუფერხებელი და ენერგიული წამოყენება ყველა სამეურნეო პოსტებზე და პროფკავშირების სისტემატიური და გეგმა-შეწონილი მონაწილეობა ამ კონფერენციის გადაწყვეტილებათა მიხედვით და მთელი პარტიის მხარის დაჭერით, წინასწარ პირობას შექმნიან პროფკავშირებისა და მთელი მუშათა კლასის მისაზიდავად წარმოების ორგანიზაციის საქმეში და ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ სოციალისტური მშენებლობის წარმატებას.

სამუშაო ხელფასის დარგში კონფერენციას წინადადება ეძლევა სავსებით და მთლიანად მოიწონონ პარტიის პოლიტიკა, რომელსაც სავსებით მხარს უჭერს პროფკავშირები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის თევზის ტრესტის მუშაობის შედეგები

ბაქო, 22 ოქტომბ. 1926 წელში აზერბეიჯანის სათევზო ტრესტში ითვლებოდა 13 სათევზო წარმოება. ამ წარმოებებში თევზის მოპოვება ორი უმთავრესი პერიოდით განისაზღვრება: გაზაფხულის — (მარტი — მაისი) და შემოდგომის (აგვისტო-ოქტომბერი). გაზაფხულის მუშაობა თევზის მოპოვების 75 პროც. იძლევა. შემოდგომის—20 პროც. დანარჩენი დროსი — 5 პროც.

1926 წლის განმავლობაში დაჭერილ თევზის საერთო რაოდენობა, წარსულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნათ გაიზარდა. განვლილ 9 თვის განმავლობაში 1 ოქტომბრამდის დაჭერილ თევზის რაოდენობა უდრიდა 1.221.496 ფუთ ცოცხალ თევზს, რაც დასახულ პროგრამას აჭარბებს 11.1 პროც-ით. 1925 წლის თევზის საერთო მოსაპოვარი უდრიდა 794.047 ფუთს, ე. ი. წრევანდელ დანაჭერის 54,4 პროც-ს. 9 თვის განმავლობაში მოპოვებული თევზი შეფასებულია 5.148.743 მანეთათ. რომელიც 587.659 მანეთით მეტია 1925 წელში დანაჭერ თევზის საფასურზე.

ყველაზე უფრო ინტენსიურ პერიოდში, აპრილში, წარმოებებზე მუშაობდა 5.648 კაცი, წარსული წლის 3.368-ის წინააღმდეგ.

ტრესტი თავის ნაწარმოებთა 75 პროც. ასაღებს საბჭოთა კავშირის ბაზრებზე და მხოლოთ 25 პროც-ს ამიერ-კავკასიაში.

ცხრახან წარმოებებზე შემოღებულ იქნა ბადეების საზიდების მექანიზაცია და მთელი რიგი გაუმჯობესებათა, რაც მნიშვნელოვან მომჭირნეობასაც იძლევა და ხელს უწყობს წარმოებების მუშაობის გაძლიერებას.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადი განჯის მაზრაში

განჯა, 22 ოქტომბერი. განჯის მაზრაში სასოფლო - სამეურნეო გადასახადი გამოანგარიშებულია 337.854 მანეთის რაოდენობით. გადასახადიდან განთავისუფლებული არიან 2.708 მეურნეობანი.

დახმარება ინგლისის მემაღაროელებს

ბაქო, 22 ოქტომბ. კამპანიის დაწყებიდან დღევანდლამდე, ინგლისის გაფიცულ მემაღაროელების სასარგებლოთ, აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოში შემოვიდა 178.662 მანეთი.

საქმე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ცემის შესახებ

შემახა, 22 ოქტომბ. ბაქოს საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია სოფელ კუზალის ცნობილ კულაკის ვალა - ოღლან - ჯერბალაი - კახრამანულ - ალი - ოღლის საქმე, რომელმაც თავის ნათესავებთან ერთად სასტიკად სცემა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც მისგან კანონიერ მოთხოვნილების შესრულებას ითხოვდა. სასამართლომ კულაკს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მის სამ ნათესავს—სამ-სამი წლით.

კურუზმინის აღმასკომის მდივნის საქმე

შემახა, 22 ოქტომბ. კურუზმინის აღმასკომის მდივანმა ყულიევმა მიითვისა 4.000 მან. სახელმწიფო ფული. დანაშაულობა რომ არ გამჟღავნებულიყო ყულიევმა გასტეხა თავისი ბინის კლიტე და განაცხადა. რომ ის გაქურდეს. ბაქოს საოლქო სასამართლოს სესიამ მას მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით უფლებების ჩამორთმევა.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის წინააღმდეგ—პარტიის მთლიანობისათვის

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტ. კომისიის მეოთხე პლენუმი

მოსკოვი, 22 ოქტომბ. 21 ოქტომბერს კრემლის დიდი სასახლის ანდრეევის დარბაზში გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მეოთხე პლენუმი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის 1926—27 წლის მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩუცკაევმა.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმა, განაცხადა მომხსენებელმა, აგებულია განსაზღვრულ წესრიგზე. ახალი გეგმის 56 თემა სამათ არის განაწილებული: 15 გენერალური თემა, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ არა მარტო მიმდინარე წლისათვის, არამედ მთელი რიგი წლებისათვის, 33 საკონიუნქტურო—წლიური თემა, რომელნიც მხოლოდ მიმდინარე წელს ეხებიან და 8 თემა, რომელთაც სასწრაფო ხასიათი აქვთ.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თემა პირველ ნაწილში არის ინდუსტრიალიზაციის თემა. გენერალურ თემათა შორის მოთავსებული მთავარ თემებს ეკუთვნიან აგრეთვე: სოციალისტური ელემენტების განვითარება ჩვენს სოფელში, შინა - მრეწველობის საკითხების შესწავლა, შრომის საკითხების მოწესრიგება და გეგმიანობისა, აღრიცხვისა და ორგანიზაციის საქმის მოგვარება.

საკონიუნქტურო - წლიური მნიშვნელობის თემათა შორის უნდა აღინიშნოს ის თემები, რომელნიც ჩვენი კავშირის თავდაცვის საქმესთან არიან დაკავშირებული. ამავე თემებს შორის არის მოთავსებული იჯარისა და დაქირავებულ შრომის საკითხები. ჩვენი გეგმის საკონიუნქტურო - წლიურ ამოცანათა ნაწილი ყველაზე უფრო ფართოა: იგი შეიცავს ყველა თემების თითქმის 60 პროც.

ამაში შედის შემდეგი თემები: ტრანსპორტის, ბიუჯეტის, საგადასახადო პოლიტიკისა, სამუშაო ხელფასისა, შტატებისა, აღრიცხვისა და სხვ.

დაბოლოს, უკანასკნელ ნაწილს — გადაუდებელ სასწრაფო თემებს ეკუთვნის 8 თემა, რომელნიც ერთის მხრივ ეხებიან მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას და მეორეს მხრით, რეზერვების დაგროვებას, სავალუტო და საბიუჯეტო გეგმების დამტკიცებას და შესრულებას, სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო საქმიანობას, სამმართველო აპარატის სტრუქტურას და სხვ.

თუ ჩვენი მუშაობა მხოლოდ გეგმიანი მუშაობის ჩარჩოებით განისაზღვრება, ცხოვრებას ჩამოვრჩებით და უეჭველია, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენი საქმიანობა დაკარგავდა იმ მნიშვნელობას, რომელიც მას აქვს. ამიტომ გეგმის გარეშე მუშაობას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

გეგმა ჩვენს მუშაობაში, რასაკვირველია, ყველაფერი არ არის. საკითხს სწყვეტს მუშაობა მის შესასრულებლად. თუ ჩვენს გეგმას დაადასტურებს პლენუმი, თუ მას სცნობს ჩვენი უმაღლესი საკონტროლო ორგანო, — ეს იქნება დასაყრდენი ჩვენი მომავალი მუშაობისათვის.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვლადიმირსკიმ, რადუს-ზენკოვიჩმა, პოზერნმა, როზმიროვიჩმა და სხვ.

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ბერლინის პარტიული კონფერენცია

ბერლინი, 22 ოქტ. ბერლინის პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც 20 ოქტომბერს შესდგა, განხილულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის ბელადების განცხადება.

კამათმა გამოარკვია, რომ გერმანიის ოპოზიციის რიგებში სრული დაბნეულობაა. ეგრედ წოდებული ვედდინგის ჯგუფი (ვედდინგი—ბერლინის რაიონია, სადაც არსებობს არხი-მემარცხენე ოპოზიციონური ჯგუფი, რომელიც გამოდის როგორც ცეკას, ისე მასლოვის ჯგუფის წინააღმდეგ) ეხლა უფრო მრავალრიცხოვანია თავისი შემადგენლობით, ვიდრე წინედ იყო.

ურბანსის ჯგუფმა შეიტანა წინადადება, რომელიც, კონფერენციის საერთო აზრით, მასლოვის ნაკარნახევია. სხვადასხვა ორატორები ამ რეზოლიუციას უწოდებენ აშკარა პროვოკაციას იმ პირთა მხრივ, რომლებმაც საბოლოოდ გასწყვიტეს კავშირი პარტიასთან. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმის აღნიშვნამ, თითქოს რუს ოპოზიციონერებს რომელიღაც განცხადება გაეკეთებინათ. ამგვარად, ურბანსის ჯგუფი აგრძელებს ბრძოლას საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის წინააღმდეგ, სარგებლობს რა საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის მასალებით; ეს ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმას, რომ აქაურ ოპოზიციონერებს სულ უკანასკნელ მომენტამდე კავშირი ჰქონდათ ოპოზიციასთან მოსკოვში.

კონფერენციამ გამოააშკარავა, რომ იზრდება აღშფოთება ურბანსის პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ. კონფერენციამ დიდი ხმის უმრავლესობით დაადასტურა ცეკას როგორც საერთო ხაზი, ისე მისი გადაწყვეტილება ოპოზიციის შესახებ.

უკრაინის კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი—შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. კაგანოვიჩისა და პეტროვსკის მოხსენება შინა-პარტიული მდგომარეობისა და ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ, უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი აღნიშნავს:

მე-14 ყრილობაზე, როგორც ცეკას ანგარიშის შესახებ რეზოლიუციის შემუშავებისა, ისე ახალი ცეკას არჩევნების დროს,—მიუხედავათ აშკარა შეცდომებისა და ლენინიზმიდან გადახრისა, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ჩაიდინა ეგრედ წოდებულმა ახალმა ოპოზიციამ,—პარტია ყოველ მხრივ შეეცადა; რომ უზრუნველეყო ოპოზიციისათვის საერთო მუშაობაში მონაწილეობა; ამასთანავე პარტია იმედოვნებდა, რომ აქ მუშაობის პროცესში პარტიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე აღმოფხვრილ იქნებოდა ოპოზიციის საშიში შეცდომები და გადახრანი. მე-14 ყრილობამ ოპოზიციის ხელმძღვანელნი შეიყვანა ცეკაში და ცეკას პლენუმმა კი პოლიტბიუროში.

მაგრამ შემდეგმა ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ეგრედ წოდებულმა ოპოზიციამ არა თუ არ გამოიჩინა უმცირესი მიდრეკილებაც კი თავისი იდეური შეცდომების გასწორებისადმი, არამედ იგი წავიდა ამ შეცდომების კიდევ უფრო გაღრმავების გზით, შექმნა ანტიპარტიული, ანტილენინური ბლოკი, ლიკვიდატორულ წვრილბურჟუაზიულ „ავგისტის“ ბლოკის მსგავსად, რომელშიაც მან გააერთიანა პარტიის წინანდელი დადგენილებებით დაგმობილი ფრაქციებისა და ჯგუფების ნაშთები (ტროცკიზმი, რომელიც მე-13 ყრილობამ დაახასიათა როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრა, და „მუშათა ოპოზიცია“, რომელიც მე-10 ყრილობამ დაახასიათა როგორც ანარქო-სინდიკალისტური გადახრა და რომლის დაცვა ყრილობამ შეუთავსებლად სცნო რუს. კომპარტიისათვის).

ამ ბლოკის იდეური არსების საფუძველია რწმენის დაკარგვა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში; რევიზია ლენინიზმის ძირითად შეხედულებათა ჩვენი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ხასიათისა და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ; განცხადება იმისა, რომ ვითომც ხდება ჩვენი პარტიის ბურჟუაზიული გადაგვარება, რაიც სმენოვეხოველებისა და მენშევიკების ძველის-ძველ გადაღეჭილ აზრებს წარმოადგენს; მხარის დაჭერა ეგრედ წოდებულ ულტრა მემარცხენე მიმდინარეობათათვის კომინტერნში, რომელნიც იქ, არსებითად, მეორე ინტერნაციონალის აგენტურას წარმოადგენენ და ილაშქრებენ კომინტერნისა, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და ბოლოს, ლენინის მოძღვრების, რომლის მიხედვით პარტია წარმოადგენს ერთიან და მონოლიტურ მთლიანობას, შეცვლა ტროცკისტულ-აქსელროდულ მოძღვრებით.

აღრმავებდა რა თავის იდეურ შეცდომებს, რომელნიც დაგმობილი იყო პარტიის უმაღლესი ორგანოების მიერ, ოპოზიცია წინააღმდეგ მე-10 და მე-13 პარტყრილობების აშკარა და ნათელ გადაწყვეტილებათა, რომელნიც კატეგორიულად კრძალავენ რაიმე ფრაქციებისა და ჯგუფების არსებობას ჩვენი პარტიის შიგნით, დიდი მასშტაბით აფართოებდა საიდუმლო ფრაქციულ, გამთიშავ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ, ცეკას და მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ,—საიდუმლო დოკუმენტების გავრცელებისა არალეგალურ კრებების მოწყობისა, თავის მომხრეთა ფრაქციის ორგანიზაციული ჩამოყალიბების გზით.

ოპოზიციის ამ მუშაობამ, რომელსაც მეთაურობდენ ცეკას წევრები, აიძულა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტ. კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმი, რომ ორგანიზაციული ზომები მიეღო პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად ლენინის მიერ დაწერილ მე-10 ყრილობის რეზოლიუციის თანახმად და გამორიცხა ამხ. ზინოვიევი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან და ამხ. ლაშევიჩი კი—ცეკას შემადგენლობიდან.

მაგრამ ივლისის პლენუმის შემდეგაც ოპოზიციამ არა თუ არ დაანება თავი მუშაობას, არამედ გააფართოვა იგი უფრო ფართოდ და აშკარად დაიჭირა პარტიის განხეთქილების კურსი. დაბოლოს უკანასკნელ კვირეებში ოპოზიციამ ორგანიზაციაქმნილი ცდა მოახდინა იმისათვის, რომ პარტია ჩაება დისკუსიაში იმ საკითხების გარშემო, რომელნიც უკვე გადაწყვიტა მე-14 ყრილობამ. ცეკას წევრები—ტროცკი, ზინოვიევი, პიატაკოვი, სმილგა,—თავის თანამოაზრეთა ჯგუფით მიდიან „ავიოპრიბორის“ ქარხანაში იმ მიზნით, რომ გაეტარებიათ ცეკას წინააღმდეგ მიმართული რეზოლიუცია; ერთდროულად ასეთივე ცდანი მოახდინეს მათმა თანამოაზრეებმა სხვა უჯრედებში. იმის შემდეგ, რაც უჯრედმა სასტიკი პასუხი გასცა მათ და პოლიტბიურომ გადაჭრით დაგმო ეს დეზორგანიზატორული გამოსვლები, ოპოზიციის მომხრეთა მთელი ჯგუფი, ცეკას წევრების ზინოვიევის და ევდოკიმოვის მეთაურობით გაემგზავრა ლენინგრადში იმ მიზნით, რომ იქ კვლავ გამოსულიყო ცეკას ხაზის წინააღმდეგ; ამასთანავე, ამხ. ზინოვიევმა, რომელიც მეთაურობდა ამ უჯრედს, მესამეჯერ დაარღვია ცეკას შინაური დისციპლინა.

პარტიულმა მასამ, უპირველეს ყოვლისა მუშა-კომუნისტებმა, გვიჩვენეს თავისი უდრეკი შეგნება და ლენინური სიმტკიცე, და ერთსულოვნად, გადაჭრით გაილაშქრეს ოპოზიციის ზრახვების წინააღმდეგ, რომელსაც სურდა ლენინური ხაზის გამრუდება და ლენინურ ხელმძღვანელობის მოსპობა. ცეკას წევრების ტროცკის, ზინოვიევის, პიატაკოვის, ევდოკიმოვის გამოსვლა, რომელნიც ელემენტარულ პარტიულ დისციპლინის არღვევენ, და ოპოზიციის სხვა ხელმძღვანელების გამოსვლა მუშათა უჯრედებში, სრული მარცხით დამთავრდა.

უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი სავსებით და მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტიკურ ხაზს, რომელიც მთელმა პარტიამ დასახა მე-14 ყრილობაზე, კატეგორიულად გმობს ოპოზიციის ანტი-ლენინურ შეხედულებებს და ადგენს. რომ ულმობელი ბრძოლა აწარმოოს ლენინიზმის იდეურ რევიზიასთან, ყოველგვარ ფრაქციულობასთან უკრაინის პარტორგანიზაციებში და მოითხოვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან, რომ გადამჭრელი ზომები მიიღოს პარტიის მთლიანობის უზრუნველყოფისათვის და ოპოზიციის ფრაქციულ-გამთიშავი მუშაობის წინააღმდეგ საერთო-საკავშირო მასშტაბით.

გამოხატავს რა მთელი უკრაინის პარტორგანიზაციების ერთსულოვან აზრს, უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი სცნობს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრები, რომლებმაც ვერ გაამართლეს მთელი პარტიის ნდობა, სამ თვის განმავლობაში პარტიის ზურგს უკან ხელმძღვანელობდენ ფრაქციულ მუშაობას, რომელიც ფაქტიურად პარტიის გათიშვისაკენ იყო მიმართული, ის ცეკას წევრები, რომლებმაც ბოლშევიკურ პარტიაში არაჩვეულებრივი და გაუგონარი ნაბიჯებით დაარღვიეს პარტიისა და ცეკას დისციპლინა, არ შეიძლება დარჩნენ ცეკას შემადგენლობაში. პარტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მოეხდინა მათი ცეკაში დატოვების უკანასკნელი ცდა, თუ ისინი ყოველგვარი პირობის გარეშე მთელი პარტიის წინაშე აღიარებდენ თავის შეცდომებს, გადაჭრით, არა სიტყვით, არამედ საქმით უარს იტყვიან ყოველგვარ ფრაქციულ ბრძოლაზე, გაემიჯნებიან ლიკვიდატორულ პარტიის საწინააღმდეგო შეხედულებათაგან, რომელნიც კომუნისტურ დროშას ეფარებიან როგორც ჩვენი პარტიის შიგნით (მედვედევი, შლიაპნიკოვი), ისე საერთაშორისო მოძრაობაში (რუთ ფიშერი, მასლოვი, ურბანსი, ვებერი და სხ.). და ვალად იდებენ, რომ სიტყვის შეუბრუნებლად დაემორჩილონ პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს, რომლებსაც გამოიტანენ მისი ყრილობები, ცეკა და ცენტრ. საკონტროლო კომისია.

უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რომელი გზაც არ უნდა აირჩიონ ეხლა გაკოტრებული ოპოზიციის ბელადებმა,—დაემორჩილებიან პარტიის ერთსულოვნად გამოხატულ აზრს თუ კვლავ განაგრძობენ შემცდარი აზრებისა და გადახრების დაცვას,—პარტია მაინც შესძლებს კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი მთლიანობა, და ეყრდნობა რა მუშათა კლასისა და ფართო მშრომელი მასის მხარის დაჭერას, ღირსეულად გაუძღვება სოციალისტურ მეურნეობის განვითარებისა და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების დიად საქმეს.

სომხეთის პარტორგანიზაციების რეზოლიუციები

ერევანი. 22 ოქტომბერი. სომხეთის კომპარტიის ორგანიზაციების პარტაქტივების კრებამ კარაკლისში და მეგრში, ერევნის მუშფაკის და სომხეთის სახელმწიფო დაწესებულების უჯრედებისა და აგრეთვე ერევნის ქალაქის უჯრედთა მდივნების თათბირმა მოისმინეს რა მოხსენებანი ივლისის პლენუმის შედეგებისა და ოპოზიციის ბელადების გამოსვლის შესახებ, გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც გმობს ოპოზიციის გამოსვლას და იწონებს ც. კ. ლენინურ ხაზს. კრება გამოსთქვამს სურვილს, რომ ის მზად არის იბრძოლოს ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ და აღუთქვამს ცენ. კომიტეტისა და პარტიის მთლიანობის დაცვას.

საქართველოს კომორგანიზაციების ხმა

გომი

მოისმინა რა ამხ. ცხაძის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის გომის ორგანიზაციის კრება აღნიშნავს, რომ ეგრედ წოდებული ახალი ოპოზიციის გამოსვლა საფრთხეს უქმნიდა პარტიის მთლიანობას. ახალი ოპოზიციის მოთხოვნილება გლეხობის დაბეგვრისა და საქონელზე ფასების აწევის შესახებ მუშებისა და გლეხების ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. კრება ჰკიცხავს ოპოზიციის ცდას თავზე მოახვიოს პარტიას დისკუსია და აცხადებს, რომ მიმდინარე რთულ პერიოდში, მთელი პარტიის ყურადღება ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობისაკენ უნდა იქნეს მიმართული. ადგილობრივ ოპოზიციონერების მ. ოკუჯავას, კ. ცინცაძის და სხვების გამოსვლას, პარტიის ხაზის წინააღმდეგ კრება აღშფოთებით აღნიშნავს და სავსებით იწონებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ადგილობრივი ოპოზიციის ასალაგმავად მიღებულ ზომებს. კრება მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მტკიცედ შემოკრბნენ პარტიის ლენინურ ცეკას გარშემო.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

მაჩხაანი

„მაჩხაანის რაიონის პარტორგანიზაციის წევრთა და აქტიურ ა. ლ. კომკავშირელთა კრებამ მოისმინა ამხ. მართაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შესახებ. კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიცია ასცდა ლენინის გზას და ტროცკის გავლენის ქვეშ მოექცა. ის იბრძვის ლენინურ ცეკას ხაზის წინააღმდეგ და მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის ტემპის გასაძლიერებლად გლეხობაზე გადასახადების გაძლიერებას და საქონელზე ფასების გადიდებას. კრება სთვლის, რომ ოპოზიციის მოთხოვნილება გადასახადის გადიდებისა და საქონელზე ფასების აწევის შესახებ დაარღვევს მუშებისა და გლეხების კავშირს, რომელზედაც ემყარება ჩვენი ხელისუფლების სიმტკიცე. მაჩხაანის პარტორგანიზაციის კრება გადაჭრით უარყოფს ოპოზიციის თვალსაზრისს და აცხადებს, რომ ის მტკიცედ გაატარებს ცხოვრებაში ლენინურ ცეკას ხაზს.

გაუმარჯოს კომპარტიის კოლექტიურ ბელადს—ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ბოლშევიკურ სიმტკიცეს და მთლიანობას“!

პარტაღწერა

ცირკულიარულად

ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების ცეკას, საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ითვალისწინებს რა მოსამზადებელი მუშაობის, უმთავრესად სტატისტიკის დროზე ჩატარების მთელ მნიშვნელობას, საკ. კომპარტ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს უდიდესი ყურადღება მიაქციონ პარტაღწერის და მისი ჩატარების საკითხებს, კერძოთ, არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა შედგენილ იქნას დარების, თემების, სამაზრო კომიტეტების და უჯრედების სრული სია მათი რიცხვობრივ შემადგენლობის აღნიშვნით; დამატებითი სიის წარდგენის ვადა—არა უგვიანეს 1-ლი დეკემბრისა. სია წინასწარ შედარებული უნდა იქნას სააღრიცხვო ბარათებთან და საუჯრედო სიებთან შემდეგი ფორმის მიხედვით:

№№ რიგზე.	უჯრედის სახელწ.	უჯრედის ტიპი.	უჯრედის მისამართი და ტელეფ. №	უჯრედი რომელ კომიტეტს ეკუთვნის	პარტიის წევრი			კანდიდატი			სულ კომუნისტი.
					მამაკაცი.	მდედრობ.	ორივე სქესის.	მამაკაცი.	მდედრობითი.	ორივე სქესის.	

შენიშვნა: სამაზრო და სარაიონო კომიტეტებმა ამ ვადისათვის ყველა ცალკე კომუნისტები უნდა მიამაგრონ უჯრედებზე, რომ ისინი არ გამორჩენ პარტაღწერას.

ნოემბრის თვის განმავლობაში შემოწმებულ იქნას—ხელზე აქვთ თუ არა წევრებსა და კანდიდატებს პარტბილეთები, საკანდიდატო ბარათები ან დროებითი მოწმობები (არა სამაზრო კომიტეტებზე დაბლა გაცემულ პარტკომის მიერ) და, აგრეთვე, შემოწმებულ იქნას—დროზე აქვთ თუ არა მათ გადახდილი საწევრო გადასახადი; ამასთანავე მიეცეს მათ ახსნა-განმარტება, რომ 3 თვის განმავლობაში პარტდოკუმენტის ხელზე უქონლობა და საწევრო გადასახადის შეუტანლობა გამოიწვევს მათ გამოტოვებას პარტაღწერის დროს და არც განახლებული იქნება მათი პარტდოკუმენტები.

დაჩქარდეს და 1-ლ დეკემბრისთვის დასრულდეს პარტდოკუმენტების გაცემა კანდიდატად ჩარიცხულთა და კანდიდატობიდან წევრად გადარიცხულთათვის; ამ დროისთვისვე დასრულდეს დაკარგულ პარტდოკუმენტების განახლება.

15—25 ნოემბრამდე ყველა უჯრედებში ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი კამპანია პარტაღწერის მიზნებისა და ამოცანების შესახებ და ყოველი პარტიულის მოვალეობის შესახებ აღწერის მიმართ; ამასთანავე ადგილობრივ პრესაში გაშუქებულ უნდა იქნას პარტაღწერის ამოცანები.

1—15 ნოემბრამდე რესპუბლიკანური მასშტაბით ჩატარდეს აღწერის სამაზრო და საოლქო ორგანიზატორთა თათბირი, რომლის მოწვევის ვადა შეთანხმებულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის სააღწერო კომისიასთან.

შენიშვნა: მაზრებსა და ოლქებში გადამწერთა სახელმძღვანელო თათბირი მოეწყოს სამაზრო-საოლქო ორგანიზატორის ხელმძღვანელობით 6,7 და 8 დეკემბერს.

ნაციონალურ ენებზე შედგენილი სააღწერო ბლანკები არა უგვიანეს 15 ნოემბრისა უნდა დაეგზავნოს ყველა უჯრედებში, რომ ყოველ პარტიულს შეეძლოს გაეცნოს სააღწერო ბლანკს.

არა უგვიანეს 15 ნოემბრისა შედგენილ იქნას რეგისტრატორების დაგზავნის დაწვრილებითი გეგმა და გამოირკვეს ადგილობრივ რეგისტრატორთა რაოდენობა, რომელიც გამოყოფაც შეიძლება ადგილობრივ პარტიულებისა და კომკავშირელებისაგან; ამასთანავე ცენტრში მომარაგებული უნდა იქნას მაზრებში გასაგზავნ რეგისტრატორთა საჭირო კადრი, სააღწერო რაიონების ნაციონალური შემადგენლობის გათვალისწინებით.

ამავე ვადისთვის, საკ. კომპარ. (ბ) ცეკას ვარაუდის მხედველობაში მიღებით, შედგენილ იქნას დაახლოვებითი ხარჯთაღრიცხვა რეგისტრატორების, თარჯიმნებისა და სამგზავრო ხარჯების გასტუმრების შესახებ.

საკ. კომ. პარ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი—**იაკუბოვი**.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დისტანცია აბნეული ლომსაძე

(ბორჯომი)

ბორჯომში არის ეგრეთ წოდებული გზათა დისტანცია. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ პატივცემულ დაწესებულების უფროსის თანაშემწე ლომსაძეს ნათელი წარმოდგენა აქვს საზოგადოთ დისტანციაზე და კერძოთ პირად და სახელმწიფო ქონებათა შორის არსებულ დისტანციაზე.

არაფერი ამის მსგავსი. მისი და სხვისი, სახელმწიფო და საზოგადო ლომსაძის შეგნებაში ისეა ასერილი ერთმანეთში, როგორც ფლავში ბრინჯი და ქიშმიში. ან კი როგორ არ უნდა აესვარიოს? ძნელია, როცა თვალწარმტაცი ბორჯომის ხეობა, ავტომობილი, კეკლუცი ქალები და „ნაჩალნიკური“ თანამდებობა და ყველა ამდაგვარი სიკეთე ერთბაშად მოევლინება კაცს. რის გაძლება უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ნეტარების ძალით არ დათვრეს და რამე სიბრიყვე არ ჩაიდინოს.

ლომსაძე, არც ისე გამობრძმედილი კაცია, მისმა ნერვებმა და ხასიათის სიმტკიცემ ვერ გაუძლო ერთბაშად მოზღვავებულ ბედნიერებას და ის თავდავიწყებით ნეტარების მორევში გადაეშვა. არ დაინდო ამ მორევმა მოკ. ლომსაძე.

ერთ მზიან და მცხუნვარე დღეს, როცა ბორჯომი სიცხის ალში იწვოდა, დისტანციის უფროსის თანაშემწე ლომსაძე, ვიღაც უცნობი ქალით შურდულივით მიჰქროდა ავტომობილით ბაკურიანისაკენ. გზა დიდი ეჭირა დისტანციის უფროსის თანაშემწეს. მისი უკანასკნელი დანიშნულების პუნქტი ახალ-ქალაქი იყო. მაგრამ ახალ-ქალაქამდე არა ერთი სხვა შესასვენებელი პუნქტია.

მაგალითად ბაკურიანი. დუქნები ბევრია აქ და რესტორანები. ოღონ ფული იყოს და ქეიფის უნარი, დროს გატარება უკეთ. სადღა შეიძლება? ლომსაძე შოფერით და უცნობ მანდილოსნითურთ გადმობრძანდა ბაკურიანში და, ჩვენებურათ რომ იტყვიან, ლაზათიანად გაისველეს ყელი. მალე მხიარულ მგზავრებს ღვინომ თავში დაურტყა. სიცილ-კისკისით და ხორხოცით ჩასხდენ ისინი ავტოში და შექეიფიანებულ შოფერმა თავდავიწყებით გააქროლა მანქანა ოღრო-ჩოღრო გზით ახალ-ქალაქისაკენ. მგზავრებმა თანვე მარაგათ ღვინო წაიღეს.

ბევრი ითმინა ასეთ სიჩქარის უჩვეულო გზამ, მაგრამ მანქანამ აღარ მოითმინა და ერთ ადგილას ავტომობილი გულსაკლავად ჩაიკეცა ტალახში.

მხიარული მგზავრები არ დაიბნენ. რა ჭკუა მოუვიდათ, რომ ღვინო თან წამოიღეს. ავტომობილი, მართალია, გატყდა, მაგრამ ღვინო ხომ იქ იყო. ჯავრიან გულზე მოდგენ და მთელი ღამე დამტვრეულ ავტომობილთან დაქეიფობდნენ. მეორე დილას ლომსაძე რევოლვერი თან აღარ აღმოაჩნდა. ის უგზო-უკვლოდ დაიკარგა ღვინით შეზარხოშებულ მგზავრს...

ეს ერთი და სხვა მრავალი ყოფილა ლომსაძის თავზე ასეთი შემთხვევა. დათვრა დისტანციის უფროსის თანაშემწე თავის თანამდებობით, აებნა კაცს გზა-კვალი, ვინ მოისხა მისი ცოდვა, ვინ დააკისრა მას ეს თანამდებობა?

ძიმზარი.

მომჭირნეობა პოლიგრაფიის საქმეში

ამ დღეებში შესდგა საქართ. პოლიგრაფიული მრეწველობის კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის პოლიგრაფიული წარმოებების გამგეებიც. კრებამ მოისმინა ამხ. ბოლქვაძის მოხსენება მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ პოლიგრაფიულ მრეწველობაში. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ წარმოებების დაქსაქსვა საშუალებას არ აძლევს პოლიგრაფიულ მრეწველობის ტრესტს გამოიყენოს მთელი მოწყობილობა; ამიტომ პირველი რიგის ამოცანა უნდა იქნეს მიჩნეული წარმოებების კონცენტრაცია ერთი ორგანიზაციის ხელში, რაც საშუალებას მისცემს ტრესტს რაციონალურად დააყენოს წარმოება.

ახალი მანქანების გამოწერასთან და არსებული მოწყობილობის შეკეთებასთან ერთად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთ პირობების შექმნას, რომლებიც გააიაფებენ რემონტის თვითღირებულებას.

მტკიცე კალკულაციის უქონლობა ზოგიერთ წარმოებებში ხშირად იწვევს მახინჯ კონკურენციას; კომიტეტმა სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

უნდა გაუქმდეს შეკვეთების ამკრეფთა აპარატი, რადგან ეს აძლევს წარმოებებს ზედმეტ ხარჯებს.

მომჭირნეობის რეჟიმის გატარება არ უნდა მოხდეს პროდუქციის ღირსების გაუარესების და შტატების შემოკლების ხარჯზე. მიღწეულ შედეგების გამორკვევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოებაში სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული აღრიცხვის საქმე.

მომჭირნეობის კამპანია დაკავშირებული უნდა იქნეს საწარმოო თათბირების მუშაობასთან.

ცირკულიარულად

ოქტომბრის რევოლუციის ცხრა წლის თავისთვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა დაუგზავნა ყველა რაიკომებს და უჯრედებს მოწოდება. რომელშიაც ნათქვამია. მოახლოვდა ოქტომბრის რევოლუციის მე-9 წლის თავი. ეს დღე არის საბჭოთა კავშირის მშრომელთა დიდი დღესასწაული. დღესასწაულის შინაარსმა უნდა გამოხატოს ყველა ის ამოცანები, რაც ამჟამად სდგას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე. დღესასწაულზე გაშუქებული უნდა იქნეს ჩვენი მიღწევების ყველა მომენტები,—საბჭოთა კავშირში 9 წლისა და ამიერ-კავკასიისა და საქართველოში 6 წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობა. ამას გარდა მე-9 წლის თავი გამოყენებული უნდა იქნეს მომავალ მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა პოპულიარიზაციისათვის.

ყველა უჯრედებს ევალება მიიღონ უშუალო მონაწილეობა, როგორც დღესასწაულის ჩატარებაში, ისე მოსამზადებელ მუშაობაში. დღესასწაულის დღე არის კვირა 7 ნოემბერი. საჭიროა დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მოსამზადებელი მუშაობა, რაც უნდა გამოიხატოს, როგორც ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარებაში, რომელიც უნდა მოეწყოს უმთავრესად კლუბებში ლექციების სახით, მოხსენებების წაკითხვით, წარმოდგენების მოწყობაში, მასიური ექსკურსიების გამართვაში, (მაგ. ზაგესში, რევოლუციონერ მუზეუმში) ისე 7 ნოემბრისათვის მუშათა მასიური დემონსტრაციის მომზადებაში.

დღესასწაულის დღეს 7 ნოემბერს ეწყობა მუშათა მასიური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: წითელ არმიელთა ნაწილები, მოსწავლეები მეორე საფეხურის მე-7 ჯგუფიდან, ტეხნიკუმები, მუშფაკები და უმაღლესი სასწავლებლები. ფიზკულტურელები გამოდიან ქალაქის მასშტაბით.

დემონსტრაცია ტარდება პარტიული ხაზით. 7 ნოემბერს საღამოს ეწყობა უფასო წარმოდგენები კლუბებში, თეატრებში და კინოებში.

6 ნოემბერს საღამოს ეწყობა თბილისის საბჭოს საზეიმო პლენარული სხდომა. პარტიულ და პროფკავშირთა მუშაკებს თანდასწრებით ოქტომბრის რევოლუციის მე-9 წლისთავის აღსანიშნავად კლუბებში ეწყობა მოხსენებები შემდეგ თემაზე: „სოციალისტური აღმშენებლობის შედეგები და პერსპექტივები“.

ლექციები, საუბრები, და მხატვრული წარმოდგენები ეწყობა 4, 5 და 7 ნოემბერს.

ახსნა განმარტებითი კამპანიის კონკრეტული გეგმის გამოსამუშავებლად კლუბებში გამოყოფილი უნდა იქნეს სპეციალური კომისიები, რომელშიაც შევლენ: უჯრედის ბიუროს წარმომადგენელი, კლუბის გამგეობის, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომის, საკლუბო წრეების, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიისა და სხვათა წარმომადგენლები.

6 და 7 ნოემბერს კლუბებში ეწყობა სპეციალური დილა ოქტომბრის რევოლუციის მე-9 წლის თავის აღსანიშნავად.

7 ნოემბერს შეფები უნდა გაემართონ თავის საშეფო სოფლებში დღესასწაულის ჩასატარებლად.

ოქტომბრის რევოლუციის მე-9 წლის თავის აღსანიშნავად გამოვა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

ყველა უჯრედების ბიუროებმა ეს ცირკულიარი უნდა განიხილონ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილკომების წარმომადგენლებთან ერთად და გაანაწილონ უჯრედის წევრთა შორის მუშაობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ დღესასწაულის წარმატებით ჩატარება და ახსნა-განმარტებითი კამპანიის მოწყობა სავსებით დამოკიდებულია კომპარტიის წევრთა და კანდიდატთა აქტიური მონაწილეობის მიღებით ამ მუშაობაში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ყურძენი ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 22 ოქტომბერი. მიმდინარე წელში ყურძნის მოსავალი რაოდენობით და ხარისხით ნაკლებია წარსული წლისაზე. ყურძნის სიმწიფე აღწევს 10 პროცენტს. წარსულ წელში კი 8 პროცენტს უდრიდა.

კაკლის საწმენდი ქარხანა

ოზურგეთი. 22 ოქტომბერი. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხარჯზე ოზურგეთში შენდება კაკლის საწმენდი ქარხანა, რომელიც შემდეგ აღმასკომს გადაეცემა საექსპლოატაციოთ. ქარხნის პროდუქტიობა დღიურათ 200 ფუთს უნდა უდრიდეს. ქარხანა ამუშავდება მიმდინარე თვის ბოლოში.

ბრინჯი გურიაში

ოზურგეთი, 22 ოქტომბერი. გურიის ბრინჯის ცენტრალურ რაიონში, მიქელ-გაბრიელის თემში ბრინჯის დიდი მოსავალია მოსალოდნელი. ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ განზრახულია 10.000 ფუთი ბრინჯის ბაზარზე გატანა.

განათლების სახ. კომისარი ახალსენაკში

ახალსენაკი, 21 ოქტომბერი. გუშინ ახალსენაკში ჩამოვიდა საქართველოს განათლების სახ. კომისარი კანდელაკი, რომელიც ქალაქის სკოლებსა და ტექნიკუმებში ეცნობა სწავლის საქმეს.

ახალი ოთხწლედები

ახალსენაკი, 22 ოქტომბერი. სოფლებში სახოშტარიოსა და მარტვილში გაიხსნა ახალი ოთხწლედები.

ამინდი წლის განმავლობაში

ახალსენაკი, 22 ოქტომბერი. სამაზრო სტატისტიკურ ბიუროს ცნობებით 1925-26 წლის განმავლობაში ახალსენაკში იყო: 144 მზიანი დღე, 101 ღრუბლიანი, 83 წვიმიანი, 35 ცვალებადი და 2 თოვლიანი.

რთველის მოთავება

თელავი, 22 ოქტომბერი. მთელს კახეთში ყურძნის მოკრეფა მოთავდა. მოსავალი, თუმცა საშუალოზე მეტათაა შეფასებული, მაგრამ ხარისხით და რაოდენობით გაცილებით ნაკლებია წარსული წლისაზე. წინანდლის და ნაფარეულის სახალხო მამულებში 30.000 ფუთი ყურძენი მოკრიფეს.

საქართველოს სახკინმრეწვის გადაღებანი

თელავი, 22 ოქტომბერი. საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობამ დაამთავრა კახეთში სურათის „ორი მონადირის"-თვის საჭირო გადაღებანი. გადაღებული სურათის ზოგიერთი ადგილები აჩვენეს თელავის კინო-თეატრში, სადაც დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში.

სამხრეთ-ოსეთი

მზადება აღწერისათვის

ცხინვალი, 22 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთში დემოგრაფიულ აღწერის ჩასატარებლად შექმნილია კომისია სამხრეთ-ოსეთის ცაკის, პროფკავშირების და სტატისტიკურ ბიუროს წარმომადგენლებიდან. სწარმოებს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია მცხოვრებთა აღწერის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ.

წერილებიდან

ს. ახუთი, (თბილ. მ.)

— ველით ანგარიშს. ჩვენს კოოპერატივში ყველაფერი რიგზე არაა: გამგეობამ ვერ შესძლო, რომ კავშირი გაება მეზობელ სოფლებში, საჭირო საქონელი საცავში არაა, მოსახლეობაში მეტად უდიერათ ეპყრობა ნოქრებს და სხვა. ბოროტი ენები ამბობენ, რომ კოოპერატივი კერძო პირებზე ჰყიდის საქონელსაო.

მათხოველი.

ფურის თ., (ქუთ. მ.)

ქუთაისის დიდ გზაზე. აქ გაივლის ქუთაისის დიდი გზა, რომლის პირად გაშენებულია ოთხი სამიკიტნო. ეს დუქნები გარყვნილების ბუდეა მთელ კუთხეში. კარტისა და ნარდის თამაში, ლოთობა, ჩხუბი და აურზაური აქ ხშირი მოვლენაა, აღმასკომო, ლაგამი თავხედ მიკიტნებს.

თოხი.

ს. ალახაძე, (გაგრის რაიონი)

„ცეცხლის გუთნები" მივიღეთ. აქაურ სახელმწიფო მამულმა მიიღო ორი ტრაქტორი. ერთი მათგანი ნიადაგ გლეხების მიწების დასამუშავებლად იქნება გამოყენებული, მეორე კი სახელმწიფო მამულის. დესეტინა მიწას ტრაქტორი თავის ხარჯით დაამუშავებს გლეხს 12—15 მან. გლეხები გახარებული არიან „ცეცხლის გუთნების" მოტანით.

ერმ. გადილია.

ხონი

ქურდები გათამამდნენ. ამ ბოლო ხანს გახშირდა ქურდ-ბაცაცობა. 6 ოქტომბერს ღამით მე-4 უბანში გაძარცვეს 7 მოსახლე. გაიტანეს ტანისამოსი და საშინაო ნივთები. მილიციის მეტი სიფხიზლე მართებს.

ი. ტებურელი

საგარეჯო, (გარე-კახეთი)

„ძველი კაცი" ქურდოყანიძე. აქაურ საკრედიტო ამხანაგობაში მსახურობს ძველი ამხანაგი ქურდოყანიძე. ის მიჩვეულია „ტარიელ - მკლავი ძეობას" და დღესაც ვერ იშლის ამ ზნეს. ამას წინათ მან სცემა სრულიად უმიზეზოდ კოოპერატივის დარაჯს. გარდა ამისა ქურდოყანიძე ნიადაგ მთვრალი დადის ორღობეებში და „საკბილო" სახეს ეძებს, რომ საჩხუბარი სადმე გამოინახოს. რა უნდა ასეთ კაცს საბჭოთა დაწესებულებაში?

მეთვალყურე.

ს. მერიეთი, (გურია)

— გზა გაგვიყვანეთ. ჩვენს სოფელში გაივლის გზა, რომელიც იწყება ხიდისთავში და მიდის ბახმაროზე. ეს გზა უმწეო მდგომარეობაში იყო. ამიტომ დიდი და პატარა, ყველა ერთსულოვნად გამოვიდა გზის შესაკეთებლად და ეხლა მთელ მანძილის გასწვრივ გაკეთებულია 1 არშინის სიფართოვის გზა.

გ. ლომთათიძე.

უმართებულო ბრალდება

გაზეთ „კომუნისტში" მოთავსებული იყო კორესპონდენცია ხეთიდან, სათაურით: „ცხენმა რა ქნა". წერილის ავტორი „თექვორდი" ბრალს სდებდა აღმასკომის თავ-რე ლ. გოგიას იმაში, რომ ის მჭიდრო მეგობრულ კავშირშია ადგილობრივ ვაჭრებთან და ერთ მათგანისგან საჩუქრად ცხენიც კი მიიღო.

ეს წერილი განიხილა ხეთის კომუჯრედმა, სამაზრო პარტკომმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომელნიც ერთხმ. აღიარებენ, რომ „თექვორდის" მიერ ამხ. გოგიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება მოკლებულია სიმართლეს და ცილისწამებას წარმოადგენს. ამხ. ლ. გოგია ენერგიული მუშაკია და ასეთი ბრალდება მას არ დაუმსახურებია.

ფ. ბ—ა.

სოფლის ქრონიკა

— აღწერა. გორის აღმასკომმა დაარსა საკავშირო აღწერის დამხმარე სამეული.

— ჯამაგირის მომატება. გორის აღმასკომმა დაადგინა აღძრას საკითხი სატყეო თანამშრომლებისთვის ხელფასის გადიდების შესახებ.

— ტრაქტორები წითელ-ქალაქის თემში ამჟამად მუშაობს 4 ტრაქტორი.

— ბაღები. გორის აღმასკომმა გამოყო კომისია ბაღების გასამშვენიერებლად.

— კოოპერატიულ ორგანიზაციებს სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასკომმა გადასცა სესხად 2.800 მ.

— სამხრეთ - ოსეთის ცენტრ. აღმასკომმა დაარსა კომისია საკავშირო აღწერის ხელის შესაწყობად.

— სკოლა. ჯავაში შენდება შრომის სკოლის შენობა.

— ტელეფონი. სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასკომმა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ მან გადასდოს 10.040 მ. სამხრეთ-ოსეთში ტელეფონის მოსაწყობად.

— სოფ. ოხიაურის გლეხობა შეუდგა სკოლის აგებას.

— კოოპერატიული განხრა. ხაშურის 9 წლედს მიეცა კოოპერატიული განხრა.

— თუთის ხის დაცვა. გორის აღმასკომმა წინადადება მისცა თემაღმასკომებს განსაკუთრებული ყურადღება ადევნონ თუთის ხეების დაცვას.

— გორის აღმასკომი შეუდგა სას.-სამ. იარაღების განაწილებას თემებში.

წერილები

მჭიდრო კავშირი მასწავლებლებთან

მასწავლებელი სოფლის მოწინავე კულტურული ძალაა. ცხადია ამიტომ, რომ გლეხთა შორის საბჭოთა საზოგადოებრივ და განმანათლებელ მუშაობის წარმოებისათვის მასწავლებელს უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ბევრგან ეს ასეცაა არის. მასწავლებლები ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობენ ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მაგრამ არც ისეთი შემთხვევებია იშვიათი, როცა მასწავლებელი მოწყვეტილია ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას, მისი მოღვაწეობის ასპარეზი შემოფარგლულია სკოლის კედლებით და ამ კედლების გარეთ გარედა პირადი ცხოვრებისა მისთვის არაფერი არსებობს.

ვიმეორებთ, ასეთი მასწავლებლები უმცირესობაა. მაგრამ, რაც არ უნდა იყვეს, ეს ფაქტი თავისთავად ყურადღების ღირსია. რამდენადაც ჩვენს პირობებში შეუძლებელია მასწავლებელი არასაზოგადოებრივი მუშაკი, მასწავლებელი „ჩინოვნიკი".

რით უნდა აეხსნათ ამგვარი მდგომარეობა? ხშირა მრავალ მიზეზებს შორის აქ შეიძლება დავასახელოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ესაა ჩვენი ადგილობრივი, განსაკუთრებით პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დამოკიდებულება სოფლის ინტელიგენციისადმი. ამ საკითხზე ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ გასაკვირველი აქ მაინც კიდევ საქმოზე მეტი დარჩენილა.

პარტია და კომკავშირი საზოგადოებრივ მუშაობის მეთაურია ყოველ თემში. თუ ამ მეთაურსა და სოფლის ინტელიგენტს შორის არ იქნა მჭიდრო ამხანაგური კავშირი, შეუძლებელია სოფლის ინტელიგენციის და კერძოთ მასწავლებლობის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაყოლაზე ლაპარაკი. ჩვენი პარტიული და კომკავშირული უჯრედები ზოგჯერ ვერ იჩენენ ასეთ დამოკიდებულებას სოფლის ინტელიგენტისადმი.

რას უნდა მიეწეროს ეს? ერთი მხრივ ამაში დამნაშავეა მასწავლებლების ნაწილი, რომელიც თვითონ არ იჩენს უნარს ორგანიზაციებთან დაახლოვებისას. სოფლად ჩვენ საქმოთ ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციები გვაქვს. მოღვაწეობის ასპარეზი ფართე და თვალუწვდენელია. მასწავლებელი უნდა შეეცადოს გამოიჩინოს ფხა ამ ასპარეზზე მუშაობისა, ის უნდა ჩაებას ამ ორგანიზაციების მუშაობაში, უნდა გახდეს მათი საქმიანობის უახლოესი მონაწილე.

თუ მასწავლებელმა თვითონ არ გამოიჩინა მუშაობის უნარი, თუ პარტიული და კომკავშირის ორგანიზაცია არ დარწმუნდა იმაში, რომ ესა თუ ის მასწავლებელი გამოსადეგია საზოგადოებრივ მუშაობაში, ისე ძნელია მასწავლებლის წამოყენება საზოგადოებრივ სამუშაოზე, ძნელია მასთან მჭიდრო ამხანაგური კავშირის გაბმა, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

ამნაირად მასწავლებელთა დაუშვებელ პასიურობის ერთი მიზეზი, თვით მასწავლებელთა მცირედი ნაწილის უმოქმედობაში, მათ უინიციატიობაში უნდა ვეძებოთ.

მაგრამ ამასთან ერთად არც პარტიული უჯრედები ატარებენ ყოველთვის სწორ ხაზს ინტელიგენციის მიმართ. აქ ზოგჯერ არის ერთგვარი შიში ინიციატივის ხელიდან გაშვების, უკან ჩამორჩენისა, რადგან მასწავლებელს, როგორც მეტი ცოდნით აღჭურვილს, შეუძლია დაჩრდილოს ადგილობრივი პარტმუშაკები.

რასაკვირველია, ეს შიში სრულიად სამართლიანია, თუ მასწავლებლის საზოგადოებრივი აქტიურობა მიმართული იქნება საბჭოთა აღმშენებლობის, საბჭოთა თვითგანვითარების წინააღმდეგ. მაგრამ ხშირად ეს ასე არაა. უფრო მეტად იშიშიან პირადი მდგომარეობის, პირადი გავლენის შესუსტების, საზოგადო საქმე კი აქ გარეგნული საბაბია.

ასეთ სულისკვეთებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ჩვენმა პარტიულმა და კომკავშირის ძირითადმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა საბჭოთა ხელისუფლების სასოფლო თანამოაზრე მასწავლებლობა უკლებლივ იქნას ჩაყოლილი ჩვენს საზოგადოებრივ-ეკონომიურ აღმშენებლობაში.

ლაპარაკი იმის შესახებ, რამდენად სასარგებლო ძალას წარმოადგენს სოფლის ინტელიგენცია სოფლის ნივთიერად და კულტურულად წინსვლელობისათვის, ზედმეტია. როგორც თვით სოფლის ინტელიგენცია, ისე ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა შეეცადონ იმ დაბრკოლებათა დაძლევას, რომელნიც ხელს უშლიან მათ შეთანხმებულ და მჭიდრო ამხანაგურ თანამშრომლობას.

ბ. რ—ი.

რამ დააყოვნა პუნქტის გახსნა

(ალვნის რაიონი, თელავის მ.)

მთელ ალვნის რაიონში, სადაც მოსახლეობენ განსაკუთრებით თუშები, საექიმო პუნქტი არ არსებობს, რის გამოც სოფლები დიდ გაჭირვებას განიცდიან. ვინც მდიდარია, მას შეუძლია ექიმის მოწვევა ფშაველიდან, ან ახმეტიდან, ვინც არა — უექიმოდ და უწამლოდ რჩება, და ვინ იცის რამდენი ესალმება წუთისოფელს.

ამ ზაფხულს, ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ, კახეთში მოგზაურობის დროს ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და წინადადება მისცა წითელ ჯვარს გაეხსნა ალვანში საექიმო პუნქტი.

თავის - თავად ცხადია, ამხ. ფ. მახარაძის დაპირება აქამდე იქნებოდა შესრულებული, მაგრამ მოხდა ერთგვარი გაუგებრობა. წითელ ჯვარის მთავარ გამგეობას ჰგონებია, რომ მაზრის აღმასკომი ხსნის ალვანში საექიმო პუნქტს და სწერს თავის თელავის განყოფილებას, რომ იგი უთითებს მაზრის აღმასკომს ამ პუნქტის გახსნას. მაზრის აღმასკომს-კი საამისო საშუალება არა აქვს და არც დათმობა უთხოვნია.

ეხლა, ეს გაუგებრობა უკვე გამორკვეულია, წითელ ჯვარის თელავის განყოფილებამ აცნობა მთავარ გამგეობას, რაც შეიძლება დაჩქარებით მოეწყონ საექიმო პუნქტი, საექიმო პერსონალის დანიშვნით და აგრეთვე აფთიაქის გახსნით.

ადგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნით ალვანის საექიმო პუნქტს ეწოდება ამხ. ფილიპე მახარაძის სახელი. იმედია გაუგებრობას, კიდევ გაუგებრობა არ მოჰყვება და დაჩქარდება საექიმო პუნქტის გახსნა, რომელსაც ასე საჭიროებს მთელი ეს კუთხე.

ვან—ლი.

მუშათა ცხოვრება

ა.-კ. რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილების ადგილკომში

ადგილკომი იყო არჩეული ამა წლის აპრილის დამლევს. ადგილკომში შედის 7 წევრი და ორი კანდიდატი. ადგილკომის პირველ ორგანიზაციულ სხდომაზე გამოიყო შემდეგი კომისიები: შემფასებელ-საკონფლიქ. კომისია, კულტ-კომისია, შრომის დაცვის კომისია, მომჭირნეობის კომისია და სხვა.

ა.-კ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებაში ითვლება 126 მუშა-მოსამსახურე, აქედან ქართველი—53, რუსი—34, სომეხი—29 და სხვა—10.

მუშები—28 კაცი და მოსამსახურეები—98.

საერთო კრება იყო—4 ჯერ. გაირჩა 19 საკითხი

ადგილკომს ჰქონდა სხდომა—6 ჯერ, გაირჩა 54 საკითხი. საკითხები იყო ორგანიზაციული სატარიფო-ეკონომიური, კულტურული და სამეურნეო.

ამ ხნის განმავლობაში მედსანშრომის კავშირში იქმნა ჩარიცხული—4 კაცი და გადმორიცხული სხვა კავშირიდან—5.

შრომის დაცვის კომისია

შრომის დაცვის კომისიას ჰქონდა ამ ხნის განმავლობაში 4 სხდომა, რომელზედაც გაირჩა 22 საკითხი, შრომის დაცვის კომისიის ყველა დადგენილებები იქნა გატარებული ცხოვრებაში, სპეც-ტანისამოსით იქნენ დაკმაყოფილებული ყველა მუშები.

კუთვნილი შვებულებები იყო განაწილებული რიგ-რიგობით ისე, რომელი თანამშრომელიც, რომელ რიცხვებში უნდა წასულიყო მორიგ შვებულებაში. ზედმეტ საათების მუშაობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი შრომის დაცვის კომისიის საშუალებით იქნა მოსპობილი. დასასვენებელ სახლში გაიგზავნა—1.

კულტკომისიის მუშაობა

კულტ-კომისიას ჰქონდა 3 სხდომა, რომელზედაც გაირჩა 13 საკითხი.

კულტ-კომისია ყოველ ზომებს ღებულობდა, რომ გაეღოთ სამკითხველო. ექვსი თვის განმავლობაში კიდეც შესძლეს სამკითხველოს გახსნა.

ამჟამად სამკითხველოში არის 220 სხვადასხვა წიგნები; გამოწერილია ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები, როგორც ადგილობრივი აგრეთვე რუსეთის, რომელსაც ღებულობს სამკითხველო სისტემატიურად. არიან გაზეთებზე კოლექტიური ხელისმომწერლებიც.

ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი. იყო მოწყობილი ექსკურსია 2-ჯერ „ზაჰესში".

მედსანშრომის კლუბის წევრებად ჩაწერილია 50 პროც. მუშებისა დანარჩენებიც სხვადასხვა კლუბების წევრები არიან.

ურთიერთ დამხმარე სალარო

სალაროს რეორგანიზაციის შემდეგ, ა.-კ. ჯანმრთელობის განყოფილების მუშა-მოსამსახურეები გამოვეყავით რკინის გზის საავადმყოფოს სალაროს, საიდანაც ჩვენ გადმოგვცეს 131 მანეთი.

ამჟამად ჩვენ სალაროში ირიცხება 280 მანეთი ამ ხნის განმავლობაში იყო შემოსული 27 განცხადებები სესხის გაცემის შესახებ. აქედან იქნა დაკმაყოფილებული 26. სალაროს წევრებათ ითვლება 41 თანამშრომელი.

„რომედასის" კომისიის ნაქმიანობა

„რომედასის" კომისიას ჰქონდა 2 სხდომა, სადაც გაირჩა—4 საკითხი; „რომედასის" წევრებად ითვლება 80 პროც. თანამშრომლების. საწევრო ანარიცხების დაგვიანება არ ყოფილა.

„რომედასის" რამოდენიმე წევრები იწერს, სპეციალურ ჟურნალს „რომედას".

საერთოდ ადგილკომის მუშაობა მცირე ხნის განმავლობაში დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი გ. აფხაზავა.

შეშა დროზე მივიღეთ

ს. მ. უ. ს. პ. ტ. მე-4 სტამბაში ირიცხება 65 მუშა-მოსამსახურე, რომლებმაც ამ დღეებში (15, 16, 17 ოქტომ.) მიიღეს შეშა საერთო წესით. ცოლ-შვილიანებმა ერთი მეოთხედი საჟ. და უცოლშვილოებმა— ერთი მერვ. საჟ., თვითეული საჟენი—60 მანეთად. ზედმიმატებით გამოტანისათვის 9 მ. 50 კ. შეშის ხარისხზედ ამხ. მუშები კმაყოფილებას გამოსთქვამენ.

გამოქვითვა შეშის ღირებულებისა გაყოფილია სამ წილად და სამი თვის ვადით.

მარად-მართალი.

იშვიათი საღამო

2 ოქტომბერს ტყავ-ტრესტის მუშათა კლუბში დაიდგა ამხ. შ. ტალიკაძის პიესა „ლოთი" (დრამა 6 მოქმ.) ჩვენ კლუბს არ ახსოვს ასეთი აღფრთოვანებული საზოგადოება, როგორიც იყო ამ საღამოს. წარმოდგენა უნდა ითქვას სიმართლე მომზადებული იყო, მაგრამ მთავარი ადგილები მაინც კარგად ჩაატარეს მოთამაშეებმა. ლოთის როლს ასრულებდა თვით ავტორი, რომელიც დაჯილდოებული იქნა მხურვალე ტაშით და ოვაციებით.

სიტყვით საზოგადოებას მიესალმა სომხის მუშა-მწერალი ავჩიანი, რომელმაც ხაზი გაუსვა ამხ. შ. ტალიკაძე, როგორც მუშის, მუშური ერით დაწერილი სხვა ნაწარმოები, ისე მისი სამსახური კულტურულ დარგში.

ავტორს მიართვეს აგრეთვე ყვავილის გვირგვინი და თაიგული. ერთი რამ სამწუხარო იყო აქ. ეს ის რომ, მორთმეულ საგანთა შორის იყო ღვინოც. ეს არ შეშვენოდა ამ პიესას, სადაც ლოთობა დაგმობილია.

საერთოდ დიდად მადლიერი დაიშალა საზოგადოება.

შ. ტალიკაძე აგერ 1 ნახ. წელია ტყავ-ტრესტის კლუბის გამგეა და ამ ხნის განმავლობაში არ დაუკლია მას თავის ენერგია კლუბის მუშაობაში. იგივეა ახალგაზრდათა და მომღერალთა წრის ხელმძღვანელია და დამაარსებელიც. პირველ ოქტომბრიდან იგი გადაყვანილია ტრესტისავე კანტორაში.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც იგი არ მიატოვებს ჩვენ კლუბს და ისევ მთელი ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

მუშკორი რისხვა.

გაგვაგებინეთ რაა მიზეზი

რკინის გზის საავადმყოფოში გამოდიოდა კედლის გაზეთი „მზვერავი". გაზეთი მეტად კარგი და შინაარსიანი იყო.

შარშან მოსკოვში კედლის გაზეთების კონკურსზედ პირველი ჯილდო მიიღო თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს კედლის გაზეთმა „მზვერავმა". მაგრამ ჯილდოს მიღების შემდეგ გაზეთი გამოსვლას იგვიანებდა. იგი თავის დროზე ვერ გამოდიოდა. ამჟამად კი „მზვერავმა" საგრძნობლად მიიძინა.

ადგილკომო და კულტ-კომისიავ, გაგვაგებინეთ, თუ რაშია საქმე.

ნუ თუ ჯილდომ გაწყინათ?

მუშკორი კოლოდიუმი.

მუშათა ქრონიკა

— კავშირში მიღება. სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ კავშირში გადარიცხა 4 კაცი.

— მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. მესამე საუბნო კონფერენციამ მოისმინა ამხ. ივანოვის მოხსენება მომჭირნეობის შესახებ და დაადგინა გატარდეს ცხოვრებაში მომჭირნეობის რეჟიმი სწორად ყველა დარგებში.

— ადგილკომის გადარჩევა. 29 სექტემბერს მოხდა ოზურგეთის რკინის გზის ადგილკომის გადარჩევა. არჩეულია ახალი ადგილკომი 11 კაცის შემადგენლობით.

— კიდევ დახმარება. სად. გრაკალის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გადასდო ერთი პროცენტი ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოთ.

— 11 კომისია. სადგურ თბილისის მოძრაობის დარგში არსებობს სულ 11 კომისია. პროფაქტივის მუშაობაში ჩაბმულია 110 კაცი. ე. ი. მთელი შემადგენლობის დაახლოებით 15 პროც.

— 40 მილიონი ცალი პაპიროსი. როზა ლიუქსემბურგის სახელობის სახელმწიფო თუთუნის ქარხანა თვეში ამზადებს 40 მილიონ ცალ პაპიროსს.

— ტრაქტორი. სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის საშეფო კომისიამ შეიძინა „ხოლტი"-ს სისტემის ტრაქტორი და გადასცა თავის საშეფო სოფლის ზემო-ხანდაკის გლეხობას.

— რკინის გზის საავადმყოფო აერთიანებს 430 მუშა-მოსამსახურეს, აქედან ქართველია— 239, რუსი—107 და სომეხი—35. ქალია—133, მამაკაცი—247.

— პროფ-წრე. სად. გორის რკინისგზის მუშათა კლუბში დაარსდა პროფწრე. წრეში მუშაობა უკვე დაიწყო.

— 120.000 მანეთი. რკინისგზის კოოპერატიულ საბინაო მშენებლობას დამხმარე კომიტეტი სესხად აძლევს 120.000 მანეთს.

პროფკავშირებში

შემ.-საკონფლიქტო კომისიებში

მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია

21 სექტემბერს შესდგა თბილისის უბნის რკ.-გზ. წარმოება-დაწესებულებების შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიათა მუშურ ნაწილების კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ამხ. ბ. რაზმაძემ. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო მოხსენებები ადგილებიდან. კონფერენციამ მოისმინა მთავარ სახელოსნოს, დეპოს, მოძრაობის დარგის მე-2 განყოფილებისა და სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის შემფ.-საკონფლ. კომისიათა მუშურ მხარეების წარმომადგენელთა მოხსენებები.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ აღნიშნულ კომისიების მუშაობაში გულგრილობას იჩენენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები. არის შემთხვევები, როცა ადმინისტრაცია განგებ აჭიანურებს საქმეს, ან არ იძლევა თანხმობას საქმის მომრიგებელ კამერაში გადასაცემათ. ზოგიერთ ადგილებში—როგორც მაგ. სალიანდაგო სამსახურის მე6 უბანში ადმინისტრაცია სამსახურიდან ითხოვს მუშა-მოსამსახურეს საქმის გამოურკვევლად და შემფ.-საკონ. კომისიის დასტურის გარეშე. დათხოვნილის საქმის გარჩევა ჭიანურდება და ამრიგად აღდგენის შემდეგ მუშა-მოსამსახურე ღებულობს გაცდენილ დღეების ხელფასს. ყოფილა შემთხვევები, როცა სამსახურში აღდგენილ მუშას აუღია 7 თვის ნაცდენი ხელფასი.

კონფერენციაზე აღნიშნეს ის გარემოებაც, რომ მომრიგებელ კამერიდან დაგვიანებით ბრუნდება გადაწყვეტილი საქმეები და გვიანდება კონფლიქტების განხილვა.

კონფერენციამ გამოიმუშავა შემფ.-საკ. კომისიის მუშათა მხარეებისათვის სათანადო პრაქტიკული წინადადებები, სადაც გათვალისწინებულია შემფ.-საკ. კომისიებზე არსებულ ყველა დებულებებისა და ინსტრუქციების გაცნობა, შრომის კანონთა კოდექსის, გენერალურ ხელშეკრულებისა და წარმოების ხასიათის შესწავლა. კონფერენციამ ხაზი გაუსვა ადმინისტრაციის გულგრილობას კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში და იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაცია არ ატარებს ცხოვრებაში მომრიგებელ კამერის გადაწყვეტილებებს, რის გამო მან მიმართა თბილისის საუბნო პროფკავშირს თხოვნით, მიაქციოს აღნიშნულ მოვლენებს სათანადო ყურადღება.

პროფმუშაობის ქრონიკა

ფოთის სამპროფბიუროში

— საბიბლიოთეკო კურსები. ფოთის სამპროფბიურომ საბიბლიოთეკო კურსები გახსნა 25 კაცისათვის. ხარჯი გათვალისწინებულია 275 მან. 75 კ. რაოდენობით. მეცადინეობა დაიწყო 20 სექტემბრიდან.

ხის დამმუშავებელთა კავშირში

— სრ. საქართველოს ხის დამმუშავებელთა ყრილობა მოწვეული იქნება 1927 წლის იანვარში.

— საკავშირო მეშვიდე ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად და საქართველოს ხის დამმუშავებელთა მეხუთე ყრილობისათვის მოსამზადებლად 11 ოქტომბერს მოწვეული იქნება ხის დამმუშავებელთა რესპუბლიკანური კონფერენცია. ამ დღეს მოწვეული იქნება კავშირის პლენუმის სხდომაც.

აჭარისტანის პროფსაბჭოში

— „ინდო"-ს გაფიცულ მუშა-მოსამსახურეთა საკითხი. აჭარისტანის პროფსაბჭომ მოისმინა „ინდო"-ს საგაფიცვო კომიტეტის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა რომ სოხუმში ამჟამად გაფიცულია 47 კაცი. მათგან 19 კავშირის წევრია. გაფიცვა წესიერად მიმდინარეობს. გაფიცულებს დახმარება ეძლევათ თავის დროზე.

— დახმარება ინგლისის მემაღაროებს. აჭარისტანის პროფკავშირებმა 10 სექტემბრამდე ინგლისის მემაღაროების სასარგებლოდ გაიღეს 5.110 მან.

აჭარისტანის პროფსაბჭომ მოუწოდა ადგილობრივ პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეებს, სამუშაოს ხელფასიდან გაიღონ ერთი პროცენტი ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ, სანამ გაფიცვა არ დამთავრდება.

პროტექციის წინააღმდეგ

წარმოება დაწესებულებაში პირველ რიგში უნდა მიიღონ უმუშევარი კავშირის წევრი, დემობილიზაცია ქმნილი წითელი არმიელი, რა თქმა უნდა კვალიფიკაციის შერჩევით და შემდეგ დანარჩენი. ამ მოთხოვნილებას ანგარიშს არ უწევენ დამქირავებლები. გამეფებულია შინელი პროტექციონიზმი.

მოვიყვან მაგალითს. ვინმე ბახტაძის ქალი მსახურობს ქალაქის აღმასკომში მემანქანეთ, იგივე ბახტაძე მსახურობს სახკინმრეწვში. ორ ადგილას ირიცხება შტატში, იღებს ორ ჯამაგირს, იმ დროს, როდესაც საშუამავლო ბიუროში ასამდის უმუშევარი მემანქანეები ირიცხება. უმუშევართა სექციის გამგე აქცევს ამას ყურადღებას და სახკინმრეწვის ხელმძღვანელს აიძულებს მიიღოს ერთ-ერთი უმუშევარი კავშირის წევრი, ბახტაძის ქალი კი ამ დროს აწყობს თავის ნაცნობს აღმასკომში და ცდილობს სახკინმრეწვში, დარჩენას. მაგრამ იქ აღმოჩნდა მიღებული ბირჟიდან გაგზავნილი პროფკავშირის წევრი. ასეთ შემთხვევაში ბახტაძის ქალს ექომაგება პროფკავშირი და დაჟინებით მოითხოვს მის სამსახურში აღდგენას.

რკინისგზის სამქედლო ცეხში მოითხოვეს ერთი ურის დამრტყმელი, ბირჟამ 24 საათში დააკმაყოფილა მოთხოვნილება. მიუხედავათ ამისა იქ სხვა აღმოჩნდა მიღებული და კავშირის წევრი უკან დააბრუნეს.

ერთ-ერთი საავათმყოფოს ადგილკომი დაჟინებით მოითხოვდა ბირჟიდან პერსონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. გამოირკვა, რომ უნდათ გამოიძახონ ქალი, რომელიც არ ირიცხება უმუშევართა რიცხვში, არ არის პროფკავშირის წევრი, ნივთიერად არ უჭირს, მხოლოდ ყავს ნაცნობი ექიმი. ამრიგად უნდათ სპეციალურად მოიწვიონ ის ბორჯომიდან. ეს იმ დროს, როდესაც მედსანშრომის კავშირში ბევრია უმუშევარი.

ახალგაზრდათა სამუშაოზე გაგზავნაში 18 წ-მდე მონოპოლიის უფლებებით სარგებლობს უმუშევართა სექცია, მიუხედავათ ამისა „გეტ"-ში 5 კაცი მიიღეს სექციის გარეშე. სექციის გამგემ პროტესტი განაცხადა და მოსთხოვა ადმინისტრაციას უმუშევართა სექციიდან მიეღო. ეს კანონიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნა, ვინაიდან პროფკავშირი ზურგს უმაგრებდა ადმინისტრაციას. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ 5 კაცში ერთი მიუღია ადგილკომს, ერთი ადგილობრივ ინჟინერს და სამი გაუგზავნია კავშირის ცენტრალურ გამგეობას.

სამეურნეო დარგის ხელმძღვანელნი, როდესაც ისინი ბირჟიდან ითხოვენ მუშა ხელს, მხოლოდ ფორმალურ მხარეს ასრულებენ. სამუშაოთ - კი იშვიათად იღებენ ბირჟიდან გაგზავნილს. თუ მიიღეს, მალე დაითხოვენ და თავიანთ ნაცნობს მოაწყობენ. ეხლა სწარმოებს ჯარში გაწვევა. ადგილები თავისუფლდება. ბევრს უკვე მზათ ყავს ნაცნობ - მეგობრები.

ზემოთ - აღნიშნული ფაქტები გვიჩვენებენ პროტექციონიზმის მახინჯ სახეს. ასეთები-კი ძალიან ბევრია. პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საჭიროა საშუამავლო ბიუროს უფლებების გაფართოება, დამქირავებლის უფლებების (ოტკაზი მაინც შეკვეცა) და პროფკავშირების მხრივ მეტი სიფხიზლე, რომ უკანონობის მუშა - მოსამსახურეთა დაქირავების საქმეში ადგილი არ დაურჩეს.

დ. თხილავა

სასოფლო მეურნეობა

1925—26 წ.

(სტატისტიკური ცნობები)

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით 1925-26 წელში სასოფლო-მეურნეობის მიმოხილვა შემდეგ სურათს იძლევა:

1925-26 სამეურნეო წელს მარცვლეული კულტურით დათესილი იყო 662,8 ათასი დესეტინა (სოლო 1924-25 სამეურნეო წელს — 649,8 ათასი დესეტინა). ტექნიკური კულტურით 17,906 დესეტინა (1924-25 წელს — 16.295 დ.), საკვები მცენარეებით — 200 დესიატინა. 1925-26 წელს დათესილი [illegible] სულ 689. — ათას დესეტინას (1924-25 წელს 674,2 დესეტინას).

ამგვარად 1924-25 წელთან შედარებით განვლილ სამეურნეო წელს მარცვლეულ კულტურით დათესილი მიწის სივრცე გადიდებულა 2 პროცენტით. ტექნიკურ კულტურით დაკავებული მიწის სივრცე — 9,9 პროცენტით: კარტოფილით — 1,8 პროცენტით.

1924-25 წელთან სხვადასხვა კულტურებით დათესილ მიდამოს საერთო ზრდა უდრის 2,2 პროცენტს.

კულტურათა საერთო პროდუქცია 1925-26 წელს უდრის: — მარცვლეული კულტურა—48.717.700 ფუთს. (1924-25 წელს კი უდრიდა 41.557.800 ფ.) ტექნიკურ კულტურის—919,900 ფუთს (1924-25 წელს 809.600 ფ.), საკვები მცენარეების 41.800 ფუთს (1924-25 წელს 34.200 ფ.).

ამგვარად ნატურალურ ერთეულებში 1924-25 წელთან შედარებით გადიდებულა საერთოთ, როგორც მარცვლეული კულტურა (17,2 პროც.-ით), ისე ტექნიკური კულტურა (12,7 პროცენტით) და საკვები მცენარეები. (22,2 პროც.).

ოქროს მადნები

უკანასკნელი გეოლოგიური გამოკვლევების დროს აღმოჩნდა, რომ საქართველოს მრავალ კუთხეში მოიპოვება ოქროს ქვიშრობები (როსсыпи) და ზოგან მადნებიც.

ოქროს ქვიშრობები და მადნები გვხვდება რესპუბლიკის შემდეგ ადგილებში: თელავის მაზრა. სვანეთი, (სოფელი აჟი და უჭმული) ბორჯომის მაზრა (სოფ. დამბლუთი), ნაწილობრივ თბილისის მაზრაში (ალგეთისაკენ) და სხვ.

ოქროს რაოდენობა თვითეულ ას ფუთზე უდრის 4-დან 70 წილამდე (მისხლის მეათედი). ოქროთი მდიდარია ბორჩალოს მაზრა, მაგრამ ოქროს სამრეწველო ექსპლოატაციო მუშაობის დაწყება ჯერ-ჯერობით უნდა ჩაითვალოს ნაადრევად, რადგან მუშაობის დასაწყებად საჭირო იქნება განსაკუთრებული გზების გაყვანა, ნარევების გადაშვება და სხვ., რაც დიდძალ ხარჯს ითხოვს და ეს ხარჯი პირველ ხანებში არ იქნება გამართლებული.

სპეციალისტების მიერ შემჩნეულია, რომ ოქრო ბლომად ურევია აგრეთვე თბილისში სანიმუშოდ ჩამოტანილ ზოგიერთ სპილენძის მადნებში.

მოტო-გადარბენის შედეგები

ჯილდოების განაწილება

1-ლი ოქტომბრიდან 5 ოქტომბრამდე თბილისის ავტო-კლუბის მოტო-სექციის მიერ მოწყობილ მოტოციკლეტების გადარბენაზე თბილისი-გროზნო-თბილისი (მანძილი 700 კილომეტრი) დანიშნული იყო კომისია, რომელსაც უნდა შეეფასებინა გადარბენაში მონაწილე მოტოციკლეტები და მისცემოდა მათთვის ჯილდო.

კომისიამ დაასრულა მუშაობა და მიუსაჯა პირველი ჯილდო ერთეულა მოტოციკლეტებში 1925 წლის გამოშვების მანქანას „ინდიან", წამყვანი ფილიჩოვი.

კალისკიან მოტოციკლეტებში პირველი ჯილდო მიუსაჯეს წამყვან ჯავახიშვილს—მოტოციკლეტი „ხარლეი დავიდსონ"—1926 წლის გამოშვების. მეორე ჯილდო მიიღო „დეირე ვერკე"-ს მანქანამ—წამყვანი შერმაზიშვილი; მანქანა 1926 წლის კონსტრუქციისა (წამყვანმა მიიღო 10 საჯარიმო შენიშვნა). მესამე ჯილდო მიუსაჯეს 1925 წლის გამოშვების მანქანას, ფირმა „ხარლეი დავიდსონ"—წამყვანი ათოევი (ათი საჯარიმო შენიშვნა).

ველო-შეჯიბრის შედეგები

3 ოქტომბერს ქალ. გროზნოში თბილისის ავტო-კლუბის ინიციატივით გაიმართა ველოსიპედისტების შეჯიბრი მანძილის სწრაფათ გავლაში თბილისელებსა და გროზნოელებს შორის. შეჯიბრი მოეწყო მოტო-გადარბენის მონაწილეთა საპატივსაცემოთ.

შეჯიბრში გამარჯვება ხვდა თბილისელ მოკურტუმოვს, რომელმაც გაასწრო გროზნოს ფავორიტს—შარიჩენკოს და დაფარა 10 კილომეტრი მანძილი 16 წუთსა და 14 წამში.

მეორე ჯგუფში თბილისელმა—ჯაჯანაშვილმა გაასწრო პეტროსოვს (გროზნო) და პირველათ მივიდა ფინიშთან.

მესამე ჯგუფში შეეჯიბრენ არსენიევი (თბილისი) და კამენევი (გროზნო); გამარჯვება დარჩა უკანასკნელს, რადგან არსენიევს გაუფუჭდა ფეხის დასამაგრებელი და სტარტიდანვე მოიხსნა შეჯიბრიდან.

განათლების ფრონტზე

მასწავლებელთა ხელფასი

მასწავლებელთა ხელფასის ფონდი 1926—27 წელს შეადგენს (ავტონომიური რესპუბლიკებით) 3.700.000 მან., ამ თანხიდან გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს მოხმარდება 295.572 მანეთი, ხოლო დანარჩენი თანხა 1 და 2 საფეხურის შრომის სკოლების მასწავლებლების ხელფასის გაცემის საქმეს.

ხელფასის გადიდება

განათლების კომისარიატის დადგენილებით სვანეთის მაზრის მასწავლებელთა ხელფასი მიმდინარე სამსწავლო წლიდან გადიდებულია 50 პროცენტით.

სწავლის ნაყოფიერებისათვის

განათლების კომისარიატის დადგენილებით აკრძალულია მასწავლებლის მიერ მეცადინეობის წარმოება ერთდაიმავე სკოლაში 4 ჯგუფთან ერთად.

ნორმალური ჯგუფები

განათლების კომისარიატმა დაადგინა გადასინჯული იქნეს მაზრებში 1 და 2 საფეხურის სკოლების ქსელი და შემუშავებული იქნას დებულება იმ ჯგუფების შესახებ, რომლებშიაც ბავშვთა რიცხვი ნორმაზე ნაკლებია.

აფხაზური ენის აკადემია

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა აფხაზური ენის ლიტერატურის შესასწავლი აკადემია.

აკადემიამ პირველად პრაქტიკაში შემოიღო შესწორებული და განმარტივებული აფხაზური ალფაბეტი, რომელიც დამუშავა აკადემიკოსმა ნიკო მარმა. ახალ შრიფტს საფუძვლად დაედვა ლათინური ანბანი.

გარდა ამისა აკადემიამ შეადგინა და გამოსცა აფხაზური ანბანის წიგნი 5.000 ცალი. სალიტერატურო ქრისტომატია 2.000 ცალი, არითმეტიკული კრებული 4.000 ცალი, სამშობლოს აღწერის და ბუნების მეტყველების წიგნი 3.000 ცალი.

მიმდინარე სამოსწავლო წლიდან აფხაზეთის სკოლებში წერა-კითხვის სწავლება სწარმოებს ახალი ალფაბეტით.

ამჟამად აკადემია ამუშავებს აფხაზურ-ქართულსა და ქართულ-აფხაზურ სიტყვარებს.

გარდა ამისა აკადემია ამუშავებს აფხაზურ ენაზე ტექნიკურ ტერმინოლოგიას,ამზადებს გამოსაცემად აფხაზურ პიესებს და სხვა სალიტერატურო ნაწარმოებს.

ბოტანიკური ბაღი

მიწათ-მოქმედების კომისარიატის სატყეო კულტურის განყოფილებამ გადასწყვიტა მოახდინოს ბოტანიკური ბაღის გადახალისება და მოაშენოს ახალი კულტურების და დეკორატიული მცენარეები.

მუშაობათა სახელმძღვანელოთ მოწვეული არის საბაღოსნო კულტურების ცნობილი სპეციალისტი აგრონომი კოპრიკა, ტომით ჩეხი, რომელიც ახლო ხანში შეუდგება შესაფერ მუშაობას.

განზრახულია აგრეთვე ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ახალი დახარისხება და ყველა უცხო მცენარეზე წარწერების გაკეთება ქართულ-რუსულ და ლათინურ ენებზე. წარწერებისათვის შესაფერი ფირფიტები უკვე შეკვეთილია ბაღის ადმინისტრაციის მიერ.

ბინების ყიდვა-გაყიდვა

თბილისში საბინაო კრიზისის გამწვავებას და ამ დარგში გამეფებულ ვაკხანალიას ძლიერ უწყობს ხელს სახლის მფლობელის ნება-სურვილის გარეშე ბინების გაყიდვა, ყიდვა და დათმობა.

შემჩნეულია, რომ ზოგი მოქალაქე ნივთების გაყიდვის საბაბით ხშირად საზღაპრო ფასში ყიდის მის მიერ დაკავებულ ბინას და ამის შესახებ არაფერი იცის სახლის მფლობელმა. ზოგჯერ ბინის პატრონი „უთმობს" თავის ბინას მასთან დროებით სტუმრად ჩასახლებულს, ხოლო არსებითად იგი ღებულობს ქირას და მიდის სხვაგან.

ასეთი მდგომარეობა ძლიერ აბრკოლებს სახლების შეკეთებას, რაც ხელს უწყობს მათ ნგრევას და აძლიერებს საბინაო კრიზისს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურმა განყოფილებამ შეიმუშავა ამის შესახებ დებულება, რომელიც ახლო ხანში წარედგინება განსახილველად სახ. კომისართა საბჭოს და ცაკს. დებულებაში აღნიშნულია, რომ სისხ. სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას ცალკე მუხლი, რომლის ძალითაც ბინის მყიდველს და გამყიდველს მიესჯება სათანადო სასჯელი. სასჯელი განსაზღვრულია ერთ წლამდე იძულებითი სამუშაოს მიცემით.

ცაკის მიერ ამ საკითხის შესახებ გამოცემული იქნება დადგენილება კოდექსში ახალი, ჩამატებული მუხლის რედაქციით.

საძოვრები

ახალციხის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე, რათა მას გადაეცეს ახალციხის მაზრაში მდებარე ყველა საძოვარი ადგილები.

შუამდგომლობა განიხილა საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა, რომელმაც დაადგინა:

ვინაიდან ერთის მხრივ რესპუბლიკის საერთო საძოვარ ფონდის შემცირება ცუდ შედეგებს მოუტანს ჩვენს მეცხვარეობას, მეორეს მხრივ კი მაზრას გაცილებით ნაკლები ფინანსიური და ტექნიკური საშუალებანი აქვს საძოვართა მოსაწყობად, ვინემ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამისათვის შეუძლებლად იქნეს ცნობილი ახალციხის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საგეგმო კომისიაში

დებულება ადგილობრივი ფინანსების შესახებ

საქართველოს საგეგმო კომისიამ დაავალა საქართველოს ფინსახკომს, სასწრაფოდ შეიმუშაოს და წარადგინოს დასამტკიცებლად საგეგმო კომისიაში პროექტი დებულებისა ადგილობრივი ფინანსების შესახებ.

სიმინდის ნათესების მდგომარეობა

სიმინდის ნათესების მდგომარეობის გაუარესების გამო, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საექსპორტო გეგმის განხორციელებას, საგეგმო კომისიამ დაავალა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს სასწრაფოდ წარადგინოს საგეგმო კომისიაში პურეულის ბალანსი და გამოარკვიოს საექსპორტო სიმინდის რაოდენობა.

საქონლის შემოტანა

საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს გააძლიეროს გეგმით გათვალისწინებული საქონლის შემოტანა და მოაწესრიგოს იმ ზოგიერთ საწარმოო საქონლის ფასები, რომელთათვის გამომუშავებულია საგანაკვეთო ზედნადები ნორმები, მაგრამ ამ ნორმების შეუსრულებლობის გამო, ფასების შემცირების ნაცვლად ადგილი აქვს ფასების ზრდას.

კვალიფიციური მუშების მომზადება

ვინაიდან სეზონურ პირობების გამო ძლიერდება უკვალიფიკაციო უმუშევართა ახალი კადრების დენა ქალაქებიდან, საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო, რომ დაჩქარებული იქნეს კვალიფიკაციურ მუშაკთა მომზადება.

ბრძოლა ეპიზოოტიასთან

საქონლის ეპიზოოტიის გაძლიერების გამო, საგეგმო კომისიამ დაავალა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარადგინოს საგეგმო კომისიაში თვისი მოსაზრებანი, თუ როგორ უნდა იქნეს გაძლიერებული ბრძოლა საქონლის ჭირთან.

სესხი კოოპერატივებს

ამიერ-კავკასიის 1925—26 წლის ბიუჯეტით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებათა გასაძლიერებლად გადადებულ თანხებიდან „სოფლის კავშირს" მიეცა 100.000 მანეთი.

იმავე წყაროდან გადადებული 26.000 მანეთი „სოფლის კავშირის" საორგანიზაციო ბიუროს შემდეგნაირად განაწილა პირველ საფეხურის ამხანაგობათა შორის:

ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას მიეცა 1.500 მანეთი, სტეფანწმინდის—2.500 მ., ვარდისუბნის—2500 მ., მუხრანის—1000, საქაშეთის—3000, გორის—1000, ტობანიერის—2.000, სიმონეთის—2.000, კოკის—2.000, ყვარაის—1.800, ფახულანის—1.000, ზემო-ხანდაკის—1,000, გულაანის—500. ახალ-ქალაქის მეფუტკრეთა ამხანაგობას—2.000 მანეთი, კოლექტიურ მეურნეობას ყარაიაში—„კრესტიანინს"—500 მანეთი, კოლექტიურ მეურნეობას საგარეჯოში—500 მანეთი და მერძევეთა ხუთ არტელს —2.500 მანეთი.

აქ აღნიშნული სესხი 8 წლის ვადისაა. წინასწარ, სანამ ამხანაგობა კუთვნილ სესხს მიიღებდეს, მან „სოფლის კავშირის" საორგანიზაციო ბიუროს უნდა წარუდგინოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა იმ საქმისა, რომელსაც სესხი უნდა მოხმარდეს.

სესხის გაცემა აქ აღნიშნული წესით უკვე დაიწყო მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან.

თბ. ბირჟის სექციებში

ნედლეულობის სექციაში

სექციის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა „ზაკსოიუზ"-ის წარმომადგენლის მოხსენება თხილის ბაზრის მდგომარეობის შესახებ საქართველოში და აზერბეიჯანში.

გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ბაზრებზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს თხილზე. მრავალი კერძო დამამზადებელი ჩამოვიდა რუსეთიდან და უკრაინიდან, რის გამო თხილის ფასმა საქართველოში აიწია 6 მან. 80 კ. ფუთი, აზერბეიჯანში—4 მან. 50 კაპეიკამდე.

ფასების ზრდა ცუდ გავლენას ახდენს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების დამზადების ოპერაციებზე.

კერძო ვაჭრობის სექციაში

კერძო ვაჭრობის სექციის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ა.-კ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსის—ამხ. საავრიანის მოხსენება ახალი სახელმწიფო სესხის შესახებ.

ამ სესხის ობლიგაციების კერძო ვაჭრებში გავრცელების მიზნით, არჩეული ქნა სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდენ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებთან ახლო მდგომი პირები.

შემდეგ სექციამ განიხილა განცხადება: ადგილობრივ ხორცით მოვაჭრეებისა, რომლებსაც განზრახვა აქვთ დაარსონ ხორცით მოვაჭრეების ამხანაგობა საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის.

სექციამ სასურველად სცნო ასეთი ამხანაგობის დაარსება, რადგან ამ ამხანაგობის მუშაობით შეიძლება რამოდენიმეთ მოწესრიგებული იქნეს ხორცის ბაზარი.

დღეს ბირჟის შენობაში შესდგება სასურსათო სექციის სხდომა.

თბ. ელექტრო-სადგურები

ზაჰესის ამუშავების შემდეგ თბილისის ელექტრო-სადგურები საჭირო აღარ იქნება. მარქაფად დატოვებულ იქნება მხოლოდ რამოდენიმე სადგური.

ამჟამად თბილისში მუშაობს 15-ზე მეტი ელექტრო-სადგური. რომელთა საერთო ძალოვანობა 6.200 ცხენის ძალას უდრის. ყველა ამ სადგურების მოწყობილობა ვეღ არის დამაკმაყოფილებელი. მრავალი მანქანები სრულიად უვარგისია. ბევრი მათგანი გაცვდა, მოიშალა. ყველა ამ სადგურებიდან შეკეთებას არ საჭიროებს მხოლოდ 25 პროცენტი. 40 პროცენტი ვარგა მხოლოდ დროებით საექსპლოატაციოთ, ხოლო დანარჩენების შეკეთება სრულიად მიზანშეუწონელია.

თბილისის ყველა სადგურების მანქანების საერთო ღირებულება უდრის 670.000 მანეთს, მოწყობილობა (ელექტრო მატორები, რეზერვუარები) — 280.000 მანეთს, დადგმა და ნაშენობა—250.000 მან. ამგვარად დღევანდელი შეფასებით ყველა სადგურების საერთო ღირებულება უდრის 1.338.000 მანეთს. ზაჰესის ამუშავების შემდეგ თბილისის ზოგიერთი სადგურების მოწყობილობა გამოყენებული იქნება საქართველოს სხვადასხვა რაიონების საელექტროფიკაციოთ.

როგორც ირკვევა ზოგიერთი სამეურნეო წარმოება ვერ ახერხებს მომზადებული შეხვდეს ზაჰესის ელდენის მიღებას. ასეთი წარმოებისათვის იმუშავებენ მე-2-რე, მე-3-მე და მე-5-თე ელექტრო-სადგ.. წარმოებები, რომელთაც ვერ მოასწრეს მომზადება ზაჰესის ელდენის მისაღებად, ენერგიას ძველი სადგურებიდან მიიღებენ წინანდელი ტარიფით.

რაც შეეხება თბილისის ელექტრო-სადგურების კერძო აბონენტებს ყველა ისინი გაყვანილი იქნებიან ზაჰესის მაგისტრალზე.

რკინის გზებზე

მეტეოროლოგიური სადგურები

ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა მეტეოროლოგიურ სადგურების მოწყობის საქმეს ა.-კ. რკ.-გზის ხაზზე. ამას წინეთ სამმართველომ დაადგინა მოაწყოს რკინის-გზებზე 4 მეტეოროლოგიური სადგური—სად. პუტაში, ჯულფაში, ქობულეთსა და მელაანში. აღნიშნულ პუნქტებში მოწყობილი იქნება ნიადაგის სითბოს საზომები და ჰავის სასინჯი თერმომეტრები, ორთქლების საზომები, ფლიუგერები და ყველა სახის სასინჯი თერმომეტრები. აღნიშნულ სადგურებს დიდი მნიშვნელობა ექნება ამინდების წინასწარ გამოსარკვევად და სინოპტიკურ რუკების შესადგენად.

მელაანში აგებული მეტეოროლოგიური სადგური აწარმოებს ნიაღვრების შესწავლას.

ორი ასეთი სადგური უკვე მოეწყო აზერბეიჯანის ხაზზე, სახელდობრ სად. ხაჩმასსა და კიურდამირში.

ტვირთზიდვა ა.-კ. რკინის-გზებზე

ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოს ცნობით სექტემბერში ტვირთზიდვა რკინის-გზაზე გაიზარდა 16 პროცენტით აგვისტოსთან შედარებით. ეს ტვირთზიდვა დღე-ღამის განმავლობაში 1043 ვაგონით გამოიხატებოდა.

სექტემბერსა და ოქტომბერში ნავთის გადაზიდვა გაიზარდა. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ქვანახშირის გადაზიდვის საქმეშიც რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვას, იგი არ გაზრდილა შესამჩნევად, რაც გამოწვეულია სექტემბრის ცუდი ამინდებით.

ორთქლმავლის ჩავარდნა

21 ოქტომბერს სად. ნავთლუღში ლიანდაგს აცდა დამხმარე ორთქლმავალი № 2797. მოძრაობა არ შეფერხებულა. ორთქლმავალი ადგილობრივ ძალებით ამოიღეს.

დამატებითი მატარებელი

ა.-კ. რკ.-გზ. მოძრაობის დარგის განკარგულებით 24 ოქტომბრიდან თბილისიდან მცხეთამდე ინიშნება ყოველკვირეულად დამატებითი მატარებელი. მატარებელი თბილისიდან გავა დილის 10 საათსა 5 წუთზე, ხოლო თბილისში მოვა საღ. 7 საათ. 15 წუთზე.

ჯილდოების აღდგენა

ამას წინათ, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით უნდა გაუქმებულიყო ჯილდოების გაცემა საქონლის სადგურებში მომუშავე რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეებზე. ამ დადგენილებით ზოგიერთ მუშა-მოსამსახურეებს აკლდებოდათ შრომის ხელფასის ერთ-ერთი ნაწილი. ამის გამო, ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა აღძრა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა ჯილდოების დატოვების შესახებ. ამ დღეებში გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას აღადგინოს ისევ ზემოაღნიშნული ჯილდოები საქონლის სადგურებზე მომუშავე რკინისგზელებისათვის.

ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა უკვე მიიღო ზომები გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულების ცხოვრებაში გასატარებლად.

მიწის ძვრა

თბილისში

თბილისის ობსერვატორიის ცნობით, 22 ოქტომბერს, მოხდა მიწის ძვრა ორჯელ. სეისმოგრაფმა მიწისძვრა აღნიშნა საღამოს 7 ს. 40 წ. და ღამის 11 საათზე თბილისის დროით.

მეორეთ მომხდარი მიწისძვრა 5—6-ჯერ ძლიერი იყო პირველზე. იგი იყო იმდენად ძლიერი, რომ სეისმოგრაფის ფრთა 5—6 წუთით ამოვარდა აპარატიდან.

მიწისძვრის დასაბამი თბილისიდან 180 კილომეტრის მანძილზე იმყოფება, ე. ი. არა ლენინაკანში, არამედ მისგან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, უფრო კი ოსმალეთის საზღვრის მახლობლად.

მიწისძვრა ორივეჯერ შესამჩნევი იყო თბილისში; ამასთანავე მიწისძვრა მდ. მტკვარის მარჯვენა მხარეზე უფრო საგრძნობი იყო.

ლენინაკანში

ლენინაკანი, 22 ოქტომბერი. ლენინაკანში 19 საათზე მოხდა სუსტი მიწის ძვრა.

19 საათსა და 40 წუთზე ძლიერი მიწის ძვრა, რამაც გამოიწვია მრავალი სახლის დანგრევა. არის ადამიანის მსხვერპლიც. მცხოვრებლები ქუჩებშია გამოსული.

ლენინაკანი, 22 ოქტომბერი. 22. საათსა და 50 წუთზე ლენინაკანში ადგილი ქონდა მესამე, კიდევ უფრო ძლიერ, მიწისძვრას. ქალაქში კვლავ დაინგრა რამდენიმე შენობა. წინასწარი გამოანგარიშებით მკვდარია 8 კაცი, დაჭრილია 70 კაცი და ბევრი მსუბუქად დაშავებული.

სოფლები ბაიანდური, დაარლი და კარაკლისი სრულიად დანგრეულია. რამდენიმე შენობა დაინგრა აგრეთვე სოფელ ოჩახულიში, თაფარლიში, კაზარაპატიში და ალექსანდროვსკოეში. ნახევარ მცხოვრებლებზე მეტი ნანგრევებს ქვეშ მოექცა. რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია სადგურ კარაბურნამდე.

ჯარის ნაწილები მხურვალე მონაწილეობას იღებენ ცოცხლად დამარხულების გადარჩენის საქმეში.

ბათომში

ბათომი, 22 ოქტომბერი. 23 საათზე ბათომში ადგილი ქონდა სუსტ მიწისძვრას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

მიწისძვრა გაგრძელდა 10 წამს.

ქრონიკა

ამხ. დუბსონი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული თავრიზში ამხ. დუბსონი.

პროფ. ლებედევის ჩამოსვლა

გუშინ როსტოვიდან თბილისში ჩამოვიდა პროფესორი ლებედევი.

ამხ. იუზმეისტერის მოფრენა

გუშინ თბილისში მოფრინდა უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სააქციო საზოგადოება — „უკრვოზდუხპუტ"-ის გამგეობის თავმჯდომარე— ამხ. იუზმეისტერი.

მუშის ბიუჯეტის გამოკვლევა

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს განზრახვა აქვს ოქტომბერში მოახდინოს 100 მუშის ბიუჯეტის გამოკვლევა საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში. საქართველოში გამოკვლეული იქნება სამთამადნო მუშები, მელითონეები, მეთამბაქოეები და მბეჭდავები: სომხეთში — სამთამადნო მუშები და სპირტ-კონიაკის წარმოებათა მუშები; აზერბეიჯანში — „აზნეფტი"-ს მუშები, ფეიქრები და მელითონეები.

ანასტასია წერეთლის ავადმყოფობა

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალი—ანასტასია წერეთლისა ამჟამად მძიმე ავად არის. მთავრობის მიერ ავადმყოფს დანიშნული აქვს სპეციალური მკურნალობა.

თათბირი ახალგაზრდებს შორის მუშაობის შესახებ

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს ა.-კ. სოლკო კომიტეტთან ერთად ა.-წ. 28 ოქტომბერს იწვევს თათბირს ახალგაზრდებს შორის მუშაობის შესახებ.

შეღავათიანი ხელისმოწერა სახელმწიფო სესხზე

თბილისის მუშების და მოსამსახურეების კოლექტივების შუამდგომლობის გამო, ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დეპეშით შუამდგომლობა გაგზავნა მოსკოვში, რომ უფლება მისცემოდა მას მიიღოს 30 ოქტომბრამდე განცხადებები ადგილკომებიდან სახელმწიფო სესხზე შეღავათიან კოლექტიურ ხელისმოწერის შესახებ. ცენტრმა დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები

შორაპნის მაზრიდან დაბრუნდნენ მიწსახკომის სატყეო განყოფილების მიერ გაგზავნილი ამხ. ამხ. ტაქსატორი კონსტანტინაშვილი და გარინო, რომელთაც მოაწყვეს საჩხერის რაიონში ჰექტარი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები.

თბილისის აღმასკომში

◆ გზების შესაკეთებლად მაზრაში წელს დაიხარჯება 80.000 მან.

◆ ტყე. ამჟამად თბილისის გარშემო ტყის გაშენება სწარმოებს 150 დესეტინაზე.

◆ ხორბლის სარჩევი. აღმასკომი აგროპუნქტებისათვის იძენს ხორბლის სარჩევ 20 მანქანას, გეიდის სისტემისას.

◆ პლეხანოვის პროსპექტის მოსაკირწყლავად გადადებულია 15.000 მან.

◆ საექიმო პუნქტი. ჯანმრთელობის განყოფილებამ სოფ. წავკისში გახსნა საექიმო პუნქტი.

სოცუზრუნველყოფის კომისარიატში

◆ გლეხკომების სამაზრო კონფერენციები დამთავრდა თელავის, ახალ-ქალაქის, სენაკის, შორაპნის და რაჭის მაზრებში.

◆ გლეხკომებმა მთელ საქართველოში თავის სავაჭროები გადასცეს კოოპერატივებს.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ გადახალისება. შრომის კომისარიატის დადგენილებით ახლო მომავალში შეუდგებიან ხელოვნურ წყლის გამსაღებელ კოლექტივის რეორგანიზაციას.

◆ საზოგადო სამუშაო. შრომის კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილება გონებრივ მუშაკთათვის აწყობს საზოგადო სამუშაოს ცენტრ. არქივთან.

◆ შრომის ბაზრის განყოფილებამ დაადგინა წერითი დახმარების კოლექტივში შემოიღოს მომუშავეთა შენაცვლებითი წესი.

◆ ექიმების კოლექტივი. შრომის ბაზრის განყოფილება აარსებს კბილის ექიმთა შრომის კოლექტივს.

◆ მოზარდები. შრომის კომისარიატმა დაადგინა შრომის კოლექტივებში უცვლელად გაატაროს მოზარდთა ჯავშანი.

ჯანსახკომში

◆ ქუთაისის ქლექის დისპანსერთან ჯანსახკომი აწყობს პროფილაქტიკის განყოფილებას.

◆ გამოკვლევა. ჯანმრთელობის კომისარიატი ამ დღეებში შეუდგება ქლექით დაავადებულ მუშა-მოსამსახურეთა გამოკვლევას ქუთაისში.

◆ პროფესიულების ინსტიტუტები გაიხსნება ამ დღეებში კლარა ცეტკინის ქუჩაზე.

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის 19 ოქტ. №-ში ქრონიკაში მოთავსებული ცნობა, რომ ამხ. ილ. საყვარელიძე დანიშნული არის რესპ. მილ. უფროსის მოადგილედ და რ. ს. ს. კ. ადმგანყოფილების უფროსად. უნდა იყოს: შინსახკომის ადმ. განყ. უფროსის და რესპუბლ. მილ. უფროსის მოადგილედ.

შემთხვევები

მძარცველთა ბანდის ლიკვიდაცია

თელავის მაზრაში დიდი ხანია მოქმედებდა ცნობილი აბრაგის იოსებ მეზრიშვილის მძარცველთა ბანდა, რომელიც 6 კაცისაგან შესდგებოდა.

ეს ბანდა სისტემატიურად თავს ესხმოდა თელავის მაზრის მცხოვრებლებს. მათ დიდძალი საქონელი ჰყავს გატაცებული თელავის მაზრიდან. ბანდა მოსვენებას არ აძლევდა კახელ მესაქონლეებს.

ყაჩაღები თავს ესხმოდენ აგრეთვე შარა-გზაზე გამვლელ პირებსაც და სიკვდილის მუქარით ართმევდენ რაც კი ებადათ. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ტანისამოსსაც ხდიდენ და ართმევდენ.

უკანასკნელად ყაჩაღებს შეტაკება მოუხდათ თელავის სამაზრო მილიციის თანამშრომლებთან. ამ ბრძოლაში მოკლული იქნა ბანდის მთელი შემადგენლობა, გარდა მეზრიშვილისა, რომელმაც შესძლო გაქცევა.

გუშინ თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ მიღებულ ენერგიული ზომებით დაპატიმრებული იქნა თვით ბანდის მეთაური იოსებ მეზვრიშვილი და ამით საბოლოოთ ლიკვიდაცია ყუო მძარცველთა ბანდის თელავის მაზრაში.

ქურდების ბრბოს ლიკვიდაცია

ამ ბოლო ხანებში თბილისში მოქმედებდა ქურდების ბრბო, რომელსაც ჰქონდა თავიანთი ორგანიზაცია. მათ მიერ გაძარცულია თბილისის მსხვილი სავაჭროები და მცხოვრებთა ბინები. ამ ნაირი გზით მძარცველებმა თავი მოუყარეს დიდძალ ძვირფას ნივთეულობას და „წადავლს" თანასწორად ინაწილებდენ.

ნაძარცვ ნივთებს ინახავდენ ცნობილი რეციდივისტის სამსონ მარქაროვის ბინაზე.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ლიკვიდაცია უყვეს ქურდების ბრბოს და ყველანი დაპატიმრებული იქნენ.

ესენი აღმოჩნდენ:

გრიგოლ ოგანეზოვი, გალუსტ ვარტანიანცი, ედუარდ მიულბახი, გურგენა ვართანოვი, სამსონ მარქაროვი, პეტროსა ბოიახჩიანცი და ამირასტან იუზაშ-ოღლი.

დაპატიმრებული იქნა აგრეთვე იოსებ ჩოხელი, რომელიც სისტემატიურად ყიდულობდა ნაქურდალ ნივთებს.

გამორკვეულია აგრეთვე, რომ ყველა ჩამოთვლილი პირები ნაქურდალ საქონლის თავიანთი აგენტების საშუალებით ასაღებდენ ბაქოში და სხ.

მძარცველებს დაპატიმრებისას აღმოაჩნდათ აგრეთვე ფული.

გამფლანგველის დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაპატიმრებული იქნა „სამშენის" ტექნიკოსი სალახიანი.

სალახიანს ბრალდება თანამდებობრივი დანაშაული და სახაზინო ქონების გაფლანგვა.

◆ კინო „სოლეიში" გ. ლოლობერიძეს ამოაცალეს საფულე 60 მანეთით.

◆ ტრამვაიში მოქ. კიპიკიანს ამოაცალეს ოქროს საათი.

◆ შეპყრობა. ქურდობისათვის შეიპყრეს მიხეილ შტონბერგი.

◆ კარების შემტვრევის საშუალებით გაქურდეს ნინა მამინოვის ბინა. წაიღეს 500 მანეთის ნივთები.

◆ ქურდობა. 21 ოქტომბერს გრიბოედოვის ქუჩა № 18 ილია ნიკორაძის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ იორის ქუჩა № 14 გაქურდეს აბრამ ჩილინგაროვის ბინა.

◆ მეტეხის ქუჩა № 14 გაქურდეს ბ. სემენიკოვის ბინა.

◆ კარლ მარქსის მოედანზე გაქურდეს კონდახსაროვის სავაჭრო.

◆ ანდრეევის ქუჩა № 57 გაქურდეს ივანე არესტენკოს ბინა.

◆ კირკის ქუჩა № 49 გაქურდეს დარია ლორიას ბინა.

◆ ჯიბგირობა. ანასტასია სავალოვას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე. ჯიბგირი მიკირტიჩინი დააპატიმრეს.

◆ ამავე დღეს მიხ. კანდელაკს ამოაცალეს 20 მან.

◆ ამავე დღეს მარიამ არუთინოვს მოპარეს ოქროს საათი.

სასამართლო

პურის ფქვილის მოყვარული

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო მოქ. ამირანაშვილის და პოზოიანცის საქმე.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. გაბუნია, ბრალს სდებს პროკურორი ჭელიძე. ბრალდებულს იცავენ ლვამიჩავა და დოლურხანოვი.

მოქ. ამირანაშვილმა მოქ. პოზოიანცი თბილისში გაიცნო და დაუმეგობრდა მას. განსაკუთრებით მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა მათ შორის მას შემდეგ, როცა ამირანაშვილმა რკინისგზაში დაიწყო სამსახური მწონავის თანამდებობაზე.

ერთ დღეს მეგობრებს აღეძრათ „ჯიბის გასქელების" სურვილი.

პოზოიანცს რკინისგზის საწყობში მეორე ხარისხის პურის ფქვილი ჰქონდა. ამავე დროს ამირანაშვილს ქიათურში მუშკოოპის სახელზე უნდა გაეგზავნა პირველი ხარისხის პურის ფქვილი. „ძმა-ბიჭები" შეთანხმდნენ და ქიათურაში პირველი ხარისხის ფქვილის მაგიერ გაგზავნეს მეორე ხარისხის პურის ფქვილი.

პირველი ხარისხის პურის ფქვილი გაყიდეს და განსხვავება მიითვისეს. ამ ოპერაციებისათვის პოზოიანცმა მისცა ამირანაშვილს 600 მანეთი.

მაგრამ ბედმა აქ უღალატა მათ. მეორე ხარისხის პურის ფქვილი მუშკოოპის მიერ არ იქნა მიღებული. დაიწყო კვლევა-ძიება, რის შემდეგ ამირანაშვილი და პოზოიანცი წამოსკუპდენ საბრალმდებლო სკამზე.

გუშინ სასამართლოს პროცესზე ბრალდებულებმა თავი სცნეს დამნაშავეთ და სასამართლოს სთხოვეს პატიება.

განაჩენი ამირანაშვილის და პოზოიანცის საქმეზე

სასამართლომ ბრალდებული ვასილ ამირანაშვილი დამნაშავედ სცნო ქრთამის აღებაში, რისთვისაც მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით; ბრალდებული არუთინ პოზოიანცი დამნაშავეთ იქნა ცნობილი ქრთამის მიცემაში, რისთვისაც მიესაჯა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ვ. კლენჯერიძის საქმე

1925 წ. აპრილის თვეში ანტონ ცერცვაძე და ნიკოლოზ ჯიქია თავს დასხმიან მოქ. აბრამსოვის ოჯახობას გაძარცვის მიზნით. თავდამსხმელები მილიციის მიერ დაპატიმრებული იქნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ბრალდებულმა ჯიქიამ განაცხადა, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

სასამართლომ ბრალდებულ ცერცვაძეს და ჯიქიას მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

უზენაესმა სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელი შეუმსუბუქა ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულმა ცერცვაძემ გამსახლში ყოფნისას ერთ-ერთ მოქალაქეს განუცხადა, რომ ამ საქმეში ჯიქიას კი არ მიუძღვის ბრალი, არამედ ვასილ კლენჯერიძეს. ამ ამბავს ყური მოჰკრა მსჯავრდადებულმა ჯიქიამ, რომელმაც ამის შესახებ წერილობით განცხადება შეიტანა სასამართლოში.

საქმეზე დაიწყო დამატებითი გამოძიება.

გამოძიებით გამოირკვა, რომ შეიარაღებულ თავდასხმასა და გაძარცვაში მონაწილეობას ღებულობდა კლენჯერიძე.

გუშინ ამ საქმის გარჩევა დაიწყო აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლოში.

დაკითხულ იქნა ბრალდებული კლენჯერიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ის ამ საქმეში დამნაშავე არ არის.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ბურკაძე, სახალხო მსაჯულები: სტეპანიანცი და ფილიევი, ბრალს სდებს პროკურორი ბესელია, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ლვამიჩავა.

აპარინის საქმე

განაჩენი

გუშინ, საღამოს 8 საათზე, 6 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი აპარინის და ქაჯაიას საქმეზე.

ბრალდებული იოსებ აპარინი ცნობილი იქნა დამნაშავედ 4.920 მან. 99 კაპ. მითვისებაში. სასამართლომ სცნო, რომ აღნიშნული თანხა ბრალდებულმა მიითვისა ყალბი საბუთების შედგენის და საკონტროლო უწყებების დაკარგვის საშუალებით.

სასამართლომ აპარინი 1.200 ცალი კრამიტის მითვისების საქმეში გაამართლა.

სასამართლომ აპარინს მიუსაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, მაგრამ 1924 წ. ნოემბრის ამნისტიის ძალით, უმაღლესი სასჯელი შეუცვალა 10 წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით. სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა აპარინზე არ იქნას გავრცელებული 1925 წ. მარტის ამნისტია.

პეტრე ქაჯაია დამნაშავედ არ იქნა ცნობილი შემნახველ სალაროდან 2.000 მანეთის თაღლითური გზით გამოტანის საქმეში და ამიტომ

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ვერდის „რიგოლეტო"

რიგოლეტოს პარტია ყველაზე უფრო საწუკარი პარტიაა ბარიტონების რეპერტუარში. სწორედ აქ შეიძლება როგორც ხმის, ისე სკოლისა და დრამატიული თამაშის სრულყოფა. ჩვენი საოპერო დასის შემადგენლობაში მოწვეული ბარიტონი გარელოვი გამოვიდა რიგოლეტოს პარტიაში. ეჭვს გარეშეა, რომ გარელოვი გამოჩენილ მომღერალთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. მისი ხმა ლირიულ-დრამატიულია, საშუალო ძლიერების; არტისტი დახელოვნებით ხმარობს მას, რაც გარელოვის მუსიკალობასთან ერთად ქმნის მშვენიერ ფრაზას; ბევრ ლამაზ სახეებს და განცდას. უნდა აღინიშნოს განსაკუთრებით გამოკვეთილი და მკაფიო ლექციო. ლამაზია ხმის ტემბრიც. პირველი სცენიდანვე არტისტმა მიიპყრო აუდიტორიის ყურადღება. ის თავისებურად უდგება როლს: სცენაზე ჯერ ვხედავთ, მანტუანელ ჰერცოგის უპრინციპო კარის მასხარას, მაგრამ როცა თავს დაატყდება უბედურება იმის გამო, რომ მის ქალს ჯილდას ნამუსს ახდის გარყვნილი ჰერცოგი,— მასხარა რიგოლეტო იქცევა მწუხარებით აღსავსე ადამიანად, რომლის ერთად ერთი მიზანი ჰერცოგზე შურის ძიება. ყოველივე ეს გარელოვმა უტყუარად გადმოგვცა თავისი დრამატიული თამაშით. რამდენიმედ მკრთალად იყო ჩატარებული ტრაგიული ფინალური სცენა, როცა რიგოლეტო გაიგებს, რომ საზიზღარი ჰერცოგის მაგიერ მოტყუებით მოჰკლეს მისი ქალი. აქ მეტი დრამატიზმია საჭირო.

ჯილდა დამაკმაყოფილებლად შესრულდა მომღერალმა ქალმა კალანდაძემ. ის მუსიკალური მომღერლია. საშუალო ძლიერების ლირიულ სოპრანოს მქონე და, როცა არ ცდილობს კოლორატურულ სიმღერის ილიუზიების შექმნას, სასიამოვნო მოსასმენია. ალაგ-ალაგ არის ღრმა განცდის მომენტები. გარეგნობა და სცენიური გადმოცემაც დამაკმაყოფილებელია.

ვერ გაგვიგია რატომ კონსბურგი (მანტუაზელი ჰერცოგი) ასე ზედმეტად აძლიერებს ხმას (მე-3-ე აქტის არია და განსაკუთრებით მე-4-ე აქტის კვარტეტი). მგრძნობიარე არტისტი უნდა ცდილობდეს მხატვრული ანსამბლის შექმნას და არა თავის ხმის გამოყოფას საერთო სიმღერის დროს, უადგილოა აგრეთვე ისეთი მოურიდებლობა, რომელსაც არტისტი იჩენს 1 და მე-2-ე აქტებში (ჯილდასთან).

კარგია თავის პარტიაში (მადალენა) ვოლხანეცკაია. შესაფერია სპარაფუჩილესათვის (ყაჩაღი) მესნოევი.

გუნდი მანეკენთა გროვას წააგავს, არავითარ მონაწილეობას არ იღებს მოქმედების განვითარებაში.

მელიქ-პაშაევი ალაგ-ალაგ ჩრდილავს მომღერლების ხმებს (3 აქტის დუეტი და მე-4-ე აქტის ფინალი).

პ. ბ.

◆ კონცერტი. რუსთაველის საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება ბოშურ სიმღერების ცნობილ შემსრულებლის ნიჟალსკის კონცერტი.

◆ „დაისი" დღეს ოპერის თეატრში მიდის „დაისი".

◆ მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება ლექცია-საღამო.

კოლექტიური მეურნეობა

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის სასოფლო სამეურნეო სექციის მიერ შეგროვებულ წინასწარ ცნობების მიხედვით, ამიერ-კავკასიაში ამჟამად ითვლება 58 კოლექტიური მეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 778 გლეხურ ოჯახს (3.537 კაცს).

მეურნეობის კოლექტიური ფორმები ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ განვითარებული ამიერ-კავკასიაში; კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულია გლეხთა მეურნეობების არა უმეტეს 0,09 პროც-სა და სოფლის მოსახლეობის არა უმეტეს 0,08 პროცენტისა.

მეურნეობის კოლექტიური ფორმების განვითარების მიზნით, აუცილებელია მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა; ამისათვის საჭირო იქნება 155.600 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო სექციამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს კოლექტიური მეურნეობის განვითარება-გაფართოებას.

ეს ღონისძიებანი განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცა ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს. განზრახულია კოლექტიური მეურნეობებისათვის გრძელვადიანი კრედიტის მიცემის მიზნით დაარსებული იქნეს სპეციალური ფონდი.

კონიაკ-სპირტის წარმოების გაერთიანება

სახელმწიფო ღვინო-კონიაკ-სპირტის დამზადების საქმის რაციონალურად დაყენების მიზნით, საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად და აუცილებლად სცნო ღვინო-კონიაკ-სპირტის დამზადების საქმის ერთი სახელმწიფო ორგანიზაციის ხელში გაერთიანება.

ამასთანავე აუცილებლად იქნა ცნობილი ამ ორგანიზაციისათვის სპირტის და კონიაკის დამზადების მონოპოლიური უფლების მინიჭება.

ამ საკითხის დასამუშავებლად, კერძოდ მოსალოდნელი გაერთიანების ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმების გამოსარკვევად საქართველოს საგეგმო კომისიაში მოწვეული იქნა სპეციალური თათბირი, რომელსაც დაესწრენ ს. მ. უ. ს. წარმომადგენლებიც.

თათბირზე გამოირკვა, რომ გასაერთიანებელ ორგანიზაციებიდან—სახალხო მამულების ტრესტიდან და სპირტის სახელმწიფო ტრესტიდან, ეს უკანასკნელი შედარებით სუსტი ორგანიზაციაა და მას გაუჭირდება ამ საქმის გაძღოლა, მით უმეტეს, რომ გაერთიანებისათვის საჭირო იქნება ვენახების ტრესტისათვის და მათი სპირტის ტრესტზე გადაცემა, რაც ტეხნიკურად მოუხერხებელია, რადგან ვენახები დაკავშირებულია სახალხო მამულების მეურნეობის სხვა დარგებთან.

ამის გამო, თათბირმა მიზანშეწონილად და ერთად-ერთ შესაძლებლობად სცნო, რომ სპირტის სახელმწიფო ტრესტის მთელი წარმოება გადაეცეს სახალხო მამულების ტრესტს და ამ უკანასკნელს მიენიჭოს კონიაკ-სპირტის დამზადების მონოპოლიური უფლება.

კომისიის დასკვნა განსახილველად გადაეცა საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტროფიკაცია შეერთებულ შტატებში

ამერიკულ ჟურნალს „ელექტრიკ უორლდს" მოჰყავს სტატისტიკური ცნობები შეერთებული შტატების ელექტროფიკაციის შესახებ. ამ ცნობების თანახმად იმ სოფლების და ქალაქების რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონის ენერგიით, 1926 წ. პირველ იანვრისათვის აღწევდა 17.700 —73 მილიონი მცხოვრებით, რაც შეადგენს შეერთებული შტატების მთელი მოსახლეობის 63 პროც.

გარდა ამისა, ელექტრობით სარგებლობს 10 მილიონამდი მოსახლე, რომლებიც ფერმებში ცხოვრობენ, რაც ელექტრონით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობას 83 მილიონამდი (შეერთებული შტატების მოსახლეობის 73 პროც.) ადიდებს. ელექტროფიკაცია ქმნილია ყველა ქალაქები, სადაც მოსახლეობა 5000 აღემატება. მხოლოდ რვა ქალაქში 2.500-დან 5.000 მცხოვრებით არ სარგებლობს ელექტრონის ენერგიით. იმ ქალაქებიდან, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 1.000-დან 2.500-დი უდრის, ელექტროფიკაცია ქმნილი არ არის 158.

ელექტროფიკაცია ქმნილ ქალაქების ყველაზე მეტი რიცხვი მოდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და ცენტრალურ შტატებზე (96 პროც.).

შორეული ვარსკვლავები

პროფ. გარლოუ შეპლიმ და მისს ადელაიდა ემსმა, რომლებიც გარვარდის ობსერვატორიაში (შეერთებულ შტატებშია) აწარმოებდენ ასტრონომიურ გამოკვლევებს, შეისწავლეს მნათობთა ახალი ჯგუფები, რომლებიც ძალიან დაშორებული არიან დედამიწიდან და ცნობილი არიან ხვიისებური ნისლოვანებათა სახელწოდებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სინათლე სივრცეში ვრცელდება 186.000 მილის სისწრაფით წამში, მანძილი დედამიწიდან ამ მნათობებამდი უნდა აღინიშნოს ოცნიშნიანი ციფრებით.

პროფ შეპლიმ და მისს ემსმა სპეციალურად შეისწავლეს ერთი ასეთი ნისლოვანება, რომელიც შესდგება ასეულ ცალკე ვარსკვლავებიდან და გამოარკვიეს, რომ მანძილი დედამიწიდან ამ ნისლოვანობამდე უდრის ათ მილიონ სინათლის წელიწადს (ე. ი. იმდენ კილომეტრს, რამდენსაც სინათლის სხივი გაივლის 10 მილიონი წელიწადის განმავლობაში).

სისხლის გადასხმა

სისხლის გადასხმის პროცესი—მეტად რთული ამოცანაა. ხშირად ორი ადამიანის სისხლი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მათ არევა დაუშვებელია. მით უფრო ითქმის ეს ცხოველებიდან ადამიანის ორგანიზმში სისხლის გადმოსხმაზე. მაგრამ ამჟამად გამორკვეულია, რომ შხამიანია სისხლის მხოლოდ თხელი ნაწილი და არა სისხლის ბურთულები. გერმანელმა მეცნიერებმა სისხლის ბურთულები ცალკე გამოჰყვეს და გადმოასხეს მეორე სახის ცხოველის სისხლში ისე, რომ ამ ცხოველზე არავითარი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ეს მეთოდი გამოყენებული იქნება ცხოველების სისხლის გადმოსასხმელად ავადმყოფ ადამიანის ორგანიზმში.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა ჩვენი ყოფ. რძლის მოთხოვნა

კითხვა

ჩვენ მოხუც მამას ყავდა ექვსი ვაჟიშვილი. ერთმა ჩვენმა ძმამ ცოლი შეირთო და დაიწყო თბილისში სამსახური და აქ სცხოვრობდა ოჯახობით. 1925 წ. 25 ივლისში ხსენებული ძმა გარდაიცვალა და მისი ყოფილი მეუღლე განაგრძობდა თბილისში ცხოვრებას საერთო ოჯახთან კავშირის განუწყვეტლად. მიმდინარე წლის ივნისში ჩვენდა უნებურად და ჩვენდა გაუგებრად გათხოვდა ჩვენი რძალი და მას სურს დაეუფლოს ყოველივე მოძრავ და უძრავ ქონებას რომელიც შეძენილი იყო განსვენებული ჩვენი ძმის მიერ.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას შეუძლია თუ არა ჩვენს მოხუცებულ მამას ან ჩვენ (ძმებს) მოვითხოვოთ ჩვენი ძმის მიერ შეძენილი ქონება და მას ჩვენვე დავეუფლოთ (რადგან არ დარჩენია მას შვილი) და ყოფ. რძალს არაფერი მივსცეთ.

პლ. ჯმუხაძე.

პასუხი

არც თქვენ (ძმები) და არც თქვენი მშობლები არ ითვლებით გარდაცვალებულის თქვენი ძმის მემკვიდრეებად არც კანონით და არც ანდერძით, (რადგან ეს უკანასკნელი თქვენ არა გაქვთ ძმისგან დატოვებული). თქვენი ძმის მემკვიდრედ, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 418-ისა, ითვლება მისი ცოცხალი მეუღლე და მას აქვს უფლება სასამართლოს წესით დაიმკვიდროს ყველა იმ ქონებას, რაც არ არის ნაციონალიზაცია ან მუნიციპალიზაცია ქმნილი (ე. ი. გარდა მიწა-წყლის და ტყისა, რომელიც სახელმწიფო ქონებას შეადგენს). მიწის ნორმას იგი (თქვენი რძალი) მიიღებს საერთო წესით თავის მეორე ქმრის ბინადრობის ადგილას. (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნა).

გვეკუთვნის თუ არა კვირა-უქმე დღეების მუშაობისათვის ჯილდო

კითხვა

ჩვენ ვმსახურობთ კურორტ აბასთუმანის 1-ლ სანატორიუმში მზარეულებად. ვღებულობთ ხელფასს სპეცგანაკვეთით. გვიხდება მუშაობა დილის „7" საათიდან საღამოს „9" საათამდე დაუსვენებლად. გამოსასვლელი დღეებით არ ვსარგებლობთ.

გთხოვთ მოგვცეთ განმარტება, გვერგება თუ არა კვირა-უქმე დღეების მუშაობისათვის განსაკუთრებული ჯილდო.

ხელს აწერს ოთხი მზარეული.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 109 და 110-ისა, ყველა მუშა-მოსამსახურეს კვირაში ერთხელ უნდა მიეცეს განსხვავება ხანგრძლივობით არა ნაკლებ ორმოცდაორი საათისა. თუ კვირა უქმე-დღეებს დასასვენებლად ვერ იყენებენ ამა თუ იმ პროფესიის მუშა-მოსამსახურენი, მათი სამუშაოს მიხედვით, მაშინ მათ ეძლევათ კვირაში ერთი გასასვლელი დღე, ან და ჯილდო, თანახმად საკავშირო სახ. სოც. რესპ. შრომის სახკომატის 1925 წ. 12 ნოემბრის განმარტება № 35 (565-ისა).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ მუშაკის კ. პ. (ბ) ბიუროკოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, შაბათს, საღამოს 8 საათზე, შესდგება გაერთიანებული კომუჯრედების დახურული კრება. დასწრება პარტ.-წევრ. კანდიდატებისა სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 23 ოქტომბერს, დღის 12 საათიდან—3 საათამდე გამოცხადდენ რაიკომში:

აბზასოვი გ., ისმაილოვი მეხტი, გვიდარლი და ედიენიშვილი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის კლუბის საბჭოს სხდომა შესდგება დღეს, 23 ოქტომბერს, შუადღის 1 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ ასრიბეკოვის კაბინეთში.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე.

— დღეს, 23 ოქტომბერს, დილის 10 საათზე შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის სამდივნო.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილი უჯრედების აგიტპროპორგანიზატორებს, რომ დღეს, 23 ოქტომბერს გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. ლობჟანიძესთან.

სახალხო კომისართა საბჭო, მეოთხე სტამბა, მოქრილი ავეჯეულობის ფაბრიკა, „ზარია ვასტოკა"-ს სტამბა, „რაბოჩაია პრავდა"-ს სტამბა, გაერთიანებული ბანკის, სახელმწიფო ბანკი, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კონტორა, „ხლებოპროდუკტი", ამიერ - კავკასიის ცენტრალური სამმართველო, სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ქალაქის რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 23 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ რაიკომში:

ვაწაძე, გარიბოვი, შმავონი, ვანციანი არტაშეს, თუმანიანი ამოთ, გუმბარაძე (ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი), დავიდოვი მაქსიმე, (ამ. კავკ. კომუნ. უნივერ.) და მაქსიმოვი.

საქ. რემედასის ცეკა იუწყება. რომ დღეს, 23 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე რემედასის ბინაზე ოლღას ქუჩა № 29 შესდგება მორიგი სხდომა საქ. რემედასის ცეკასი.

დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისა სავალდებულოა:

1) მ. ჩოდრიშვილი, 2) ჯიჯაძე, 3) იმედაძე. 4) მუშიშვილი, 5) მუმლაძე, 6) ნაცვლიშვილი, 7) ჯაიანი, 8) ათაბეგოვი. 9) არაზაშვილი, 10) ნუცუბიძე, 11) რუხაძე, ბელიაევი და კიზირია.

საქ. რემედასის ცეკას პას.-მგ. მდივანი მეგრელიძე.

საქმეთა მმართველი დავითაია.

— რემედასის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 23 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის სხდომა.

რაიკომის ყველა წევრების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ფანცულაია.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ რაიკომის აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 23 ოქტომბერს, შუადღის 1 საათზე.

კოლეგიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი ფანცულაია.

— 1 ლ. ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კ. პარტიის კანდიდატს, ოცეულის მეთაურს ამხ. დიმიტრი ხუცურაულს პარტწევრად გადარიცხვის შესახებ. და ა. ლ. კ. კ. წევრებს ამხ ამხ ასაციძე გიორგის და მარგალიტაშვილ შაქროს კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ.

თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ვთხოვთ გვაცნობოს 10 დღის განმავლობაში. ხელმოუწერელი ცნობები არ მიიღება.

კომუჯრედის მდივანი მურადოვი.

სრულად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას რომ 21 ოქტომბერს დილის 8 საათზე გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ეგნატე იოსელიანი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ჩახრუხაძის ქუჩა № 6) კვირას 24 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე. დასაფლავება დიდუბის გალავანში

ნ. 115

ხვალ, კვირას, 24 ოქტომბერს, ქ. თბილისში ვერის-ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სიმონ ივანეს-ძე ჯორბენაძის

გარდაცვალების 1 წლის თავის აღსანიშნავათ დღის 12 საათზე. რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ცოლი სოფიო, შვილი თამარა ჯორბენაძეები და ცოლის ძმისშვილი გოგი ბასილაია. 294

სიმონ ივანეს-ძე ჯორბენაძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავათ, კვირას, 24 ოქტომბერს, დღის თორმეტ საათზე, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს ძმა იასონ და რძალი ბაბულია ჯორბენაძეები. 298

თავზარდაცემულნი და გულდათუთქულნი: მეუღლე იოსებ ანთელავა ვაჟიშვილით ბუთულით, მშობლები ეფროსინე, ევგენი და ძმა ილია გაბელიები, სიდედრი ლიდა, მამამთილი სამსონ და მაზლი სევერიანე ანთელავები, დეიდები პელაგია, მარიამ და ბიძა არხიპო კიზირიები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ოქტომბერს, ქალ. ფოთში ნაშუადღევის პირველ საათზე ადგილობრივ სასაფლაოზედ ორმოცი დღის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულის მათთვის დაუვიწყარი და უძვირფასესი, კბილის ექიმის

ზინაიდა ევგენის ასული
გაბელია-ანთელავასი

ნ. 112

კვირას, 24 ოქტომბერს წმინდა ნინოს ეკლესიაში დანიშნულია წირვა 10 ს. და პანშვიდი 12, უდროოდ დაკარგულ ძვირფას და საყვარელ ნორჩი ჭაბუკის, თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტის

კოლი (ნიკო) მესხის

გარდაცვალებიდან 6 თვის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი მშობლები: პელაგია პეტრეს ასული და სიმონ ლუარსაბის-ძე მესხები, დაძმანი: ანია, ირანა, მარო, პეტა, თინა და თამარი. ბებია ტერეზია მესხისა, ბაბუა პეტრე და დეიდა ელენე გიორგობიანები, სიძე ზაქარია ერმალოს-ძე შარაშიძე და დისწული პატარა ოთარიკო. 297 2—1

ვინაიდან სახდრამის პრემიერაზე
ბილეთების მოთხოვნილება დიდია

დრამის დირექცია

სთხოვს ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ამ თავითვე წარმოადგინონ სია ბილეთების მსურველ მუშა-მოსამსახურეთათვის. ნ. 113

აფთიაქის მოწაფეების საყურადღებოთ

ყველა ჩაწერილ აფთიაქის მოწაფეების გამოცდები
დაიწყება 23 ოქტომბრიდან

296 მედსანშრომი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
როგორც ძველი, ისე ახლად მიღებულ
სტუდენტთა და კანდიდატთა

საყურადღებოთ

1. უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს სტუდენტების საყურადღებოთ, რომ ამა წლის 1—10 ნოემბრამდე მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის რეგისტრაცია სათანადო ფაკულტეტის მდივნებთან.
2. ყველა სტუდენტი, როგორც ძველი, ისე ახალი, რომელიც რეგისტრაციაში არ გატარდება მექანიკურად გამოირიცხება სტუდენტთა შემადგენლობიდან.
3. ყველა სტუდენტთათვის განურჩევლად მდგომარეობისა, დაწესებულია სწავლის ფული—წელიწადში 10 მანეთი. რომელიც ყველა სტუდენტს შეაქვს უნივერსიტეტის სალაროში 2 ვადაში. 10 მანეთს ზემოთ სწავლის ფული გაწერილი იქნება სოციალური მდგომარეობის მიხედვით და იწარმოებს არსებულ კანონებით. ზემოხსენებული 10 მანეთი ნაანგარიშევი იქნება გადასახადში.
4. ამა წლის 5 ნოემბრამდე უნდა შემოტანილ იქნეს ყველა სტუდენტის მიერ პირველი 5 მანეთი.
5. რეგისტრაციაში გატარებისას სავალდებულოა სალექციო წიგნაკის წარდგენა, რომელშიაც აუცილებლივ აღნიშნული უნდა იქნეს, როგორც ძველი დავალიანების დაფარვა, ისე მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის ფულის ანგარიშში 5 მანეთის შემოტანა.
6. ფულის მიღება დაიწყება უნივერსიტეტის სალაროში 25 ოქტომბრიდან და გაგრძელდება 5 ნოემბრამდე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა.

2—1 ნ. 114

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. ზავსოვიჩი

ამით აცხადებს რომ, ის 26 ოქტომბრის 1926 წ. დილის 10 საათზე გოგოლის ქ. № 64 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასილ ლაპიაშვილის მოძრავ ქონებას: კომოდი, გარდერობის შკაფი, სასადილო მაგიდა, ხუთი ხალიჩები, ბუფეტის შკაფი და სხვა, შეფასებულს 400 მან. ქ. თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 14 სექტემბრის 1925 წ. № 4525 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. ქვ. 300

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 26 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 113, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პარმენ სიონიძის უძრავ ქონებას: ერთი სახლი სახლი თავის ფლიგელით სულ რვა ოთახი. ორი სამზარეულო, აშენებული ნაკვეთ მიწაზე, ზომით 120,62 კვადრ. საჟ., შეფასებულს 650 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 1-ლ სექტემბრის 1926 წ. თარიღით № 3501 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა, ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს საბუთები გათვალისწინებული სამოქ. საპრ. კოდ. 311 მუხ. და გარდა ამისა, საწინდარი 10 პროც. შეფასების რაოდენობისა. სახლის დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დღეს. ქვ. 295

ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 27 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ტურგენევის ქუჩაზე № 4 სახლის ეზოში ის პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარიამ სიმონის ასულის კაცოშვილის შემდეგ ქონებას, რომელიც აწერილია თამბაქოს ტრესტის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად და შეფასებულია 276 მანეთად: 1. ორი სამაჯური ბაჯაღლო ოქროსი (92 სინჯი), წონით 25 ნახ. მისხალი, 2. ერთი წყვილი ოქროს (56 სინჯ.) საყურე და მათთან 19 [illegible] ბრილიანტებით—წონით დაახლოვებით 2 კარატი, 2 ზურმუხტი, წონით 2 კარატი. ქვ. 289

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 23 ოქტომბერს, სახალხო მსახიობ. ზ. ფალიაშვილის ოპერა

დაისი

მონ. იღებენ: მაზოვეცკაია, ვოლხანეცკაია, ქუმსიაშვილი, ვეზაძე, ქურხული, ხვანიძე.

კვირას, 24 ოქტომბერს **დემონი**

სამშაბათს, 27 ოქტომბერს, **კარმენი** ნ. 111

აპოლო
არფასტო
სოლეი

სახკინმრეწვის საუკეთესო სურათი

აბრეკ-ზაურ

კინო მოთხრობა 10 ნ. (კავკასიის ახლო წარსულიდან)

უმთ. როლებში ვ. გუნია, ნ. შენგელაია, ნ. ხაპოვი, გ. ჩეჩელაშვილი, ა. თაყაიშვილი, განტარინისა, აგანბეკოვისა

„მეჟრაბპომ რუსის" საუკეთესო სურათი

„პროცესი სამი მილიონის შესახებ"

უმთ. როლებში—იგორ ილინსკი, ჟიზნევისა, კტოროვი, კლიმოვი

სიმებიანი ორკესტრი.

ანონსი: მალე სახკინმრეწვის ახალი სურათი „გაფლანგვა"

ნ. 1833 0—18

თბილისის ალმასკომი

ამით აცხადებს, რომ კვირიდან 24 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ზაჰესის სათავე ნაშენთა გამოცდის გამო ფარების აწევის და მათი საშუალებით წამში 500 კუბ. მეტრ. წყლის გაშვებით, რაც საშუალო წყალდიდობას უდრის, შესაძლებელია მდ. მტკვრის დონეს მოულოდნელი რყევა.

ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები უბედურ შემთხვევათა და მატერიალურ ზარალის თავიდან ასაცილებლად.

თბილისის ალმასკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი.

3—1 ნ. 110 კომუნალური მეურნეობის გამგე—ახრიევი.

ზაჰესის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 25 ოქტომბრიდან მაღალ ძაბვის ქვეშ იქნება დაყენებული ელექტრონის გადამცემის ხაზი

1. **დიდუბიდან—მთავარ ქვესადგურამდე**, რომელიც გაივლის დიდუბის ბაღზე, საბურთალოზე, ძირინარე ვერაზე ვერის გზატკეცილის გასწვრივ და გადასჭრის ელბაქიძის დაღმართს და მდ. მტკვარს.
2. **დიდუბიდან ნაძალადევამდე**, რომელიც გადასჭრის ა|კ. რკინის გზების ხაზს და ადის მახათის მთაზე ზაჰესის ქვესადგურებზე.

ყოველგვარი შეხება სადენებისა და ამ ხაზის მავთულების **სასიკვდილოა**, რის შესახებაც ყველა საყრდენზე გაკრულია სათანადო განცხადება.

3—1 ნ. 109 ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი ჭიჭინაძე

საქართველოს ს. მ. უ. ს. „პოლიგრაფტრესტი"
ბალანსი
1925 წლ. 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.

I. ქონება		
1. შენობანი და ნაგებობანი	125.125—	
2. გაწყობილობა და მანქანები	362.542—84	
3. ინვენტარი	254.865—43	742.533—27
II. მასალა		
1. წარმოებითი		
ა) ძირითადი	51.805—07	
ბ) დამხმარე	112.715—57	164.520 64
2. ნახევარ-ფაბრიკატები საწყობებში		52.243—64
III. საქონელი		
1. საწყობში და მაღაზიებებში		61.932—07
IV. ფულადი სახსარი და ფასიანი ქაღალდ.		
1. სალარო და მიმდინარე ანგარიშში	9.535—02	
2. ფასიანი ქაღალდები	2.926—	12.461—02
V. ანგარიში და სავალდებულო თანხები		1.267—92
VI. ხაზინადარი ფასეულობანი და დოკუმენტები		
1. სამისაღებო თამასუქები პორტფელში		8.770—45
VII. დებიტორები		
1. ავანსი მუშა-მოსამსახურეთ	4.401—39	
2. მყიდველნი	150.336—75	
3. სხვა და სხვა დებიტორი	22.719—79	
4. საეჭვო მოვალენი	112.954—07	290.412—
VIII. საწესდებო კაპიტალის შევსება:		
1. საბრუნავი კაპიტალი		40.315—16
ბალანსი	— —	1.374.456—17

ბალანს გარე მუხლები

მიწა 1.866 კვ. საჟენი	— —	35.150—
სულ	— —	35.150—

პასივი

I. კაპიტალები		
1. საწესდებო:		
ა) ძირითადი	695.979—92	
ბ) საბრუნავი	146.591—85	842.571—77
2. საამორტიზაციო		171.353—72
3. სარეზერვო (სათადარიგო)		4.379—03
II. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი		2.189—52
III. ფონდი საეჭვო ვალ ბის ზარალის დაფარ.		112.954—07
IV. გაცემული თამასუქები		34.029—55
V. კრედიტორები		
1. ნარდით მომუშავენი და გამყიდველ-მომწოდ.	109.099—45	
2. სხვადასხვა კრედიტორი	5.894—86	
3. ფინ ნთა სახ. კ—ტი		
ა) გადასახადი და გამოსაღები	2.189—52	
ბ) ანარიცხი ხაზინის სასარგებლოთ	4.379—03	121.562—86
VI. საწესდებო კაპიტალის გადიდება		
1. ძირითადი კაპიტალისა		46.553—35
VII. მოგება საანგარიშო წლისა		38.862—30
ბალანსი	— —	1.374.456—17

საქართვ. პოლიგრაფტრესტის მმართველი ტ. ხარაზიანი

მთავარი ბუხჰალტერი გ. ქურციძე

მოგებისა და ზარალის ანგარიში

ზარალი.	%		მოგება.	%	
1. სავაჭრო ხარჯები	4,8	6.056 33	1. მოგება საქონლის მასალის და სხ. რეალიზაციისა	99,6	165 678 02
2. გამგეობის საერთო ადმინისტრატიული ხარჯები	33,2	42.325 25	2. მიღებული პროცენტები	0,4	663 06
3. ზარალი არა საიმედო ვალების და სარეზერვოდ მოქცეული საეჭ. ვალების ჩამოწერა	62,0	79.097 20			
სულ	100,0	127.478 78	სულ	100,0	166.341 08
4. მოგება		38.862 30			
ბალანსი		166.341 08	ბალანსი		166.341 08

მოგების განაწილება

1. მუშა-მოსამ. ახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდი	10 %	3.886—23
2. სარეზერვო ფონდი	20 „	7.772—46
3. საშემოსავლო გადასახადი	10 „	3.886—23
4. ანარიცხი ხაზინის სასარგებლოდ	30 „	11.658—69
5. საბრუნავი კაპიტალ. გასადიდებლად	30 „	11.658—69
სულ	100 %	38.862—30

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.უ.ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის და საქართველოს ეკონომიური საბჭოს მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

ნ. 116 საქ. ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი პ. ჯანელიძე

პოლიგრაფტრესტის მთავარი ბუხჰალტერი გ. ქურციკიძე.

ექიმი შუხმანი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

ქუთაისში

ექიმი ჩეხელაშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9

მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 13—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ

ექიმი არჩილ სავანელი

განაახლა ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25-1

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექ. ქ. ტყეშელაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1 1—25

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

კბილის ექიმი
ა. ვ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. 348. 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება- ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი

ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სად. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 6—9 საათამდე. ქალების მიღება 1—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").

გარდა ხაექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—21

დაკარგვა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი—გიორგი ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 284

დაკარგვა პარტბილეთი № 92779 დიანოზ ხუბიაევის სახელზე, ჩ. გ. 287

დაკარგვა შვიდ-წლედის შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 70 და ქარელის უჯრედის დროებითი მოწმობა № 4863, გიორგი ტაბესაშვილის სახელზე, ჩ. გ. 285

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 160090 და რეგისტრაციის აღრიცხვის ფურცელი № 56. ერმილე ჯინჭარაძის სახელზე, ჩ. გ. 286

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 326, გაცემული ყვირილის აღმასკომის მიერ, ზინაიდა ლუკას ასული კილენჯერიძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 291

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 3882, ვალიკო ორაგველიძის სახელზე, ჩ. გ. ქვ. 288

დაკარგვა პირად-კანდიდატის ბილეთი № 9, პირადი საქმე. სამხედრო ნამსახურევის ნუსხა, ჯამაგირის და სურსათის ატესტატი, მოცემული მეორე ქარ. მსრ. ლეგიონიდან, კომკავშირის საწევრო ბილეთი. ალექსანდრე იაგორისძის ქერქაძის სახელზე, ჩ. გ. 299

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 4328, ნინო ლიამონდოპულოს სახელზე, ჩ. გ. ქვ. 297

დაკარგვა ჩემ მიერ ელისო ივანესძე მახარაძესათვის ვაჭრობის თაობაზე მიცემული ვექილობა დამტკიცებული ლანჩხუთის უბნის სახალხო მოსამართლის მიერ, რეესტრი № 51 ბარნაბ სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ. 301

დაკარგვა შვიდ-წლედის დამთავრების მოწმობა № 8 ბიქტორ ჯულაყიძეს სახელზე, ჩ. გ. 301

დაკარგული კავშირის წიგნაკი დავით ადამიას სახელზე, ნაპოვნია. 302

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68